


ლიტერატურული გაზეთი

№16(176) 2 - 15 სექტემბერი 2016

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



პროზა

რუსუდან რუხაძე

კატო ჯავახიშვილი

პოეზია

ლია სტურუა

სოსო მეშველიანი

ნანა გასვიანი

ეკა კვიციანი

თარგმანი

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ესსე

ემზარ კვიციანი

ინტერვიუ

ანი კოპალიანი

სამი ხმა ენაცვლება ერთმანეთს — მინავლებულ ცეცხლში შემის ტკაცუნის, სათლის ფსკერზე ტოლჩის პირის დაკარგვისა და მდორე წყლის ჩხრილის. სამი ერთმანეთის დამორგუნავი სითეთრე აკეთილშობილებს წიფლის გაჭვარტლულ სახლს. მაქმანის ფარდები, ცხელი წყლის ორთქლი და ბუხრიდან გამოპარული კვამლი რძისფერ ნისლში ხვევს იქაურობას. საგანგებოდ დათბუნებულ ოთახში ცისია ბანაობს — დიდ, ოვალურ ტაშტში ჯორკო ჩაუდგამს, პირით ფანჯრისკენ დაძვარდა და ეზოს უკან გაშენებულ ატმის ბაღს გასცქერის. ტაშტის კიდეზე ჩამოდებულ ფეხს ხელისგულს აყოლებს და თუნუქის ჯამბში სითხეების ნელთბილობას შუა თითის ფრთხილი ჩაყოფით ამონმებს: ერთში ვარდის წყალია გაზაფხული, მეორეში — დაფნის ნაყენი, მესამეში კი — გვირილის ნახარში გადანურვისას შეყოლილი თეთრი ფურცლებით. სამივე სურნელოვან წყალს რიგრიგობით გადაივლებს სხეულსა და თმებზე, მოჩხრიალე წყლის ხმებით სმენას დაიტკბობს და კიდევ ერთხელ გაიფიქრებს — თუ ადამიანის ხმა არ ისმის, მაინც სიჩუმე ითქმის.


ერთხელ წყაროზე ცისიას წამოსცდენია: როცა ვბანაობ, გუჯაც იმ ოთახშია ხოლმეო და მერე ქალებისთვის ისე მოუვლია თვალი, ხმის ამოღება ვერავის გაუბედავს. ნეტავ, ქმარს მზის შუქზე შიშველი როგორ ენახება, თორემ ღამით არც ჩვენ ვნებობთ ფანჯრის ხალათებით — მას შემდეგ თვალზე ხელს იფარებენ მეზობლები ჭორაობისას, თითქოს შიშველ ცისიას ცხადად ხედავდნენ. „ქმარი არა! მთლად გააგიჟა ის ბიჭი!“ — აჭყვებთან მუხლის თავებზე შემოდგმული დოქის პირები და წყაროსთან ჩამომსხდარი ქალებიც თავის ქნევით დაემონმებან.

ცისია არ ტყუის. როდესაც ბანაობს, გუჯა ოთახის სიღრმეში დგას და ნესტიან პაერს ხარბად ისუნთქავს. ამოსუნთქვისას სასულეს ინვრილებს, ნერწყვის გადაყლაპვისას კისერს იგრძელებს და ფეხშიშველი იცვლის ადგილს, რომ მისმა თანმხლებმა ხმებმა ცისიას მყურდრობა არ დაუფრთხოს. შუაცეცხლის ადგილას ჭერიდან თოკებით დაშვებულ ხის ჩარჩოს მზერას უსწორებს და ისეთ კუთხეს ირჩევს, მოზომილ სივრცეში ცისიას რომ ხედავდეს და ფანჯრიდან შემომავალი შუქი სილუეტს ამუქებდეს. დგას და უყურებს ცოცხალ ნახატს — ხმოვან და მოძრავს, სიცოცხლით სავსეს; ყოფიერებით ტკბება და კიდევ უფრო ეშორება ქალაქი, რომელიც ჩარჩოს კუთხეში მოქცეული ქალის გამო დატოვდა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

წარმოდგენა რომ მთავრდება, ცისია ტაშტის წინ დაფენილ ჭილოფზე ფრთხილად ეშვება, სკამის საზურგეზე მიფენილ პირსახოცს სწვდება, თავს ხრის და ყურებს იშრობს. მერე სხეულზე იხვევს, სველი ნაფეხურებით ოთახის შუაგულს უახლოვდება, ჩარჩოსთან სახე ახლოს მიაქვს და გუჯას სამანს მიღმა თვალებს უკოცნის.

სანამ ცისია მოწესრიგდება, გუჯა თუნუქის ჩაიდნიდან პიტნის ჩაის ჩამოსახამს და ფაიფურის ფიალას თაფლით გაავსებს. მერე ცისიას თმაზე შერჩენილ გვირილის ფურცელს ფრთხილად მოაცვლებს და მრგვალი მაგიდისკენ გაუძღვება. ჩამოსხდებიან მდუმარედ და თვალის ფსკერზე ჩაძირულ ამბებს ხელახლა, უთქმელად უამბობენ ერთმანეთს. არც ერთმა იცის, კვირის რომელ დღეს დაენთება კიდევ ცეცხლი — ცისიას ბანაობა მოძრავი დღესასწაულია.

საღამოობით, ვახშამს რომ მოითავებენ, ცისია აკეცილ თმას ნვერმოტებილი ფანქრით დაიმარგებს, მაგიდაზე ძველ გაზეთებს გაშლის და ზედ დიდ თეთრ ქალაღებს დააფენს. გარეცხილ ფუნჯებსა და გუაშის საღებავებს გვერდით მოიწყობს და აფიშების ხატვას შეუდგება. კინო ცისიას და გუჯას საერთო სიყვარული და გაუნღებელი ვნებაა. საათობით შეუძლიათ ძველი ფილმების გახსენება, ერთმანეთისთვის მოყოლა და საყვარელი მსახიობების გამოჯავრება. სოფლის კინოკლუბში საჩვენებელ ფილმებს საგულდაგულოდ არჩევენ, ფირების ჩამოსატანად პატარა ქალაქში მიემგზავრებიან, გზად აკვირებულ მელოდის ლინინებენ და პერსონაჟების ფრაზებით ლაპარაკობენ. წინა დღეს



გუჯა საკუთარი ხელით შეკეთებულ კინოს ჯადოსნურ მანქანას კიდევ ერთხელ შეამონმებს, ცისია კი სამ განსხვავებულ აფიშას დახატავს და წიგნში ჩალაგებული გამხმარი ლილილოებითა და ფურისულებით მორთავს.

დილაადრიანად გუჯა ველოსიპედის ზარით უხმობს ცისიას ეზოში. ცისიაც დახვეულ აფიშებს გულთან მიიკრავს, კაბას გაისწორებს და ველოსიპედის უკანა სკამზე ჩამოჯდება. გუჯა ცისიას შესაშინებლად საჭეს შეათამაშებს, ცისია ცალ ხელს ნელზე მაგრად მოხვევს გუჯას და სოფლის გზას მხიარულად გაუყვებიან. ერთ აფიშას, რომელზეც შლაპა და ბერეტი დახატული, მაღაზიასთან გააკრავენ; მეორეს, ზემოთ მიმართული ორი პისტოლეტით, წყაროსთან მდგარ ტირიფის ხეს მიაბარებენ; მესამეს კი, საჭეზე მოჭიდებული ქალისა და კაცის ხელებით, ავტობუსის გაჩერებასთან მოუძებნიან ადგილს. იმ ღამით არც ერთს აქვს მკვირი ძილი, ათასი ფიქრი აფორიაქებთ — ფირი არ განყდეს, ხმამ არ ითამაშოს და, რაც მთავარია, მეორე დღეს ნანახი ფილმით იცხოვროს სოფელმა.

ციცინათელებით რომ გაივსება სოფლის გზა, ცისია მხრებზე მოხურული თავმლით კლუბის კართან დადგება, ბილეთის ფულს აკრეფს და ქამარზე დამაგრებულ ჩანთაში შეინახავს. მერე დარბაზის უკან, პატარა ოთახში, გადაინაცვლებს, გუჯას მხარზე თავს დაადებს და კედელში დატოვებული პატარა ლიობიდან გასცქერის ეკრანსა და შავი სილუეტებით სავსე დარბაზს. დანამდვილებით იცის, მეორე დღეს



სოფლის გოგო-ბიჭები მონონებული ფილმის აფიშების ჩამოსხნას ერთმანეთს დაასწრებენ და „ბონი და კლაიდი“ სოფლის სალაპარაკო გახდება.

— ცისია, იცი, რა გადაწყვიტე? ქეთოს ბავშვებს ფეხსაცმელები ვუყიდოთ, — კინოს ფულს ითვლის გუჯა.

— რა კარგად მოგიფიქრებია, ჩემო სიყვარულო! — ცისია ხმელი სუნელით შეზავებულ სადილს გემოს უსინჯავს და ხელებს წინსაფარზე ინმენდს.

— ფეხსაცმელი თუ არ გაქვს, ვერც კინომდე მიხვალ და ვერც — სკოლამდე. ცოდნა გზააო, ვინ თქვა, ცისია მას? — ლარნაკიდან ყვითელ ვაშლს იღებს და ცისიას ესვრის.

— ჩემი ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე! — ცისია ვაშლს მარჯვენა ხელით იჭერს და მადიანად კბეჩს.

— ცისია მას, გამომასწორებინებ ნიშანს? — ღიმილს ტუჩის კუთხესთან იკავებს გუჯა.

— ფეხზე ადექი და ისე, — ცისია გუჯას უახლოვდება და ქამრით იჭერს.

— „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,“ — ნამღერებით იტყვის გუჯა, — „სერხედ შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა,“ — თმებში ხელს შეუცურებს ცისიას, — „მზემან სხივი მომაფინა მაშინა,“ — შუბლს შუბლთან მიადებს და მზერა აემღვრება, — „სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა...“ — გუჯას ხმა უწყდება და საკუთარ ნაღმზე ფეთქდება.

— „სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა,“ — იმეორებს ცისია, წინსაფარს იხსნის და გუჯას კოცნით აჩუმებს.

ცისია და გუჯა სოფელში ორი წლის წინ გადასახლდნენ. როგორც კი გუჯამ სკოლა დაამთავრა, ქართულის მასწავლებლისა და სკოლის ყველაზე დაუმორჩილებელი მოსწავლის ფარული სიყვარულის ამბავი მთელ უბანს მოედო. ბოლო ზარის დღეს თეთრ პერანგზე დიდი ასობით „ციცინა“ დაანერა და სკოლაში ისე მივიდა. იმ დღის მერე გუჯას სახლში აღარ დაედგომებოდა, ცისიას კი — სკოლაში. ქუჩის ბოლოს მდებარე ერთ პატარა საჩაიეში შეთანხმდნენ, ამბის გაგრილებამდე ცისიას სოფელში გადაცხოვრებოდნენ და ბოსტანს გააშენებდნენ. მატარებელში გუჯა ისევ იმ ლურჯ კაბას იხსენებდა, ცისიას პირველ გაკვეთილზე რომ ეცვა. ცისია კი დროდადრო ხელჩანთაში ამონმებდა სასკოლო ჟურნალიდან ამოხეულ ფურცელს, რომელზეც გუჯას საკუთარი სახელისა და გვარის გასწვრივ ჩანერილი ორიანები ყვავილებად გადაეკეთებინა. ამასობაში, მგზავრობისგან გათანგულდებ, მზერა ფანჯრისკენ გაექცათ და დაწვრილებულ თვალეში ერთი და იგივე ამბავი ეზმანათ:

— ცისია მას, კინობანა ვითამაშოთ და თუ წააგეთ, სამიანს მიწერთ! — სემესტრის ბოლოს გუჯამ გარიგება სცადა.

— ასე არაფერი გამოვა! — ცისიამ მაგიდის ქვეშ ფეხსაცმელი გაიხადა და გადალილი ტერფს მალულად შეავლო ხელი.

— გამოვა! ხო იცით, რომ ლექსებს ზეპირად ვერ ვსწავლობ, — გუჯამ შუბლზე ჩამოყრილი თმა გაისწორა და ხელების ფშვინებით დაელოდა ცისიას თანხმობას.

— არ მიწნა ლექსები, ლორთქიფანძის მინიატურები ჩამაბარე, — თვალეში დახუჭა ცისიამ და გარიგებაზე უარის ნიშნად დღიური გადაშალა.

— მას, ერთხელ მეთამაშეთ რა! სულ ერთხელ! — მაგიდას მიუახლოვდა გუჯა და მუდარის ნიშნად ჩაიმიუხლა.

— რომ წააგო? — ცისიამ კალამი ამოაბრუნა და წყლით სავსე კაფსულაში მოტივტივე წითელ ავტობუსს შუქზე გახედა.

— წაგებული უწნა ჩაბარო! ასე არ არის? — ფანჯრის რაფაზე შემომსხდარ ბიჭებს გასძახა გუჯამ.

— რახან არ იმლი, დაიწყე! — თვალი ააყოლა ცისიამ გუჯას, ჟურნალი დახურა, ფეხი ფეხზე გადაიღო და თამაშში ჩაება.

ბავშვები აიშალდნენ, საკლასო ოთახის კარი ჩაკეტეს, გასაღების ჭუჭრუტანა დაკეცილი ფურცლით ამოქოლეს, მერხები უკან მიწიეს და სკამები ორმწკრივად დაალაგეს.

— არ გამაზო, ბიჭო, იცოდე! — ამხნევედნენ ბიჭები.

— გუჯა, ალ პაჩინოსიც რამე რა, მაგრა გამოგდის! — კისკისით დაიკავეს პირველი რიგი გოგოებმა.

— თქვენ ხმას არ იღებთ! — თითის ქნევით გააფრთხილა გუჯამ კლასელები, — მინიშნებაზე გადისხართ ოთახიდან, გესმით? — თვალე მოავლო ყველას.

— ცეცხლი აინთო, თამაში დაიწყო! — ცისიამ ხელით ანიშნა დაწყება.

გუჯა გამოცდილი მოთამაშე იყო. კარგად იცოდა, როგორ აერია თავგზა მოწინააღმდეგისთვის. განგებ თამაშობდა ისეთ თამაშებს, ცისიას რამდენიმე ფილმით ერთდროულად რომ გახსენებოდა. ცისია კი სანახაობას თავდაჯერებული უტყქერდა და სწორ პასუხს განგებ აგვიანებდა, გუჯას მოსაუბრე სხეულით ტკბებოდა და, მონუსხული მზერის დასაფარად, დროდადრო თვალეზე ხელს იფარებდა. უყურებდა და ფიქრობდა — წარმოუდგენელია, ერთი ლექსი ვერ დაიზეპიროს ადამიანმა, რომელსაც ნანახი ამბების გონებასა და სხეულში ასე ცოცხლად შენახვა, განცდა და უსიტყვოდ მოყოლა შეუძლია; მეტროში საყვარელ ქალთან შეხვედრის სცენაზე თამაში დასრულდა.

ცისიამ ყველა ფილმი გამოიცნო.

— ახლა რა ვქნა, მას? — იმედგაცრუებულმა გააყოლა თვალი თანაკლასელებს, რიგრიგობით რომ ტოვებდნენ საკლასო ოთახს.

— აკაკის „აღმართ-აღმართ“ ადვილი სასწავლია. ჩამაბარე კვირის ბოლოს, მეც მოგეხმარები! — უპასუხა ცისიამ და პერანგის საყელო გაუსწორა.

გუჯას არც ერთი დამატებითი გაკვეთილი არ გაუცდენია, ფერად თავშალში გახვეული ცისია კი მთელი მონდომებით უამბობდა პოეტებისა და მათი

უბედობის ამბებს.

— მე ნუ მიყურებ, წიგნს უყურე! — მიანიშნებდა ხოლმე გუჯას მწველი მზერით შეფაკლული ცისია.

— რომ გიყურებთ, უფრო ვსწავლობ, მას... — დაიმორცხვებდა ხოლმე გუჯა...

სოფელში ცისიას ბებუის მიტოვებულ სახლს სული რომ ჩაბერეს, გუჯამ, გზაზე მიტოვებული კლუბი შეგინძნე და ისიც გავაცოცხლოთო, ცისიას თვალი ჩაუკრა და თითებით ეკრანი მოხაზა.

გაზაფხულის სუსხიან ღამეს კლუბის შენობას ცეცხლი წაეკიდა. მეზობლები ამბობდნენ, გუჯა ბიჭებთან ერთად დამთვრალა და ფირების ოთახში ღუმელი დარჩენია ჩართულიო. ცისია ცრემლმორეული ამტიკივებდა, კლუბს განგებ გაუჩინა ვილაცამ ხანძარი და კინოს გარეშე დაგვტოვაო. სოფლის ბრძენმა კი, ამ კლუბის ადგილას ადრე ეკლესია იდგა და ღმერთი თავისას ითხოვსო.

ერთი თვის თავზე, კლუბის გამოგოვების ნიშნად, ცისიამ და გუჯამ სახლის კედელზე გახამებული თეთრი ზენარი გააკრეს, გრძელი, უზურგო სკამები ჩაამწკრივეს, ჭიშკარზე ხის დაფა ჩამოკიდეს და ზედ მოყვავილე ასოებით მიანერეს:

„კინო — მოძრავი დღესასწაული.“

გახალისდა ცისიას და გუჯას ეზო. სოფლის გოგო-ბიჭები კინოს საყურებლად ჯგუფ-ჯგუფად, სიმღერ-სიმღერით მოდიოდნენ. ბილეთის საფასურს ეზოში მდგარ ყუთში ყრიდნენ და ახალი კლუბისთვის ფულს აგროვებდნენ. ფილმის დასრულების შემდეგ გულთბილ მასპინძლებთან შუალამემდეგ რჩებოდნენ, ჰამაკებისკენ გადაინაცვლებდნენ და ნანახ ფილმებში ნამდვილ ამბებს ეძებდნენ.

„რომაულ არდადეგებში“ პრინცესა ანას რომ ჟურნალისტიები ხვდებიან, მართლა იტალიელი ჟურნალისტიები ყოფილან,“ — იტყოდა ერთი.

„ტუტსიში“ მაიკლი რომ იღვიძებს, საათის გვერდით დასტინ ჰოფმანის დედის ფოტო კიდია თურმე,“ — ამტიკივებდა მეორე.

„ზოგარტს „კასაბლანკაში“ კი არა, ცხოვებამშიც ყვარებია ჭადრაკი,“ — თავს გამოიდებდა მესამე.

ახლადმემოსულ კიტრს ჯერ კიდევ ყვითელი ყვავილი ჰქონდა შერჩენილი, ცისია ავად რომ გახდა და ბუხართან მდგარ ტახტზე გადაბარგდა. აფიშების ხატვის ნაცვლად გუჯას დაყენებულ ჩაის სვამდა, ცხელეებისგან გაოფლიანებულ პერანგებს ღამეში სამჯერ იცვლიდა და სიგრილის შესაგრძნობად ბალიშს აბრუნებდა. გუჯა ტახტის კიდევ ჯდებოდა, საბნის ქვეშ აცურებდა ხელს, გაყინულ ტერფებს ეხებოდა და ხვდებოდა, ცისიას სიცხე ისევ აუნევდა და ავადმყოფობისგან დამფრთხალი მზერა იმ ათწლიან სხვაობას სულ მთლად გააქრობდა. მერე გუჯას ხელისგულზე დადებულ ნამლის აბს ცხელი ტურჩებით სწვდებოდა და უწყლოდ ყლაპავდა. ნასადილევს სანოლში ჩაყრილ ნამცეცებთან შეხება ბავშვობის მოგონებებს აუშლიდა, ბალიშებს ზურგსუკან შემოილაგებდა და ძველ ამბებს კინოსავით ყვებოდა:

„დედაჩემი ნითელ ვაშლებს დამიკრეფდა, ესაა შენი წამალიო. მეც ვახრამუნები და ვახრამუნები.“

„ბებიაჩემი ჩემსიგრძე სანთელს გამოადნობდა ეკლესიაში წასაღებად და თაფლის სურნელს გაიყოლებდა ხოლმე.“

„ჩემი სულელი პატარა ძმა სასიყვარულო ბარათებს მწერდა.“

„მამაჩემი ჩემს ცხელ ტერფებს ლოყებზე ილაგებდა და ხან ერთზე მკოცნიდა და ხან მეორეზე...“

გუჯამაც ჩამოკრიფა ნითელი ვაშლები, ცისიასხელა სანთელიც გამოადნო, სასიყვარულო ბარათიც მისწერა და ბოლოს მისი გაყინული ტერფებიც დაიფინა ლოყებზე და სათითაოდ დაუკოცნა.

— შენ ხარ ჩემი ყველა, ახლა გადავრჩები! — მადლობის ნიშნად ცისიამ შუბლზე ჩამოშლილი თმა გაუსწორა გუჯას და მაჯაზე მისი კოცნა იგრძნო.

ძილის წინ გუჯამ ცისიას, პატარა ბავშვივით, საბანი შეუკეცა, სველი წინდები ამოაცვა და შუბლზე გრილი ხელი დააფინა. ცისია სიზმრიდან აღარ დაბრუნებულა.



დაკრძალვის დღეს გოგო-ბიჭებს ცისიას მოხატული აფიშები მიუტანიათ, ლობეზე გაუკრავთ და ერთმანეთის მხრებში თავნარგულელებს უტირიათ. მეზობლის ქალებს კედლიდან თეთრი ზენარი ჩამოუხსნიათ, ნავთით დაუნამავთ და კოცონზე დაუნვიათ. ნელზე ხელებმეშობაგებულ სოფლის ბრძენს მახლობლად ჩაუვლია, ზემოთ აუხედავს და, ღმერთმა შეუნდოსო, უთქვამს. გუჯას იმ დღეს არაფერი გაუგია, თავჩაქინდრულს არც ხმა ამოუღია და არც ცრემლი გადმოგორებია თვალიდან.

მეორე დღით სოფელი გუჯას ხმამაღლა ტირილმა გააღვიძა. ეზოში ცისიას ფერადი თავშელები გამოეტანა, ცისკენ ისროდა და გულგაგლეჯილი გაჰყვიროდა:

„ზეცა ხარ და ზეცად იქეც!“

ნაშუადღევს მეზობლის ქალმა ხის ტოტებზე შერჩენილი თავშელები ჩამოკრიფა, კაკლის ხის ჩრდილში ჩაძინებული გუჯა შეაფხიზლა და მორიდებით უთხრა — ჩემთან შევინახავ, კლუბის ადგილას ისევ ეკლესია ამენდება, ქალები თავზე მოიხვევენ და არც ცისიას დააკლებენ ლოცვასო. გუჯამ ქალის მკლავებში მოგროვილ ფერად ნაჭრებში თავი ჩარგო და ცისიას სურნელი კიდევ ერთხელ შეისუნთქა. მერე ლობეზე გაკრული აბრა ჩამოსხნა, გულში ჩაიკრა და სოფლის გზას ბარბაცით გაუყვა.

ქალაქის გარეუბანში გუჯას ყველა იცნობს. მთელი დღე სასმელის ფულს აგროვებს, საღამოს შეამხანაგებულ ლოთებთან ერთად სამყაროს უკულმა ხედავს და გაუქარვებულ სევდას იორმაგებს. გამოფხიზლებულს იმაზე ფიქრი ღრღნის, რომ ცა ერთია და ვერც საკუთარ თავს გაექცევა კაცი სადმე.

გუჯას ამბავს ბოლომდე ვერაინ არკვევს: ზოგი ამბობს, ალელვებულ ზღვაში სიკვდილი გადარჩენია და ჭკუიდან შემლილო; ზოგიც — დედისტოლა ქალი ყვარებია და ის კიდევ სხვას გაჰყოლია; ზოგიერთნი ხელჩაქნევით აღნიშნავენ, ერთი ზარმაცი კაცია და თავი მათხოვრობით გააქვსო. გუჯას ამ ხალხის დარდი არ



აქვს, ყოველ დღით ერთ ამოჩემებულ ადგილას ცხადდება და მოთამაშებებს ელის...

უბნის ბიჭები დათქმულ დროს სკვერში იკრიბებიან და ნახევარ წრეზე ისე მწკრივდებიან, რომ გუჯას ყველა ხედავდეს. ჯიბეცარიელი მოსიერიები მოშორებით დგანან და მოთამაშებებს გულშემატიკეობენ. გუჯა ამობრუნებულ ქუდს ძირს აგდებს და პირზე ხელს იფარებს — ხმას აღარ ვიღებ, ვმუნჯდებიო. მერე ჩაახველებს, ფეხებს განზე დგამს, ხელს ზემოთ აწევს და ბიჭებს თამაშის დაწყებას ანიშნებს.

გუჯა ხელით საბილიარდო მაგიდას მონიშნავს, ცალ ხელში კისს მოიმარჯვებს, მეორე ხელის საჩვენებელ თითს მარყუჟში გააყყის და დამიზნებულ ბურთს დაარტყამს.

— ალ პაჩინო, ტო, „კარლიტოს გზა“! — ყველაზე სულსწრაფი მოთამაშე მწკრივს ტოვებს და გუჯას უახლოვდება.

— ეგაა! — მხარს უბამენ ძმაკაცები.

გუჯა კისს ორივე ხელით „იჭერს“, „სიმღერის რიტმს“ ცეკვით ჰყვება, ლუდს „მოსვამს“ და ნაგებულს ანიშნებს, ფული ქუდში ჩააგდებო. მერე ისევ თავის ადგილს უბრუნდება, ერთი ნაბიჯით მიახლოებულ ნახევარმწკრივს თვალს ავლებს და იმავე ფილმიდან მეორე სცენის თამაშს იწყებს. ჯერ პატარძლის კაბასა და ფატას ირგებს, მერე წრეზე ტრიალდება, მამაკაცად გარდაისახება და ყელთან ბაფთას ისწორებს.

— „ნათლიმამა!“ ნააგე, გუჯა! — კეპიანი ბიჭი წინ ელობება გუჯას.

— მიიტა ფული! — მხარს უბამს თავგადაპარსული და სივარეტს უკიდებს.

გუჯა თამაშს განაგრძობს და წარმოსახვით მენყვილესთან „კაზაჩოკის“ ცეკვას იწყებს. მერე ბიჭებს სტვენა-სტვენით ანიშნებს, რომ პასუხი არასწორია და ფული აქეთ ეკუთვნის. გადამწყვეტი რაუნდის დაწყებას გუჯა განგებ აყოვნებს, თამაში ბოლომდე რომ გახურდეს.

— დაწყე! — ყვირიან ბიჭები და მუქში მოქცეულ ხურდებს აჩხრიალებენ.

— მიდი, რა! — ერთმანეთს მუჯღუგუნებით სწვენენ, სცენა უკეთ რომ დაინახონ.

გუჯა მოთამაშებებს თვალს ავლებს, ხელით ანიშნებს, უკან დაიხიეთო, ღრმად ჩაისუნთქავს და სცენაზე ომს აჩალებს: ხან ავტომატიდან ისვრის და ხან ცეცხლმოკიდებული გორავს მინაზე; ხან ჭრილობის ტკივილი უსერავს სახეს და ხან განზე გამწვლილი ხელით თანამებრძოლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

— „შემოდგომის ლეგენდები!“ — ყვირის მწვანემამისურიანი.

— ნააგე! — დაშვებული ცერით ანიშნებენ სხვები.

გუჯა თამაშს არ წყვეტს. ხან აფეთქებული ბომბის ტალღა აგდებს ძირს და ხან დაშვებული ვერტმფრენის ჰაერის ნაკადს უშვერს მკერდს.

— „ყველაზე გრძელი დღე!“ — ნებისყოფა არ ყოფნის ჯინსის ქურთუკიანს.

— „სტალინგრადი!“ — მოგების წყურვილი კლავს მზესუმზირით ჯიბეგატინილს.

სანამ გუჯა თავგამოდებით იბრძვის, მისი ქუდი ფულით ივსება. თვალითაც ხვდება, ამჯერად მოგებული საკმარისზე მეტია და თამაში დასასრულისკენ მიჰყავს. ფეხზე დგება, პერანგის ბოლოს შემოიხვეს, თავზე ნაიკრავს, რეველვერის ბარაბანს დაატრიალებს და საფეთქელთან მიიბჯვენს.

— „ირმებზე მონადირე!“ — ყვირის მოშორებით სკამზე შემდგარი სათვალისანი ბიჭი.

გუჯა ცერა თითს ნეწს, ძირს ჯდება და გამარჯვებულს თავისკენ უხმობს. თანდათან დამარცხებულებსაც შემოირიგებს, სივარეტს მოუკიდებს და ცისკენ მომზირალი უამბობს, რომ ის ბარი ფილმის გადასაღებად აუშენებიათ და მერე იქაური მუშების საყვარელ ადგილად ქცეულა; რომ ქორწინების სცენა ზაფხულშია გადაღებული და შემოდგომის მოსაყვანად ფოთლები ყვითლად შეულებიათ; რომ ნადირობისას ირემს მართლა კი არ კლავენ, აძინებენ; რომ ომის სცენა ტაილანდშია გადაღებული და ვირთხები მართლა ვირთხები არიან; რომ მერილ სტრიპს არც ვოლკენი უყვარდა და არც დე ნირო და სინამდვილეში ჯონ კახალეს გოგო იყო.

მერე მინაზე უბეჭდა, მოგბოლ ფულს გამარჯვებულს მუქში უყრის და მოგამოვლილი პერანგის საყელოს ისწორებს.

„ზოგ ფილმს ერთი ფინალი აქვს, ტიტრებით ადვილად მიხვდები, — იტყოდა ხოლმე ცისია, — ზოგს ორი და შენ უნდა აირჩიო, სად მთავრდება ამბავი.“

გუჯაც ყელზე გამოზმულმა თოკმა ისევ სოფელში დააბრუნა. კარლია ავტობუსში გამხდარი და წვემოშვებული კაცი ვერაინ იცნო. ცისიას სახლამდე კლუბის ნაცვლად აშენებულ ეკლესიასთან ჩამოვიდა. გული ცივი წყლით გაიგროლა და კინოფირებით სავსე ზურგჩანთა ცისიას მოხატულ აბრასთან ერთად იქვე, წყაროსთან დატოვა. ქუდი მოიხადა, სალოცავში ფეხაკრეფით შევიდა, საკმეველის სუნი ღრმად შეისუნთქა და საკუთარი თვალით იხილა ის, რაც ფილმშიც კი არასოდეს ენახა. საკურთხევლისკენ მიბრუნებულ გოგოებს გუმბათიდან შემომავალი შუქისთვის თვალი გაესწორებინათ და ორხმად ჩურჩულდნენ:

„ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მინა მე...“

„ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მინა მე...“

ყველას ხის ცარიელი ჩარჩო ეჭირა ხელში. ყველას ცისიას თავშალი ეხურა. გუჯა კედელს მიეყრდნო, სმენა დაძაბა და მლოცველთა ზარში თითქოს ცისიას ხმაც გამოარჩია. „ზეცა იყო და ზეცად იქცა!“ — უნებურად გაიფიქრა, მესანთლის კუთხეს მიუახლოვდა, საკიდიდან ცისიას ზამბახებიანი თავშალი ჩამოხსნა, სახესთან ახლოს მიიტანა და სულ სხვა ქალის სურნელი იგრძნო...

ჟანრი: მოსაყოლი ფილმები.
როლებში: ცისია საკანდელიძე და გუჯა ანთელავა.
მონაწილეობენ: სოფლის ბრძენი და კინოში მოსიარულე გოგო-ბიჭები.

პოეზია მანუაელი

ლამე, წვიმა, გაუცხოვებული ქალაქი...
 მეორე დღეს მზე ფანჯრიდან
 ისევ ის მზეა, მივდივარ რუსთაველზე,
 ჰაერის ორმოები რომ
 სტროფებს შორის მანძილებს არ მივამგვანო,
 თუნდაც, ჭადრების ლიტერატურული
 წარსულის გამო, ლინზებს მჩრიათ თვალეში
 21-ე საუკუნეში მხედველობა -7?
 რა თქმა უნდა, მოგეჩვენება, რომ
 ჭადრები პოეტებს ისხამენ
 გიჟებს, ფუტურისტებს, გაზაფხულობით
 აღერგიული ბენევიკით დაფრინავენ...
 რა თქმა უნდა, პოეზია მავნებელია
 ჯანმრთელობისთვის!
 სასტუმრო „თბილისთან“ გავივლი, რომელსაც
 ჯერ არ ქვია „მარიოტი“,
 ოთარ ჭილაძე შემხვდება, ვეტყვი,
 რომ ერთი ლოდინით აქეთ გადმოვნიე
 და მიხარია და, კიდეც, ველოდები,
 იაფფასიანი მელქიორით გატენილი ვიტრინიდან
 კაცი გამოვიდეს, ფერები ისე განასკვოს,
 რომ თვალების ბროლი დამიმტვრიოს,
 რომელსაც ავკრეფ და მხატვარივით
 დავინახავ ცხოვრებას, თუმცა ხატვა არ ვიცი
 ისე, მოლოდინსაც რა ბევრი საღებავი უნდა,
 როცა სინონიმია...
 სისხლი რომ უკან დაიხვეს
 თავის მიმოქცევაში,
 და გაუთვალისწინებელი ნაპირივით დამტოვებს,
 ჩემი მოლოდინით შემსუბუქებული
 პოეტები მოგროვდებიან: თვითმკვლელები,
 მოკლულები, მოსაკლავები —
 პოეზია მავნებელია ჯანმრთელობისთვის!

 ართმია რატომ ციმციმებს?
 ღმერთი რომ შევიდა ჩემში,
 შარავანდედი აღარ ჩაეტია?
 ან ოპერას და კონსერვატორიას
 რომ ხესავით ჩრდილები აქვთ,
 ამ სიცხეში შემთავარებენ?
 შეკითხვაზე მახვილს ვამკვეთრებ, —
 თითისწვერებზე ვდგავარ,
 ივლისში ცხოვრება —

ნითელი საგნების გადაადგილება...
 იმან რაღა ქნას, ვინც ვერ ერკვევა
 მუსიკაში და შარავანდედებში?
 ისეთი გახდეს, კუს რომ ბაკანი ააგლიჯო,
 რბილი და მოქნილი ლაქუცის ხელსაწყო?
 ჭარბთმიან ატამს მივცემდი ხელში,
 ნაალეკინოს ჟრუანტელს თავი,
 სანამ ნორმალურობის
 მოსაწყენ ფაზაში არ გადასულა,
 მერე მჭვრეტელის,
 მერე ნიალიდან მოლაპარაკის,
 თუნდაც, იქამდე, სანამ ღმერთი
 ნითელ საგნებს დაუდგამს
 თეთრის გარდიგარდმო,
 მაინც გულდაწყვეტილს დატოვებს
 მკაფიობის წინაშე...

უძილობა

უძილობა — ათასი ხელ-ფეხი
 საწოლზე მოსაბლაუჭებლად,
 შიგნით ნაოჭები, ორმოები, კუზები,
 ფარდებს მუცლები ებერებათ —
 ფეხშიმე ფანჯრები ხვალინდელ ღამეზე
 და არა მოახლოებულ გათენებაზე...
 ღმერთო, წამახმარე ცოტა ლოგიკა
 მშვიდი ადამიანების ძილიდან,
 სანამ დილაში ამოენობიან,
 როგორც პირს იბანენ,
 მზე ამოსდით და ჩასდით წყნარად,
 ფოლკლორული გართულების გარეშე,
 თავში დოლებსაც, კაცს რომ მაკვლევინებენ,
 თუ ციტატას „კლასგარეშე“ ლიტერატურიდან,
 განათლებული მშობლების გასაგონად,
 სიკვდილის მერეც უგემურ სიმეტრიაზე
 დამოკიდებულების, როცა მე
 სიცილიდან ღრძილები მიჩანს,
 უძლობიდან — ათასი ხელ-ფეხი,
 რას გააწყობს თქვენი სილოგიზმი,
 თავშეკავებული, წვიმაში შეფერხებული თეთრი
 და არა გადმოყრილი ღრძილების ფერი,
 თუ თავმა დოლების ანთება გაახურა?
 სახეზეც ღამის ტალახი მაქვს, ამჩნევთ?
 ასე თავდება?

ღია სტურუა



ჰვა მაინც ჰვაა

ოთხი კედელი — ჯერ ციხე,
 მერე მოწყენილი ჩარჩო,
 მერე წონასწორობის კომფორტი,
 როცა კლდოვანი მკერდის ილუზია
 ნახევარ ცხოვრებას შექამს:
 ფრთხილს, ტრადიციულს, ელფერებიანს,
 რაც დარჩება, დღეებით კი არ იზომება,
 მენამულობით, სალექსო ფორმაზე
 მორგების ხარისხით...
 ამ ესთეტიკით ეყრდნობოდი,
 თუ რეალური ძვლებით?
 კლდე ბუნებაა, ამღებია იმის,
 რასაც სთავაზობ,
 ისე როგორ უნდა გიყვარდეს,
 რომ ხერხემლის ღერძი გაიმრუდო?
 არც შეეცოდები, არც სიტყვების
 კორიანტელს დააყენებს.
 რამდენი ჩიტი შეახეტა ქარმა!
 ამ სისხლით იყურება,
 ნათესავი ფერი თანაგრძნობად ჩაუთვალე?
 ხავსი რომ ამოუვა და დაგირბილდება,
 ამას ელოდები?
 ქვა მაინც ქვაა, პირდაპირ ფიქრობს,
 მოსახვევებში ვერ ჩაენერება,
 შენი მოქნილობა არ აქვს, არც მანქანების,
 ერთმანეთს რომ შეასკდებით
 თუ გადარჩი, კედლების ჩარჩო გელოდება,
 თუ არა, სურათის, საფლავის, ბოლოსდაბოლოს
 რა გინდა მიწაში?
 კრემატორიუმი ითხოვე მეზობელი ქვეყნისგან
 და ისევ კლდესთან!
 ის ხავსი ამოუვიდა,
 რაც გულჩვილობას ნიშნავს, თუ არაფერს,
 იცი? ან შავი დედები
 ნაცარს როგორ იყრიან თავზე?

ისე ცოტა ღაპრად

აჩქარებული დღეები, ორშაბათები
 შუბლით ებჯინებიან კვირებს
 (ნითელი ციფრები თარიღების ბუღალტერიაში),
 მოწყენილი ფერხული ერთჯერად საგნებთან
 მათი დედნების ყბადაღებული სულიერება
 კი მახსენებს თავს, როცა
 კომპლექსების თაიგულს ჭიქაში ვდგამ,
 და წყალს ვუცვლი, რომელიც დალპება,
 ჭერზე თუ ავედი
 დაბრუნების შესაძლებლობა ლექსივითაა:
 ან გამოვა, ან არა, მით უფრო,
 როცა ღმერთი ისეთი აშკარაა, როგორც
 შიშველი ნათურა და კლინიკური მკვდრები
 მორიდებული შავი დერფნებით კი
 არ უახლოვდებიან, ფამილარულად აჭრიან
 სინათლეს გრამობით, სანტიმეტრობით —
 ეს დატკეპნილი პოპულარობა
 და ჩემი საწყალი ვერლიბრი,
 როცა ძალიან ეზოთერული,
 დედა, მომამეველ შენი ათეიზმი!
 კისრებს იქაც ათანაბრებენ?
 დანით თუ არა, თეთრი მარკერით?
 გამიმჟღავნე ეს ნეგატივი!
 კედელზე რომ ჩამოვქვეითდე
 ნორმალური მკვდრის პოზაში, რომელიც ახსოვთ!
 რაც აღარ გამომდის
 ისე ცოტა დაგრჩი დასაბრუნებლად...

 ჯერჯერობით რიტმი კბილებში მაქვს,
 სანამ ფეხებამდე ჩააღწევდეს,
 რაღაც მკაფიო სიტყვებს მაჭედებს,
 არა სხვების გასაგონად,
 ჩვეულების გასამყარებლად
 და ყოველი სიტყვის უკან შენ ხარ,
 ზამთრის ლილაში ამოვლებულ,
 ხორკლიან ზურგს მოფარებული
 რატომ ხორკლიანი?
 12 სმ-იანი ქუსლებით დაჩხვლეტილი,
 აბა, ბრტყელი ფეხისგულებით
 საწოლს რომ ვნაყავ,
 ამას ხომ არ დავანახებ,
 ან გაზეთის ფრთებით ჭერზე
 როგორ ავდივარ და ვვარდები?
 გაზეთმა დანარცხების სიმართლე უნდა მაჩვენოს,
 შენმა გამოჩენამ — დარდის
 და არავითარი მტირალა ნიუანსები,
 მთვარის ხელშეწყობით!
 იქნებ, სცენა?
 შექსპირის დაუდგენელ ლანდზე
 მიშუქებული პროჟექტორები?
 მდინარის შროშანი და მონამლული დაშნა —
 ყველაზე სცენური თანხვედრა
 ორი შეუთავსებლობის?
 მხოლოდ ასე! თორემ სხვა რა?
 თხოვდებიან და ყვავილოვანი ტყუილით
 აკრთობენ სინამდვილეს?

დაბადების დღე

დაბადების დღე...
 ძალი რომ ნითელი ნათურის
 ანთებისას იქით გაინეცს,
 სადაც ხორცის ნაჭერი ეგულება,
 ისე მივინვე საზეიმო განწყობილებისკენ!
 ნითელზე ხომ შავს ვერ იტყვი,
 ვერც ცდისპირზე — თავისუფალს,
 მის მჭლე სალაშში
 ლიქნი ფეხს ვერ მოიკიდებს
 მოტყუებული ძალღვივით ვეხლები კედლებს...
 ხორცის ნაჭერს ამინთებს ვინმე,
 ანუ საზეიმო განწყობილებას,
 რომ იქვე წამართვას?
 აღზნებული ნითელი ყოველთვის ბევრია,
 ამიტომ არ უკეთებენ კასტრაციას
 შინაურ ძაღლს? ისევ მისი სიმშვიდის გამო:
 იქნებ, მართლაც სიმშვიდე ჯობდეს
 მონონარმოდგენით ნერვების გლეჯას?
 ან ლიქნის წვერზე ავიყვანენ, ალისფერი ხავერდის
 ბალიშზე წარმატებებს დადებენ, მაგრამ
 ერთადერთი მარცხი გადაწონის, რადგან
 წნაფი და ამყოლია ხალხის თვალი, გულმავინეცი,
 სანამ ვინმე ქეძაფს არ შეგასხამს
 და მის ხსოვნაში ასომთავრულით
 არ წამოგატივტივებს, თუმცა აქამდე
 უფრო ტანმორჩილი, ალალ მხედრულს ეფარებოდი,
 ისევ შენი სიმშვიდის გამო?

 ვერ იყვირებენ დალაგებული,
 კარგად ტემპერირებული ლექსები,
 როცა კეთილგანწყობილი ავტორისთვის
 ღამის პეპლებიც კი შავად, მაგრამ მაინც ყვავიან!
 ღამის, ხარვეზიანი თვალეში ამოვილო,
 სადღაც დავდო, დილას ვერ ვიპოვო
 და იმაზე უფრო გავბრაზდე,
 რომ ნათურას ნერვები არ აქვს!
 რაღად მინდა ეს მინუსიანი თვალეში?
 საწოლი, მაინც თეთრად ჩანს,
 საწერი მაგიდა მაუდის მწვანეს მინთებს:
 სადაც მინდა, როგორც მინდა, რამდენი ხნითაც...
 ეპოსის ბოლოში კი გავალ,
 მაგრამ დაბრუნება?
 მოქსოვილი სამშობლო რომ აღარ მომენონოს,
 ვინრო, პატარა შალის კედლებიანი?
 ის მქსოველიც რა ამაოა,
 თუ იცის, რომ ჯერ სივრცეების ვარ,
 ღია, უკაუჭო სივრცეების, ანუ ეპოსის.
 ლიტერატურული ბოლო თვითონ თუ არ გავუკეთე,
 ტანიდან ძალი არ გამოვუშვი,
 ფაქტიურად ერთ-ერთი ორგანო, ყველაზე ცოფიანი,
 ესეც შესაძლებელია, როგორც
 მოკლე ჩართვები ლექსში,
 სახლიც რომ პერანგივით ჩავიცვა,
 პატარა, ვინრო, შალის კედლებიანი!
 როგორი თბილია! რამდენ კაუჭს კარნახობს:
 დედაჩემის ლანდს — შიშის
 ჩემი ქმრის ხელებს — თაბაშირის,
 უფილტრო „პრიმას“ — ონკოლოგიის
 და ნათურასაც თუ ნერვები არ აქვს,
 აბა, საიდან ეს ნითელი ორკესტრი?

ძილის წინ მაგალზე ვფიქრობ და თხა მესიზმრება,
 საოცრად მეტყველი თვალებით,
 კიდევ, კვირტებგაშლილი თხილის ბუჩქები,
 რომლის რტოებსაც თხა კენეტს.
 ნაკელს შლიან გლეხები ყანაში,
 ხოლო ქათმები ქექავენ,
 ვგრძნობ ამ ყველაფერს სუნით და გემოთი
 და ეს სიზმარი უფრო ნამდვილია,
 ვიდრე ჩემი ყოველდღიურობა.
 ამას ხვალ დილით გავიგებ,
 როცა ლიფტის ხმა გამაღვიძებს,
 ან, ჩემი მობილურის მალვიძარა,
 საიდანაც მამალი ყვირს,
 ან სულაც შემწვარი ბანანის სუნი
 და ნაბიჯები, ჩემი ქოთქოთა ბოლივიელი დიასახლისის.
 უკვე ტაძრის საათმაც დარეკა,
 დროა, მშვიდობიანი დღე მისურვოთ,
 გავდივარ.

გიან სლოვანს

„ხის მორების დასიზმრება,
 ახლობლის სიკვდილის მაუნყებელია.“
 ძველების ნათქვამი

თუ ავსულებმა გამთვალეს, ან დამთარსეს,
 დედის შელოცვამ თუ არ გაჭრა,
 არც სიზმრის დანვამ..
 ასე მგონია, ტანზე ვირგებ ეშმაკის ნაცვამ
 ბენვის ქურქსა და..
 სწორედ იმ დროს ვფიქრობ ზამთარზე.

პატარა ხევზე
 და გაყინულ ღელეზე, ხევში,
 იქ, სადაც მორებს ვაცურებდი, და ხელის თითებს,
 იმ სიცივეში ყინვისაგან გათოშილ თითებს,
 ვერ ვგრძნობდი,
 მაგრამ სწორედ მაშინ, მთელი სიმძაფრით,
 ვგრძნობდი სიცოცხლეს,
 სიცოცხლეს და ხარის თბილ სუნთქვას,
 ასე ყინვისგან შეჭირხლულ და გამხდარ სახეზე.

და ვიგონებდი ამ ქვეყნიდან გამქრალ სახეებს,
 ვინც კი მახსოვდა, ვინც იშრომა, იტანჯა, დღეს კი
 არ ელოდება არც დევმტვირთვას არც უქმე ვებიშს,
 თითქოს მთრგუნავდა შორი სახე, უდაბნოს ფრესკის
 და სევდა, თოვლქვეშ დარჩენილი საფლავის ქვების.

ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)
 სთვლისას და ბინდში ჭრაქების პარპალს,
 ღამის მეხრეთა უხმო ქარავანს
 და ზვინს, რომელიც წვიმაში დაღპა.

მიკვირს, აქამდე როგორ გავძელი,
 ასე მშვიდად და უფათერაკოდ.
 ჯანდაბას ყველა ნაჯღაბნ-ნანერი
 და შენც გამცემო, ლექსო, ვერაგო.
 მინდა პერანგის ფართოდ განელილი
 უბეში, მნიფე მსხლები მელაგოს.

თუნდაც ბზიკები მკბენდნენ მუცელზე,
 თუნდაც ძლივს გავასწრო მეზობლის ნაგაზს,
 სადაც კუნტრუმობს ჩემი ბავშვობა,
 ბოროლასავით მომწყდარი ბაგას,
 როგორ დავშორდი, როგორ დამშორდა,
 ჩემი ბავშვობა,
 ჩემი ბავშვობა.

ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)
 სთვლისას და ბინდში ჭრაქების პარპალს,
 ღამის მეხრეთა უხმო ქარავანს
 და ზვინს, რომელიც წვიმაში დაღპა.

ეზოები, დავარცხნილ-დახვეტილი.
 კოცონი. ფოთლების მწარე კვამლი
 და დიდი, შავი ნახვრეტივით
 ღამე ჩანს, სიმშვიდის ნამლეკავი.

ყვინოსავ ნაკვერჩხლებზე შემწვარ ტაროს,
 ვწრუპავ თბილ არაყს და... იქ კოპიტზე
 ბუ ზის. თუ ვერ მოკრავ თვალს ტარტაროზს,
 მამ რა ბედენაა ჭინკობისთვე.

ის შორი სევდა მთაში მდგარ ქოხის
 და ძაღლის ყეფა, ზმუილიც ძროხის,
 ყავრებზე ხშირი კაკუნი კოხის,
 ცხენი ტვირთმზიდი და არა დოღის,
 ეს ყველაფერი არ არის, ის რაც
 ყველაფრად ღირდა და ახლაც რო ღირს,
 თვალეში სევდა ჩამონვა ნისლად,



სოსო მეშველიანი

ოცნებიანად დავიჩუტები,
 სტრიქონებს შორის რაც მოსვლა-მისვლად
 ღირდა, უკვე ვთქვი,
 ვთქვი და ვჩუმდები.

რენე კალანდიას

გარეული მსხლის ნედლი საძირე
 კვებავს გულაბის გაფოთილ ნამყენს.
 დედა ჩვილს — დათვი ბელებს აძინებს,
 არ დავსვამ წერტილს, დავსვამ ამ მძიმეს,
 იქნებ ეს განცდა ბოლომდე გამყვეს.
 გარეული მსხლის ნედლი საძირე
 კვებავს გულაბის გაფოთილ ნამყენს.

გაკრთება მთვარე ფოთლებში კაკლის,
 ქარი ჰქრის, ვუსმენ ხეების შრიალს,
 სველია მიწის ყოველი აკრი,
 ნუთუ ეს არის ბუნების ნაკლი,
 ონჭყო სიმინდს მტრობს, შავჯაგა — შვრიას.
 გაკრთება მთვარე ფოთლებში კაკლის,
 ქარი ჰქრის, ვუსმენ ფოთლების შრიალს.

და ვგრძნობ სუსხიან ყვავილებს ჭინჭრის,
 ასევე, ტოტებ-ბენვიან ცირცელს.
 და მესმის სანამ და თვალიც მიჭრის,
 ცას ვუმზერ, ვუსმენ ხეების ჭრი-ჭრის,
 ექცევა ჩემში მდუმარე სივრცე...
 და ვგრძნობ სუსხიან ყვავილებს ჭინჭრის,
 ასევე ტოტებ-ბენვიან ცირცელს.

უკუსვლა

„მათ ახსოვთ მუდამ,
 რომ ტანჯვა მთელი სისასტიკით
 აქ აღწევს ზენიტს“.

ოდენი

მე ვებერთელა გომბეშო ვარ!
 ჩემს ცივ, ნებოვან ენას ვიქნეე უმისამართოდ
 და ყველაფერი ჩემში ექცევა.
 ვნაგვიანდები,
 ვერ დავხტივარ, მუცლით დავხობავ,
 რადგან სამყაროს სიბინძურე მამძიმებს ასე.
 ახლაც სისხლიან გუბეში ვყვინთავ —
 ჩემს თავზე მთვარე
 ზეამობრუნდა დედაკაცის საზარდულივით
 და უნაყოფო სანყისისკენ მიმეზიდება.

გავშვოვის მავროპარს

რა ტროტუარი, ბაილ, რა ქუჩა!
 აქ ორღობა და კაკლის ჩერო.
 მზე, აივანი და ნედლ ნაქურჩალს
 ის სურნელი აქვს, ოდითგან ჩვენ რომ

გვიყვარდა. ასე ბევრი ჩვენსავით
 კი იგრძნობს — ლექსად ვერ, ან არ იტყვის.
 გვიყვარდა სველზე მოკრეფა მაყვლის
 და გარინდება ნანვიმარი ტყის.

მშიერ-მწყურვალის ბლავილს არ ჰგავს,
 სისხლსაც გაყინავს —
 გადახნეკილი ჰაერს ლოკავს ჯიქანის გასწვრივ,
 ასე ბლავილით შვილს დაეძებს —
 ბოროლა დაკლეს.

სავსე მთვარის დისკო, ქინქლების გუნდი,
 შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა
 3D ფორმატის ხარისხზე უკეთ ჩანს,
 კუნძუზე შემომდგარ მგლის თვალებიდან.

სადაც, სივრცის და დროის მიღმა,
 არა ათობით,
 მირიადობით ციმციმებდა ცაზე მნათობი.
 შორს, ძალიან შორს,
 მოგუდულად ყეფდა ქოფაკი,
 თითქოს დაღლილი ნუთისოფლის უნიათობით.

სრულყოფილებით დაშაქრული ზაფხულის
 ღამე,
 ზეცას რომ გადამნიფებული ვარსკვლავი
 მოწყდა —
 ჩაიშუთლა მსხლის ნაყოფმა
 ბნელ სიმინდებში.

ელია, ყველა ხვთაებაზე ბევრად მრისხანე,
 დავგამახსოვრა სამუდამოდ ვინაც ის ღამე,
 ცოტაც და ასე თუ გაგრძელდა,
 ტაროსის შიშით
 ალბათ ხეები კვირტებსაც არ გამოისხამენ.

როზაი კვიციანი

მეც ბედს მივენდე, ამაზე მეტს რას გავრისკავდი,
 გადამიშალა ბედისწერამ თვალწინ ის კარტი.
 ვყმუოდი ღამე ნადირივით, გამთენიისას
 ვიგრძენი ჩხვლეტა, სიგრილის და მამლის ნისკარტის.

ფიზიკულტურის მასწავლებელი

კატო ჯავახიშვილი

ორი ზღაპარი დიდებისთვის



ჩვეულებრივში დიდხანს დარჩა საპირფარეოში. ბაზრობის იაფფასიანი ფლოსტები ოთახში ბოლთას სცემდნენ. წინ. უკან. წინ. უკან. „რას აკეთებ, ნეტავ, ამდენ ხანს, ჯანდაბა. გოგო, ჩავარდი მანდ, თურა ხდება?...“ „მალე გამოვაალ“ — კარს იქით შუახნის ქალის სიგარეტისგან ჩახრინული ხმა მოისმა და სხვა რა გზა იყო — გაგრძელდა ლოდინი.

უკვე ათი წელია, ერთად ცხოვრობენ. ათი წლის მანძილზე ათჯერ შეიყვარეს და შეიძულეს ერთმანეთი, ათჯერ სამასსამოცდახუთჯერ შიოდით და ამდენჯერვე გაბერილ მუცელზე ხელებშემოწყობილები ისხდნენ, როცა მაძღრობისგან ვეღარ სუნთქავდნენ. ამდენჯერვე აწვებოდნენ ერთმანეთს — ხან ქალი იყო ზვიდან, ხან კაცი, ხან გვერდულად, ხან მაგიდაზე.

თავიდან ადგილებს არ ირჩევდნენ, მერე დაიწყეს. „გვერდიდან სჯობს, წინიდან, უკნიდან, ადგომა ჯერ ადრეა, ჯერ ვინვეთ“. მერე უკვე ფიზიკულტურა იყო. ფიზიკულტურის მასწავლებელი საწოლთან იდგა და მითითებებს იძლეოდა. „აბა, სუნთქვა შეაჩერე, გაახშირე, კიდევ შეაჩერე, პაუზა, პაუზა-მეთქი!.. დაიწყე, მიდი, ბიჭო, მიდი, მალე ფირნიშია, გოგო!“

მაინც არაფერი. იმასაც, დილით უგულოდ შემწვარ ყიყიყობს ხორცის ნაჭრებით მთელ-მთელს რომ ყლაპავდნენ და ერთმანეთისთვის აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი. არადა, ფიზიკულტურის მასწავლებელი ამბობდა, ფიზიოლოგიურად ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ყვითელგულიანი მინის ჭამა უნდა ისწავლოთ. ამით კიდევ, თითქმის შედეგამდე მისულელებს, აჩეჩილი ზნერის უცნაური სუნი გულს ურევდათ.

ფიზიკულტურის მასწავლებელი მაშინ აღმოაჩინა, მორიგი უშედეგო ღამის შემდეგ ქუჩაში საბოდილოდ გამოსული ჟანგინი ლურსმნებით მიჭედებულმა უსახურმა აბრამ რომ შეაჩერა — **„ვეკურნავთ შვილნაკლულობას და გულნაკლულობას, 100%-იანი გარანტიით და უახლესი მეთოდებით“**. ცდუნებას ვერ გაუძლო და შევიდა. გვერდებაცქველფილ მაგიდასთან მისი ფიზიკულტურის მასწავლებელი იჯდა. ზუსტად ის მასწავლებელი, ქონშეპარულ და გახვითულ პატარა ბიჭს ქანცის განყვეტამდე რომ ავარჯიშებდა და ამას კიდევ, არასპორტულსა და მოუქნელს, არაფერი გამოსდიოდა.

ქონდალულ და დიდი ბიჭის დანახვაზე ფიზიკულტურის მასწავლებელმა გაქონილი თავი ფანქრით ნერვიულად მოიფხანა და შეუვსებელი კროსვორდი მაგიდის უჯრაში ჩააგდო. აღმოჩნდა, რომ ფიზიკულტურას შეშვებია, გენური ინჟინერიის განხრით დისერტაცია დაუცავს და საყოველთაო აღიარებაც სწევია. ექიმმა კაცს სპერმის მოტანა სთხოვა, ქვიშისფერი ფხვნილი შეურია და მოყვითალო და უცნაურსუნიანი მასა ერთჯერად ცელოფანში გამოუკრა. „ყოველ ღამით, ორივემ ერთი და იმავე დროს, შუაღამის 4 საათზე გამოიღვიძეთ და ჩაის კოვზით ეს ფხვნილი მიიღეთ. ოღონდ გაფრთხილებთ, წყალი არ დააყოლოთ,“ — მკაცრად გააფრთხილა და 100%-იან შედეგს დაპირდა. ბედნიერი და ჯიბეცარიელი დაბრუნდა კაცი სახლში. ბედნიერი, უსიყვარულო და ჯიბეცარიელი, ასეთივე ბედნიერ, უსიყვარულო და გულცარიელ ქალთან ერთად, ერთი და იმავე დროს, შუაღამის 4 საათზე იღვიძებდა და გულსამრევ მასას ნუტელასავით ჩაის კოვზით მიირთმევდა.

— გამოდი, გოგო, გამივიდა, — კაცს უკვე კანკალი დაეწყო, ტახტზე ჩამოჯდა და გამხდარი ფეხები გადააჯვარედინა.

სიჩუმე საკეტის გადატრიალების ხმამ დაარღვია. საპირფარეოდან განიერთეობიანი ქალი გამოვიდა.

— რა უბედურებაა ეს ორი საათი ტუალეტში ჩაკეტვა, ლოცულობდი? — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა კაცმა და ტახტიდან წამოდგა.

- ტესტმა არჩენა, რომ...
- ტესტმა არჩენა?
- ჰო, არჩენა ტესტმა, რომ...
- ამოთქვი-მეთქი!
- ფეხმძიმედ ვარ, — ფერმკრთალი

ტურები ააცმაცუნა ქალმა და კბილებში გამოსცრა.

ჩუმად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. კაცს წყლისფერი თვალები ჭაობით აევსო და ქალის გული თავის გულში ცივად ჩაიკრა.

მერე დღითი-დღე იზრდებოდა მუცელი ქალში და ნელ-ნელა მცირდებოდა სახლი ავეჯში. ისედაც ღარიბულად ცხოვრობდნენ და რაც გასაყიდი ჰქონდათ, ყველაფერი გაყიდეს. ჯერ ჭურჭელი, ნულისკაბიანი ფაიფურის ბალერინები და მზითველი მოყოლილი ვერცხლის დანაჩანგალი, მერე უკვე ალუმინის ტაფებსა და ქვაბებზე გადავიდნენ. ძველი ქვასანაყი, ნივრის საჭყლეტი, ტაბურეტებიც კი.

ქალს არანორმალურად გახსნილი მადა ჰქონდა და მადას არანორმალურად მომთხოვნი ქალი ჰყავდა. ღამით ლოგინი დათუნია კანფეტების ქაღალდებით ივსებოდა, სულმოუთქმელად ნთქავდა და მაძღარ, ტიტველ მუცელზე ხელებს იტყაპუნებდა:

— ხვალაც მიყიდი, ხო?
— ჰო, აბა, რა, ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც, თუ გადაგვირჩა რამე გასაყიდი, — ბუტბუტებდა კაცი და ბუმბულის ბალიშებს ამზადებდა მეორე დღისთვის.

ფიზიკულტურის მასწავლებელი ლოგინთან იდგა და კმაყოფილებისგან ტურებს ილოკავდა. დღითი-დღე ილეოდა კაცი, მოუველელი ყანასავით ხმებოდა და საუთოთო მაგიდასთან მიმდგარი ქალის საცვლებს უბებებს უხამებდა. მერე, ღამით პორნო-ფილმების ყურებით იტყვევდა თავს და გახამებულ უბებზე ფიქრობდა. „ცოტაც, ცოტაც და ამოვისუნთქავ“ — იიმედებდა თავს და ძალაგამოლეული ტახტზე იძინებდა.

ის დღეც დადგა. ზუსტად ის დღე, როცა ნესვივით მუცელი ქალში ათამაშდა და მუცელმა განწირული ხმით დაიჩხვავა: „ჩქარა, რას უდგებარ, ვერ ხედავ, დამენყო.“ კაცი დაჭმუჭნულმა შარვალმა ამოიცვა, მუცელი ზურგზე ჩემოდანვით წამოიკიდა და ახლომდებარე სამშობიარო-დეტანტულით მიიზინა. „მიმღებში, მიმღებში“ — მითითებებს აძლევდა ფიზიკულტურის მასწავლებელი. თეთრხალათიანებმა ქალი ზურგიდან ჩამოხსნეს, კაცმა ამოისუნთქა, სკამზე მორჩილად ჩამოჯდა და დალილს იქვე ჩაეძინა. „ბიჭია, ბიჭი“ — ექიმის ხმამ გამოაფხიზლა და ფეხებზე ტანი შეაყენა. მუხლები უკანკალბედა.

— ბიჭია?

— მერედა, როგორი. ასეთი უცნაურობა ჯერ არ მინახავს, იმხელა ქოჩორი აქვს თქვენ ბიჭს, სამი წლის ბავშვს არ ექნება, 7.500, სასწაულია პირდაპირ, დედაც კარგადაა, გილოცავთ!

— 7.500, — მხოლოდ აღმოხდა.

გულნაკლული, ფეხით გამოუყვია სამშობიაროდან. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. ძირს იცოდა ხოლმე ყურება, ნაბიჯებს ითვლიდა. სიარული — ოდნავ ნერვიული. პოზა არა, ასეთი იყო. ზუსტად ასეთი. ქალს რომ შეხვდა, მაშინ იმას ჯერ კიდევ გოგო ეთქმოდა, ჰო, გოგო-ქალს რომ შეხვდა და მეგობრის დაბადების დღეზე მის გვერდით

მომხედრილს, ხელი ხელზე მაგრად რომ მოუჭირა, რადგან ეგონა, უკვე დრო იყო, უკვე მარტო ყოფნა აღარ შეიძლებოდა და უკვე ვიღაცას, ქალს, მდებდს, თანაც ჯიშინს მისი მარტოობა უნდა ამოეცო — ეგონა, მთებს გადადგამდა. ჩასჭიდა მერე ეს ხელი და თავის ცხოვრებაში წამოიყვანა.

— სულ ერთად ვიქნებით, ხო? — ტიტინებდა უსიყვარულო გოგო-ქალი.

— სულსულსულულ, — გულში უსიყვარულოდ იკრავდა და სჯეროდა.

სულ ერთად ყოფნის სურვილი კი მალევე გაქრა. გოგო-ქალი მალე ჩამრგვალებულ, კაპას, მომთხოვნ დედაკაცად გადაიქცა, კაცი კი უუნარო, დალეულ ხორცის ნაჭრად, რომელსაც ფულის შოვნის გარდა, მისთვის შვილის მიცემაც კი არ შეეძლო.

— უვარგისი ხარ, არაფრის მაქნისი, უუნარო, შვილიც შენ გამო არ მყავს და საერთოდაც დაინვას ის დღე, შენნაირ ბლეყვს რო გავყვიცი, — ყოველდღე სისინებდა ქალი და კაცმა იცოდა, ქალი მართალი იყო — უუნარო იყო, არაფრის მაქნისი, ბლეყვეც და კიდევ ათასი სხვა რამეც.

სიკვდილის წინ მამის მიერ ნაჩუქარი ოქროს საათი გამყიდველს დახლზე დაუგდო და ფული უხერხულად ჩაიდო შარვლის ფულში. მხრებში კიდევ უფრო მოხრილიყო, ვიდრე მანამდე.

„მთავარია, ჩემ ბიჭს სამშობიაროდან გამოვიყვან“ — გაიფიქრა და სწრაფი ნაბიჯით გაბრუნდა უკან.

ბავშვი უჩვეულოდ სწრაფად იზრდებოდა. ქალი საჭმლის კეთებას ვეღარ აუდიოდა. 7 წლისა უკვე ორ მეტრამდე იყო და 120 კილოს იწონიდა. კაცი ხან მშენებლობაზე მუშაობდა, ხან მძლოდა, ხან დისტრიბუტორად — ნელში იყო განყვეტილი,

მაგრამ ბავშვის მუცელი ვერაფრით გააძლო.

განიერი თეძო ყოველ დღე ქალს იჭრიდა და დიდ ქვაბში ხარშავდა. გაზზე უზარმაზარი ქვაბი თუხთუხებდა და თუხთუხებდა. ქალს კი თეძოები ნელ-ნელა უთხელდებოდა.

— ნადი და ფული მოიტანე, ბავშვს მშვიერ ხომ არ მოეკლავ, — ჩხაოდა ქალი. ისე, ბავშვის გარდა ყველაფერს გავდა — მსუქანი, მოქონილი პირი, მხრებამდე დაშვებული ლოყები, განიერი თეძოები.

ზოგჯერ ქალში ტირილი იღვიძებდა და რალაცის თქმას ცდილობდა: „არ უნდა დამეყოლებინა წყალი, წყალი არ უნდა დამეყოლებინა, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მწყუროდა.“ კაცს არ ესმოდა. კაცს არაფერი ესმოდა საჭმლის მოტანის გარდა. ბავშვი უნდა გამოეკვება.

კაცი თავდახრილი გადიოდა სახლიდან. გამხდარ ფეხებს ძლივსა მიალასლასებდა. თავი უსკდებოდა და ყურები ნიჟარებით უშრიალებდა. ბოლო დროს ძალიან სიტყვაძუნნი გახდა. ორ სიტყვას ძლივს წამოაცდენინებდა. დიდხანს ატრიალებდა პირში, აგემოვნებდა, სინჯავდა, ზომავდა, ცოხნიდა. ყველა გაერიადა. არ იცოდნენ, რა ეთქვათ, თითქოს.

იმ დღესაც ასე იყო. ფეხები საშინლად უკანკალბედა. ციებიანივით. ძლივს მივიდა ახლომდებარე აფთიაქამდე და ნაცნობ აფთიაქარს მოწყალეხასავით სთხოვა ორი ტაბლეტი ტკივილგამაყუჩებელი. ქალმა სათვალის ქვევიდან ჩამოხედა და ხურდასავით ჩაუგდო ხელში. იქვე, ჩამოსასხმელი აპარატიდან დალია წყალი და ყელში გაჩხერილი ტაბლეტი ნერვიულად გალექა.

— ისევე?

— ჰო, ისევე.

— ექიმთან უნდა წახვიდე, ამდენი ტკივილგამაყუჩებელი როგორ შეიძლება — შემფოთება გამოკრთა სათვალის მინებს უკან.

— ნავალ, ერთხელაც, — მოიტყუა და გარეთ გამოვიდა.

ფიზიკულტურის მასწავლებელთან გაიარა. ბოლო დროს სულ გადაივიწყა. აღარც მოცემულ მითითებებს ასრულებდა და აღარც ვარჯიშობდა. თავი არ ჰქონდა. დაუძლურდა. ჭალარა მოუმრავლდა.

— აღარ ვიცი, რა ვქნა. ამ ბავშვს, თუმცა რაღა ბავშვს, ორი ჩემდენს იწონის და ზვიდანაც დამცქერის, სულ შია. ეს სამსახური კიდევ, ქუჩაში ხომ არ ყრია. რა ვქნა, სად ჯანდაბაში გადავვარდე.

— გახსოვს ჩემთან რომ მოხვედი?

— როგორ არ მახსოვს...

— ის თუ გახსოვს, აბრაზე რა ენერა?

— „ვეკურნავთ შვილნაკლულობას და გულნაკლულობას, 100%-იანი გარანტიით და უახლესი მეთოდებით“, ამ წარწერამ შემომიყვანა შიგნით, — სხაპასხუპით უპასუხა. როგორც გაკვეთილზე.

— რას ნიშნავს, ხვდები მაინც?

— როცა შვილი არ გყავს და ამის გამო გულმოკლედი დადიხარ, ასე არაა? — ხმა გაუუცხოვდა კაცს.

— ახლა ხომ გყავს?

— მყავს... და არც მყავს. ვარ და არც ვარ. მიყვარს და არც მიყვარს, ვცხოვრობ და არც ვცხოვრობ... — ამოიოხრა კაცმა



და კისერი მხრებში ლურსმანივით ჩაიგდო.
 — გამოიგონე?
 — რა თქვი? — შიში გამოიგონა და იკითხა.

— გამოიგონე-მეთქი?
 — რა...
 — რა და შვილი.
 — როგორ თუ გამოიგონე...
 — როგორ და ჩვეულებრივ, სიყვარული, შვილი, სახლი, ყველაფერი გამოიგონე, მე კი უბრალოდ მოგვხმარე, იმიტომ, რო გჭირდებოდა.

— ანუ, გამოგონილი ვცხოვრობ?
 — შენც ეს არ გინდოდა? — ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანე გააჩინა ფიზიკულტურის მასწავლებელმა.

— უკან დაბრუნება არ შეიძლება? — ყინულზე ფეხი დაუცდა კაცს.

ფიზიკულტურის მასწავლებელმა ფანქრით გახეხილი თავი მოიქექა და მუჭით ყვითელი მინა გამოუტანა. ნაილე, ყოველ დილით საჭმელზე მოუყარე და მადა დაუქვეითდება. ცოლსაც ცოტა მიეცი და, აი, ნახავ, ხასიათი როგორ გამოუსწორდება.

ოღონდ იცოდე, ბევრი არ მოგივიდეს! გამოგონილიდან დაბრუნებაზე კი შემდეგ მოსვლაზე ვილაპარაკოთ „და ფიზიკულტურა არ დაგავინყდეს, ფიზიკულტურა!“ — მიაძახა კარში გასულს.

კაცს ქალი სძულდა, მაგრამ მასთან ფიზიკულტურას მაინც მიჰყო ხელი. ქალსაც სძულდა — მაგრამ კაცს ისტერიულად მოიდა. აწვებოდიენ ერთმანეთს, ხან ქალი იყო ზევიდან, ხან კაცი, ხან გვერდულად, ხან მაგიდაზე. მერე ქალი საუთოთო მაგიდასთან დგებოდა და კაცის საცვლებს უბეჭებდა უხამებდა.

— სულ ერთად ვიქნებით, ხო? — ტიტინებდა გამომხმარი გოგო-დედაკაცი.

— სულსულსუულ, — გულში ზიზღით იკრავდა და ყოველ დილით მნიკე მინას ბავშვს და დედაკაცს ჩაიმი უყრიდა. ბავშვს მადა დაუქვეითდა. ცოტას ჭამდა, ზრდით კი მაინც იზრდებოდა, შეუჩერებლად. ქალიც არ ჯუჯღუნებდა, თითქოს ყველაფერი თავისთავად მასწავლებელმა ამა-სობაში ფიზიკულტურის მასწავლებელმა კაცს თავის ოფისში ლამის მორიგედ შესთავაზა დადგომა და ისიც სიხარულით დათანხმდა.

შეივსო კაცი. „ხელები მალა, დაბლა, ნაბიჯი წინ, უკან, ბუქნი“ — დილაობით მეზობლებს მისი ომახიანი შეძახილი ალვიძებდათ. უძღურდებოდა ქალი, ფეხებს ძლივს მიაღწასებდა. გამომშრალ კანზე ნაპრალეები გაუჩნდა, გახსნილი ნაპრალეებიდან ძვლები აჩხა-ბაჩხა ამოსწროდა.

— სულ ერთად ვიქნებით, ხო? — ძლივს ლაპარაკობდა გოგო-დედაკაცი.

— სულსულსუულ, — ზიზღით პასუხობდა კაცი და გამოგონილიდან დაბრუნებას ცდილობდა.

ერთ დღესაც ლამის მორიგეობიდან დაბრუნდა. ქვაბში წყალი დამშრალიყო და მთელ სახლში დამწვარი ქონის სუნი იდგა. ბავშვი დედას ზედ ნამოსჯდომოდა და ხორცს გამალებით აძიგინდა ძვლებიდან.

შემინდა კაცი. ბავშვს გაუჯავრდა და მთელი მუჭა მინა ძალით ჩაუყარა პირში. გადმოაფურთხა ბავშვმა და გავარდა გარეთ.

მივიდა კაცი ფიზიკულტურის მასწავლებელთან თავისი ამბის მოსაყოლად. ოფისი აღარ დახვდა. დაბრუნდა კაცი სახლში, იქნებ შვილი მობრუნდაო და სახლიც აღარ ედგა. მივიდა კაცი ცოლის საფლავზე და ეკალ-ბარდში ვერ გააჩნია, რომელი იყო, ან საერთოდ იყო, თუ არა. ელოდა კაცი შვილს. ის კი არა და არ დაბრუნდა. გაახსენდა კაცს მიტოვებული მამისეული სახლი და სოფელში წავიდა. ჩავიდა კაცი მამისეულ სახლში. ხედავს, მოსდებია მთელ სახლს და მინას სარეველა. აქამდე სად ვიყავიო, და გლიჯა და გლიჯა ბალახი, ძირკვა და ძირკვა სარეველა, აშრო და აშრო შლამი, ამუშავა და ამუშავა მინა. მაგრამ არ მოვიდა და არ მოვიდა წვიმა და გაყვითლდა უწყლობით მინა.

კაცმა სხვა ქალი შეირთო ცოლად, მართლმოდებდა ხომ უნდა ამოეფსო. მიეცა კაცს ნამდვილი შვილები და მიეცა ნამდვილი შვილებს მამა და ამოისუნთქა. ამოისუნთქა კაცმა ცოტა, მაგრამ გულნაკლულობა ვერ მოიცილა. არა და არ მოვიდა მოსავალი.

— სულ ერთად ვიქნებით, ხო? — ეტმასნებოდა ჩათქვირებული ქალი.

„აბა ეხლა, სუნთქვა შეაჩერე, გაახშირე, კიდე შეაჩერე, პაუზა, პაუზა-მეთქი! დაინყე. მიდი, ბიჭო, მიდი, მალე ფინიშია“ — ხნავდა კაცი და გული ყვითელი მინით ჰქონდა სავსე.

— უკან დაბრუნება არ შეიძლება? — ამოიიღლიავე საკუთარი თავი დადლილმა.

— ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გენური ინჟინერია სარეველებზე, მავნებლებსა და დაავადებებზე კონტროლის განევის ნაცვლად, პირიქით, ქმნის ახალ „სუპერ“ სარეველებს, მავნებლებსა და ვირუსებს“ — ამბავს გარეთ გაქონილი თავი მოიფხანა ფიზიკულტურის მასწავლებელმა.

— ანუ?
 — ანუ, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, დოქტორი ვანდანა შივა.

— უკან დაბრუნება არ შეიძლება? — ამოცოხნა სიტყვამ კაცი.

ფიზიკულტურის მასწავლებელი ამბავს შიგნით ჩაძვრა და მუჭით წყალი ამოიყოლა.

— მლაშეა, — დაიჭყანა კაცი და ჭუჭყიანი წყლით გულამდე გაიბერა.

ის დღეც დადგა. ჰო, ზუსტად ის დღე, როცა კაცმა ჩვეულებრივზე დიდხანს დაჰყო საპირფარეოში. ბაზრობის იაფფასიან ფლოსტებში ფეხებგაყოფილი მისი ქალი ოთახში ბოლთას სცემდა. „რას აკეთებს, ნეტავ, ამდენ ხანს, ჯანდაბა. ჩავარდი მანდ, თუ რა ხდება?..“

— რა ხდება? — (ცივად იკითხა კაცმა და ქალს გვერდი აუარა.

დადუმდა ქალი და აუქცია კაცმა გვერდი მის თქმოს. ფანჯრიდან გაიხედა და ხედავს, მოდის მდინარე მის ყანაზე, მისი „ყოფილი“ შვილივით უშველებელი მდინარე მოდის და მოაქვს მისი დამუშავებული ყვითელგულიანი მინა. გულიდან მოიძრო კაცმა შვილები და გადაუყარა. არ გაჩერდა, მაინც მისკენ მოინეგდა. ტანიდან მოიძრო კაცმა ცოლის მკლავი და გადაუგდო. დადგა მერე კაცი და დალია წყალი ხარბად. რა ექნა, საშინლად სწყუროდა.

— სულ ერთად ვიქნებით, ხო? — ეტმასნებოდა ტანზე მდინარე.

— სულსულსუულ, — იხდიდა მაისური კაცს.

„**გვეურნავთ შვილნაკლულობას და გულნაკლულობას, 100%-იანი გარანტიით და უახლესი მეთოდებით**“ — გამოართვა მდინარეს თავი კაცმა და ოფისის წინ აბრა მიაჭედა...

მინიდან დაბადებული კაცის ამბავი

ჯერ გამაგრებული ყიფლიბანდით შავგულიანი მოთელა, მერე ნელ-ნელა ხელები ამოყო, მკერდით მიანვა — გაჭირვებით ჯერ ერთი ფეხი ამოაძვრინა, მერე მეორე, ამოტყეპნა ტანი და... ნამოდგა. ჩასძახა მინას: რა მქვიაო? — არაო, არ ვიციო, — იმან უპასუხა. ჩასძახა: ვინა ვარო?! — და, არაო, არც ეგ ვიციო, იმან. აბა, რა იციო და არაფერიო. სულ არაფერიო, სულ.

სული სხეულში გულა-სტირით ჩაიბერა, ჩაღუნა თავი და მლაშე კურცხალი გაახრამუნა. გაახრამუნა და მარილი მომივდა. მარილი მომივდა და ტურები გაილოკა. გაილოკა და დაიმანჭა. ტურებმოკვნილი იდგა და მლაშე ტანს ზღვასავით მიაქანავებდა. მიაქცია და მოაქცია ზღვა. გამოიყა და გამოიყა შლამი. მიიქცა და მოიქცა თავადაც. ისევ უკან დაბრუნდა და „ვინა ვარო“ კიდეც ჰკითხა. ისევ არაფერი. დაიხარა, გახსნილი გულიდან სიცარიელე გულისკოვზით ამოაჭამა და წავიდა.

ჩვეულებრივი ზღაპრით იყო და იყო და იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა და დედამინაზე იყო ერთი კაცი. იყო ერთი კაცი მთელ ამხელა დედამინაზე და საიდან იყო, არ იცოდა. ვინ მოიყვანა, არ იცოდა. რა ერქვა, არ იცოდა. რა იყო-და, ისიც არ იცოდა. გაიღვიძა რომელი-ღაცა დილით ამ კაცმა და გაჩნდა. ისე გაჩნდა, არც თვითონ იცოდა და არც არავინ ამ ქვეყნად. ვინც დაბადა, იმანაც



არ იცოდა, რომ გაჩნდა. არსაიდან გაჩნდა და დაინახა, რომ კაცია. ანუ, დაინახა, რომ აქვს: ორი ხელი, ორი ფეხი, ერთი თავი და ერთი ტანი. არც სახელი იცის კაცმა თავისი, გვარზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ნადიო, იმან, ნადი და შენი სახელი იპოვეო. წავიდა. იარა კაცმა, იარა, ცხრა დედამინა შემოიარა, ცხრა მთვარე გადაცურა, და გზად მიტოვებული სახლი შემოხვდა. შევიდა კაცი სახლში, დაისვენა, მაგიდაზე დადგმული სამოვარიდან ჩაი ჩამოისხა, იქვე ლამბაქზე დადებული ორცხობილა შეჭამა, ნამონვა და დაიძინა. სხვის სახლში დაიძინა კაცმა. სხვის სახლში გათბა კაცი. ცივი იყო და გათბა. სხვის ცარიელი სახლი ეთავისა კაცს. „სახლი“ — თქვა კაცმა და იფიქრა, იქნება სახლი მქვიაო.

ტიტველი იყო კაცი. ჩაიცვა თავგათავისებულ სახლი და გზა გააგრძელა. ჩვეულებრივი ზღაპრით არ იყო და წავიდა სახლჩაცმული კაცი და თან თავს ჩასძახოდა: „სახლი ვარ მე, სახლი მქვია“. შემოხვდა თვალეზგაფართოებული. რამხელა თვალეები გაქვსო, — უთხრა და იმან, — საცრისოდენაზე დაქაჩე და შენც ასეთი გქვინებო. ვერაო, ვერ ვაკეთებო. თვალეზგაფართოებულმა კაცს სახლი წაართვა და საკუთართავდაკარგულ კაცს თვალეები გაუფართოვდა. აი, ხომ გააკეთებო, უთხრა. ფერი იცვალა კაცმა და სახლი დამიბრუნეო, მე სახლიო, მეო... ჩაიციხა თვალეზგაფართოებულმა და სახლი დაუბრუნა და შიში გქვიაო შენო, შიშიო, დაიმახსოვებო.

„შიში, სახლი, მე“ — იმეორებდა კაცი და ჩვეულებრივ ზღაპარში მიდიოდა. მაგრამ უჩვეულო დილა იყო და გზად არავინ ხვდებოდა. ერთი მთა ჩანდა შორს და იმ მთისკენ მიიჩქაროდა კაცი. სახლჩაცმული კაცი იმ მთისკენ მიიჩქაროდა და ეშინოდა. უჩვეულოდ ჩვეულებრივი დილა იყო და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ქარი გადაეყარა და რა გქვიაო, — შიშიო, შიში მქვიაო, — უპასუხა. იმან, თუ შიში გქვია, გული რატომ არ გიცემსო და დაუბერა. შიში დაკარგა კაცმა და სახე შეუშვირა.

სახე შეუშვირა და გული აუბაგუნდა. თავზე ხელი წამოარტყა ქარმა და გული, გული გქვია შენო, — უთხრა. შიში, სახლი, მე, გული — გაიმეორა სახლჩაცმულმა კაცმა და მთაზე ავიდა. გული დაეღალა კაცს და დასცხა. სახლი გაიხადა კაცმა და ჩვეულებრივი ზღაპრების გმირებს დაუნყო ლოდინი.

არაჩვეულებრივ ზღაპარში კი, ავზინიანივით გამოვლავლავდა. თვალეების ცეცხებით. სხვის ყანაში შეიპარა და ახლად-ამოყრილი ნერგები მოცელა. მოვიდნენ. დარგეს. მდინარეს აღმა-დაღმა დაჰყვა და სოფლის გზა დატბორა. კაცებს თვალეები აუნყლიანდათ. მოჭრეს ნერგები და დაგზბდა მდინარე. წრეზე წავიდა. კარები გაეშალა. ტყუპ-ტყუპად ისხდნენ. ვარსკვლავებიან ცას მაინც ვერ პატიობდნენ ერთმანეთს. მოდიდდა მდინარე და წამოილო ნერგები ადამიანებივით. მოცელა. სხვები მოვიდნენ. ზურგზე აიკიდეს მათი ცოდვები და ისევ იქ დასხდნენ. ზნემ წამოუარა და მინის ჭამა დაიწყო. მინა ჭამა

და მინად არ იქცა. არ იქცა, რადგან მინა არ იყო. მოცელა ისევ. მეორე მხარეს გადავიდა. ხელჯობზე დაყრდნობილ ბერიკაცს მიადგა — ჯობი მომეციო. შემინდა პაპა და მისცა. ნებით. დაეცა მუხასავით. ჩაიციხა და გზა განაგრძო. მინდორი იყო, მწვანე არა. ნარინჯისფერი. პეპლებს დასდევდა პატარა გოგო, თხელი, თეთრი წინდებით. პეპლის საჭერი სთხოვა. შეშინდა. მისცა. სამი დღე ფარფატებდა პეპელასავით. ჩაიციხა ისევ. კაცმა ხმალი გააპრიალა და კედელზე დაკიდა. თვალეებში ჩახედა და სთხოვა. არა. მოსთხოვა. შემინდა კაცი — მისცა. ომი იყო და ხმალი არ ჰქონდა. ომი იყო და ცხენი უზანგში ფეხჩარჩინილს მიათრევდა. ჩაიციხა და წავიდა. ქალმა მუცელზე ხელები აიფარა და გაიქცა. დაენია და ნაყოფი სთხოვა. ქალი შეშინდა და არ მისცა. ზნემ წამოუარა ისევ. მინა ჭამა და მინად არ იქცა. მინა ჭამა და მინად არ იქცა. არ იქცა, რადგან მინა არ იყო. სხვის ყანაში შეიპარა და ახლად-ამოყრილი ნერგები მოცელა. მოვიდნენ. დარგეს. ყველაფერი ერთად მოაგროვა და სახლში შეასახლა, საკუთართავდაკარგულ სახლში.

მოვიდნენ ჩვეულებრივი ზღაპრების გმირები და გამოვლეს სუფრა. გამოვლეს სუფრა ზღაპრის გმირებმა და დალიეს. დალიეს და ნაეკიდნენ ერთმანეთს. გადაადგო ერთმა სავარცხელი და ტყე გააჩინა. დაინივლა მეორემ ხმამაღლა და ფასკუნჯი მოფრინდა. დაიღმუვლა მესამემ ცხოველივით და ცეცხლი ამოაფრქვია. ჩამონია ცა მეოთხემ და წვიმა. „შიში, სახლი, მე, გული“ — აკანკალდა კაცი და საკუთართავდაკარგული სახლიდან ადამიანები გამოასახლა. ქალმა მუცელზე ხელები აიფარა და გაიქცა. გოგომ თხელი თეთრი წინდები ჩაიცვა და გაფრინდა. პეპელასავით. კაცმა ხმალი გააპრიალა და კედელზე დაკიდა. დასხდნენ ვილაკები ტყუპ-ტყუპად ვარსკვლავიანი ცის ქვეშ. მოშივდა კაცს თავი და დარგო ნერგები. დარგო ნერგები და რა მქვიაო ჰკითხა. შიშიო, ხარო შენო, შიშიო, უთხრეს.

„შიში, სახლი, მე, გული, შიშიო“ — თქვა კაცმა და ახლად-აღრდებს ვარსკვლავიანი მოლოდინის ყუა გამოსტაცა. დაინახეს ჩვეულებრივი ზღაპრების გმირებმა მოლოდინდაკარგული ადამიანები და „დროო, დროა უკვეო“ და დრო წაართვეს. დრო დაეღალა კაცს და გაიხადა სახლი და გული და შიში და შიშიო და ადამიანებიც გაიხადა და წავიდა.

ჩვეულებრივი ზღაპრით იყო და იყო და იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა და დადიოდა მთიდან მთაზე ერთი სახლჩაცმული კაცი და შიში, სახლი, მე, გული, დრო, შიშიო, სახლი, მე, გული, დრო, — იმეორებდა. რა მქვიაო, კიდევ ერთხელ ჩასძახა და ჯერ გამაგრებული ყიფლიბანდით შავგულიანი მოთელა, მერე ნელ-ნელა ხელები მოხვია, მკერდით მიანვა, გაჭირვებით ჯერ ერთი ფეხი ამოაძვრინა, მერე — მეორე, ჩატყეპნა ტანი და... მინაო, მინა ხარ შენო — მინაო და სიყვარული.

შეიყვარა და ჩანვა.

გზაზე მოკალენი

რა უნდა ამ გზას —
 გზის გადაღმა რას იყურება?
 მარჯვნივ ნახვალ თუ
 პირდაპირ თუ
 მარცხნივ ნახვალ თუ
 მაინც ინანებ...
 ან მთის კალთას
 დაკბილულს და ტერასიანს ნეტავ რა უნდა?
 რად არ ჰყოფნის შესუთული ცხვრის ფარა და
 მეცხვარის ძალი?
 რა, რა აკლია ამ გადაღბნილ თეთრ ეპისტოლეს,
 რომელი გამა, რომელი შტრიხი?
 თვითონ მეცხვარე ნაბადით და სალამურით?
 ხო, ბატონო,
 აგერ ჩამოვსხედეთ,
 მოვასვენოთ ხორცი და ძვალი,
 იქნებ პერანგიც ოფლთან ერთად
 მივაფინოთ მოცვის ბუჩქებს

(ქარი გაქარავს)
 და რას გვტყობს ლერწმის ყელი, ყური მივუვადოთ.
 თვითონ ჩვენ ხომ არ მოვხდომოდით
 ჭირდატყვილ ამ პასტორალს,
 ბაიად და სალამურად შემოვივადოთ,
 არ გიფიქრიათ?
 კეთილი, მწყემსო,
 იქნებ ის იცით
 რა უნდა ამ გზას —
 ამ გზის იქით რად იყურება?
 დეკორაცია უცვლელია,
 კადრი იცვლება,
 აკაციის დაფანჩულ ნარბებს ჩამოგინნავ,
 ქარებს დაგიგვი,
 პეიზაჟის ხათრით მაინც კულისებში ნულარ გამიტან...
 რა მივამატო ამ აბსურდულ შავ-თეთრ გობელენს —
 მომანამე,
 დაგრიხე წარბი,
 თვალებიდან შადრევანი ამოაფრქვიე,
 პურის ყანაში მოტკვარცალე თუმის ქალები გამოდგება?
 ნაცანებში მწყერის კვითქვითი,
 ჰოოპუნას ისევ მღერიან?
 ვინ იტყვის იმ დროს,
 იმ დროს ვინდა გაიმეორებს,
 კეთილი მწყემსო,
 მივდგეთ გვერდზე,
 მიიყუდე მუხლზე არგანი,
 თავი ჩაქვიდროთ...
 და რა უნდა განდონ სახმილად
 ან ჭრილობებში მალვით რა უნდა ჩაიჩურთო,
 მძივივით დროს რომ შეაწყდი და
 დაიბენი და მერე რომ უნდა აიკრიფო და
 აისხა და ოროველად შეეზარდო შენსავე ძვლებს,
 ოოუუუ...
 ბასარა ფარას თავქვე მოდენის,
 პერანგიც შრება,
 ასდის ოფლი,
 ცხოვრება ასდის
 და სარკე ფიქრობს —
 წლებმა თმაში ჩაგაბნია რა სათუთი ვერცხლის ყვავილი
 და ყვრიმალეზე ჯავრის ბაობაბს
 ჩიორიკები შეეჩვიენ,
 სარკეა, ფიქრობს.
 ...
 რა იცის ამ გზამ,
 იყურება იმ გზის გადაღმა,
 გზაა და მიდის.

იუბილე

მოდი,
 ჩვენს სიყვარულს იუბილე გადავუხადოთ:
 მე მარტოობას მოვიტან ფორთოხლის ტორტივით,
 სიმორეს,
 ლოდინს,
 ეჭვების ნესტიან კრიალოსანს უბეში დავმალავ და
 დაბნეულ ლიმბის ოჯალეშივით შემოვდგამ მაგიდაზე.
 შენ მოიტანე სიტყვები:
 „ყველა“,
 „სხვები“...
 ლალატი, მკერდზე რომ ბრონეულივით გიყვავის და
 ნატიფად დაალაგე ჩემი უნიჭო ერთგულების გვერდით.
 სტუმრად დღეები და რიცხვები მოვიპატიჟოთ.
 შენ, ძვირფასო,
 შენ შეეგებე კარებში მათ და
 სათითოდ შემოუძეხი,
 მე ვერ ვიქნები ყველასათვის გულგახსნილი მასპინძელი.
 2 ოქტომბერს და 17 ივნისს ნუ წარმომიდგენ,
 ევ 2 ნოემბერიც სადმე სუფრის ბოლოში დასვი.
 შავ ფრაკებში კი ლაზათიანად გამოწყობილან,
 მაინც სიკვდილის ნაზი სურნელი ასდით.
 მე უფაქიხეს 1 აგისტოსთან დავჯდები,
 შენ ბობოქარ და კადნიერ 7 ივლისს ჩასჭიდე ხელი
 და როცა დარბაზში ბოშა ქალივით
 უტიფარი მუსიკა დაირხევა —
 მომძებნე,
 ამდენ უსახურ დღეებს შორის

ნანა გასვიანი



როგორმე გამოიკვლიე გზა და
 მოდი ჩემთან.
 თებერვალი პირბასრი ცულია.
 დამალობანა ვითამაშოთ ცულებით იქ,
 სადაც ტბა მგზავრით დგას და
 შუადღეს ხელები ჩრდილებივით დაგრძელებია.
 შუალამისას,
 მთვარე რომ ბეჯითად ამოვა არავის ცაზე,
 მუხის ტყეში გავიდეთ და
 საკუბოდ ჯიშინი ხეები შევიგულოთ.
 ...
 მანამდე კი,
 იქნებ როგორმე ჩვენს სიყვარულს
 იუბილე გადავუხადოთ...

ახსილი

ეჭვი!.. ვყვირი გალაქტიკების თქორში,
 სად ხარ! — მოვარნე კვაზივარსკვლავურ ბორანს
 და პლანეტების ევდემონიზმურ ქოშინს,
 ქორონიკონი გლახის კვარით ბოლავს.
 სად ხარ! — მოვდენი ცაზე ცეცხლოვან ვერძებს,
 მინას მთოვარის ჭუტი ციაგი კალავს,
 დალიონების შარავანდედში მეძებ,
 მარგალიტების მთებშია მიშლი კარავს.
 დამბადებელი, რისთვის კეისრის წილი?
 კაფავ და ჩეხავ ჩემი სიზმრების ახოს,
 იქნებ მოხვიდე გზაბნეული მწირი
 და ერთხელ ჩემი ნყალიდობები ნახო.
 პატრიარქალურს დაგახვედრებდი საფარს,
 ბამბუკის ქობს და ქობთან ვენერას ტბორებს,
 დროის ცხენების ჩაფრენილი ხარ ფაფარს
 და გზებზე სისხლის ედელვაისებს ტოვებ.
 მე კი — ეჭვი!.. გალაქტიკების მიღმა
 ისევ გიხმობ და მოვერეკები ანწყოს
 და რიგრიგობით ყველა მიწიერ წიდაბს
 მდუმარედ ვიხდი და შენს ფეხებთან ვანწყობ.

მელანქოლიური მონოლოგი მარტის თვეში

ზეთისხილისფერ შემოდგომების თრიაქს
 დასწავებია მზე მემთვრალე და მრუში.
 უუშორესი შენი ხელები თრთიან,
 ჩემს შუბლზე ობი დაინნა გუშინ.
 გაუქელიათ ღობე კუნელის წნელის,
 ვიდრე ხსოვნაში ჰალიკარნასებს ანვიმს,
 საუკუნეთა გამოიარე სკენელი,
 შვიდი მნათობის მომახოკვინე ღანვი.
 ზოდიაქოთა გადმოგდენი ფარებს,
 სად მთვარის ნალი ცის გულისპირში ჩახმა,
 რაისთვის უმტრე შენს ერთგულ პირისფარეს?
 რად მიაბჯინე თითი შემართულ ჩახმას?
 ნყვდიადებიდან ეჭვის ბუხარი ბოლავს,
 გამრიდებიხარ უსაჩინო მტერი,
 მო, შემეჩერე დღეთა შლეგური სრბოლა,
 გალაქტიკების შემომაყარე მტვერი.
 რად გვიანდები გადავიწყების ზაფრად?
 რად გეკეცება ჟღალი მიმინოს ფრთები?
 ის ღვინობისთვე ჰგავდა ჩამომჭქნარ ზაფრანს,
 ატუზულიყვინე მთები.
 უუნოტიეს ცას დაატეხე ურვა,
 ვიდრე სასახლეს დააშვენებდეს ვალსი,
 მომასმენი იმ ვასაკების კრულვა,
 შავი ვარდები გამომატანე ვალში.
 ჰორიზონტამდე სულთათანაა ყოფნის,
 ქარში ვკარგავდით ფარშევანგების კუდებს,
 მარმარილოს შუბლს მახსოვს შემსკდარი ოფლი —
 აგვისტოს მზეზე ასეირნებდი პუდელს.
 შენს ნასახლარზე მწუხრის სიმშვიდე ჰკივებს,
 გაცხადებულხარ და საქვალეებს ალტობ,
 მომიკითხავდე თმენის გათელილი იებს,
 ჭრელ განთიადებს შემოჰყვებოდე მარტოდ.
 ნითელფეხება დაკლეს ქალადლის ყანჩა,

ნუ გაშფოთებენ სირინოზების ხმები,
 ცისკიდურს მიღმა ნისლის კარეტა დამრჩა,
 ვდარდობ და ვხმები.
 ამონანნაღდა მთვარე — მამალი ფოთრი,
 ის ჰარპიებიც მოგაყივლებენ სისხამს,
 მშვიდობით, ღამეს სუნი აქვს შქერის ფოთლის,
 მშვიდობით, ჟამი სისხლის ვარსკვლავებს ისხამს...

სოფლის ეტიუდი

დებვირს თებერვლის მოადგა სპლინი.
 კუპრისფერია ხვამლის მთის ფარჩა.
 ხვამლს, ქედნებიანს, ეზმანება თოთო აპრილი,
 შორს ნასპერია, ლაილაში, ახლოს ლეკარჩა.

გლახის მოთქმაა — ნაჯაფარის და უქონელის,
 მჭლერი ლილეო, ცისმარე მზის საგალობელი,
 ორლობებში მაყვლის ბურდებს ტკვერს საქონელი,
 ნაკელმეხმარი, ნაზამთრალი, სანყალობელი.

აგე თავშეყრა ყმანვილების, კალოზე ბანქო,
 (ალარ ლენავენ ძველებურად ხორბალს კალოზე).
 ნუთისოფელი ბრუნავს, როგორც მასრაში მაქო
 და სოფლის ტალახს ერკინება წყვილი კალოში.

ძველი სახლის ბინადარი ნაზიმთვი კომოდის ტაქსტი

ნაბლის კომოდი ვარ, ართვალი, გლეხური
 და იმის მაგიერ, დროდადრო მლაქავდეს,
 ეს ჩემი პატრონი, ჟამით გალახული,
 ჯავრს მიაკაკუნებს ფილაქანზე.
 მაჯაგ ტანს ოხერი გამიხრავს ჩრჩილი,
 მაინც ვინ შემელევა სახლის მატინანს
 და უუთვალავი უჯრების ჩრდილში
 წლებს მიჯრით ვაგროვებ, ოლონდ ნაკიანებს.
 კი, წვრილად დავიტევე ამათ მონაგარებს —
 თეთრულს, პიჯაკებს, სულებს და ავსულებს.
 მენვევა ამ სახლის უჟმური ასული,
 ტკივილებს, დღიურებს, ლექსებს მომბარებს.
 სიძველის სურნელის შეაკრთობს ალაო,
 მზითვთან რომ თან მოჰყვა უიღბლო ბებიებს,
 ჩუმად გაიკვირვებს: „მაინც რა ამოოდ...“
 მე გულში გავივლებ: „უნებლიეთ...“
 ძილად ენერში ვმრიალავ ატოტვილი
 (მუხთლები ვიდრემდე მაქცევდნენ მორებად),
 ჩემს ნუგბარ ნაყოფს კი სოფლის ტილიანი
 ღრუჩუნით ტკვირავენ ღორები.
 ის გოგო, თვალები რომ ექცა სანთლებად,
 მერე ჩირაღდნებად, უხმოდ დამიბარებს:
 „კუბოდ თუ შენი გვარისა გამეთლებათ...“
 ედუდუნებს: „სძალო უსძლოო, დაიფარე...“

იდილია

მთვარე მოყვებოდა რიყეს,
 გზას ზომავდა არშინ-არშინ.
 მკათათვეში მოსულიყავ,
 ხო ჩამოგყვებოდი მკაში.
 პეშვით მოვიტანდი ნყალს და
 მზეს გადავდენიდი შორით,
 ჩემზე უსამართლოდ გამწყრალს
 სოფლად ყურმოკრული ჭორით;
 შემოგირიგებდი მდუმარს,
 ცრემლთა მოკიალე ღვარით,
 გამთლიანდებოდა უმალ
 ჩანენკვილი სულში ღარი.
 დაფერილი, როგორც გორდა,
 დამე იქნებოდა მტკნარი,
 მოგვეგებებოდა ოდა,
 სოფლის განაპირას მდგარი.
 მთვარე მოყვებოდა რიყეს,
 გზას ზომავდა არშინ-არშინ,
 მკათათვეში მოსულიყავ,
 გაგვეჯიბრებოდი მკაში.

ცისა და მიწისა

ცის წილი იყო. მიწად მოვარდნილს
 სტიკოდა ფესვი და ტანმძიმე თებერვლები.
 სხვენზე ეყარა არაბულას რკინის ნალები.
 დუნაის პირას ძონისფერი ყვავოდა ვარდი.
 ელინურ მხრებზე სამეუფო იგი ბისონი
 მედიდურობდა (გვაცილებდა შორით ქედანი),
 გადავიარეთ როს მდუმარედ ჩვენ მამისონი —
 შუადლე დაფრთხა ყორნიანი და დაგვექადნა.
 წარმავალობის ნოსტალგია კვლავინდებურობს.
 სვეტიცხოველში ვესწრებოდით ჩვენ პარაკლისებს,
 სადაც ქალწულებს რიდეები ნისლის ებურათ.
 მთვარით დაყურსულ დამეებში მომისაკლისებთ
 თქვენ, ვისაც ასე მედიდური გხატავთ პორფირი
 და გრიგალებთან გატოქება წვიმარდ ჰუნეთა,
 ხრწნადობის ჟინით დადალული ღაზის პროფილი
 მისტერიაა აბოლებულ საუკუნეთა.

ენახე ლალატი — უნიჭოთა გულუბრყვილობა, ზურგში მახვილიც, მეგობრისგან ნასროლი ტყვიაც, მესმოდა, ვინ რას ჩურჩულებდა, ვინ რას ყვიროდა, ეს ყველაფერი სადღაც, ხსოვნის მღვიმეში ყრია...

მას შემდეგ, როცა ვნახე კუბო, ცხედრით, რომელსაც მშრალი თვალელები გაყვალე გზად, ცრემლის ნაცვლად, კუბოში იმ დღეს მეც ვესვენე, და იქ მომეცა იმდენი ძალა, რომ შევძელი სიტყვების გაცვლა

ღმერთთან, რომელიც თავზე მედგა და მშვიდი სახით მიმეორებდა, რომ „აღსდგება, რომელი მოკვდეს!“ მაშინ დაეპირდი, აღუთქვი, რომ დაცლილი სახლის გზას უსასრულოს, ამავე დროს, ყველაზე მოკლეს,

მივაგნებდი და შეყვარებას შევძლებდი ყველა მგზავრის, ვინც ერთხელ გაივლიდა ამ სახლთან, თუნდაც — შემთხვევით, მრუდედ, არეულად, ბარბაცით, ცერად, და თუ ფანჯარას ჩაამსხვრევდა ნასროლი გუნდა,

დავაბრალებდი მხოლოდ ზამთრის სევდიან ამბავს, რომლის მიხედვით სახლში ნშირად უნდა სიცივემ შემოაღწია, და დაიწყო კედლებზე ლამბვას საყვედურების, შემახსენოს, რათა, სიმცირე

რომელმაც ფანჯრებჩამანული სახლის სიღრმიდან, არ გამახედა მომლოდინე მზერით, გარეთ, რომ ის მგზავრი, თავს რომ მოლოდინით დიდხანს ილღიდა, შემემჩნია და თბილი სიტყვით მაინც გამეთბო...

ბევრჯერ დაირღვა პირობა და ის სიტყვაც ბევრჯერ გატყდა და მერე ვინიშნავდი სულზე იარებს... ათასჯერ მოკვდი სინანულით და ყველა ჯერზე მიყვარდით ყველა, ვინც ამ სახლთან ჩამოიარეთ....

ვამბობ: გაივლის! ამოშრება ოდესმე ეს ჭაც, დაიფარება დავიწყების შლამით და ხავსით! ასეთ დროს, თითქოს, ყრუ ტკივილი შიგნიდან მღეჭავს, და აჩქარებით, ჭას პეშვებით პირთამდე ვავსებ — მოგონებებით, ფორიაქით, გულის ხეთქვებით, გაფითრებული ღამეების ვანვეთებ ელდას, რომ მდულარება, ურომლისოდ, ვგრძნობ, რომ ვერ ვთბები, სამარადისოდ, წყევლასავით დამქონდეს ყველგან... დრომ კი იდინოს, როგორც უნდა, ისე როშავდეს, მარადისობას გარდასულთან ვერასდროს გათქვეფს, თუ გაიყოლებს — ალბათ, ისევე ღამის გუშაგებს — ლექსებს, რომლებმაც, რა ხანია, მიმტრეს და გამთქვეს...

რაც ფერნასულ აბსურდებზე ვრითმე, ნაულეკავს ყველაფერი ერთ ნამს, შენ გრძნეულის ძალით მახებ თითებს და ნაცრიდან მონდომებით მძერწავ.

ვცოცხლდები და მერე ისევ ვკვდები, ის ალმური მადრუებს და მთანგავს — თვალებით რომ — კუპრის შავი ტბებით, ჯოჯოხეთის მხურვალეობა დაგაქვს.

შემოვცურე წამნამების მწკრივში, და ფსკერამდე ჩაყოლილი მორევს, იქ ახლიდან, სხვა სახელით ვიშვი — უსამანო სიყვარულის მქონედ...

ბედი — ხშირად, ამრეზილი მწყრალად, ვიდრე რამეს აურევს და შეცვლის, სულს მიბერავ, მაძლევ იმის ძალას, რომ თამამად შევაბიჯო ცეცხლში,

სადაც ახლა ეშმაკების გუნდი ბარბაცებს და გამომთვრალი როკავს, გათოშილი სულით დაგიბრუნდი და გიზგიზა ცეცხლის ენით მლოკავ...

მოაგროვებს დილა გრძნობის ნარჩენს, სტრიქონებში იზმორება ვნება, რომ ლექსებში ჟრუანტელად ჩარჩეს დრო, რომელიც შენს მკლავებში დნება...

რომ გითხრა ახლა, რომ კარგად ვარ და რომ ყველაფერი რიგზეა ჩემში, ირონიული ღიმილის გარდა, დაგცდება სიტყვაც, რომლითაც შემშლი.

ეკა კვიციანი

ახლიდან მომკლავ... გახარებ ყველა წვიმის და სეტყვის, ჩემს წასალეკად მომხმობს და მომყვანს, რომ არ ვარ კარგად, არც ცუდად არ ვარ — მზე გდია კართან...

არ მოვერიდე ამინდის წყრომებს, არ ვუტოვებდი ჩემს თავს არჩევანს, სიტყვა რამდენჯერ ვზომე და ვწონე, რომ გამომენართო გულში ჩამრჩენად... ახლა ეჭვები გულის სისხლს მწოვენ, და სინანულთან მიწვეს დარჩენა... ფერი გადასდით გრძნობებს და ხსოვნებს, სიზმარი იქცა სიზმრის ნარჩენად... ვგრძნობ, ყველაფერი მიცდია, სწორედ, სიცარიელის აღმოსაჩენად...

ეს იყო წინათ, უფრო ზუსტად — დიდი ხნის წინათ, მე დავარწმუნე ჩემი თავი (სწორედ რწმენა დამიჯდა ძვირად), რომ შემხვდებოდა ვინმე მგზავრი გზაზე შემთხვევით, და ყველა გზავნილს, რასაც ვწერდი, რასაც ვითმენდი, და დუმილად ვტკეპნიდი სულში, ნაეაკითხები... რამდენმა მგზავრმა ჩაიარა, გზაზე ჩრდილებად, არცერთი სიტყვა, ემოცია და აჩვილება... ყველასთვის უცხო, გაუგებარ წესებს ვიცავდი, მერე მოხვედი, დაგინახე, ვთქვი, რომ გიცანი. ტკივილს ბგერაში აწვეთებდა თითქოს მგოსანი, მეც, ჩემი სული მოგაგებე, შეუმოსავი... დავივინყე, რომ მგზავრს ველოდი სულ სხვა მიზეზით

და უყოყმანოდ, შენს მკითხველად გადავიქეცი... მაგრამ ეს იყო, როგორც მახსოვს, დიდი ხნის წინათ, არათუ მგზავრებს, ახლა გზებსაც ღრმა ძილით სძინავთ... მგზავრი მგზავრია, შეისვენებს, მიჰყვება მერე სხვისთვის უხილავ ხვეულებს და იღუმალ ბგერებს... არც ვდარდობ რამეს, არც რაიმე შევბას დავეძებ, სინანულებად ვაბინავებ რწმენის ხარვეზებს... არაფერს გკითხავ... მხოლოდ ერთი რამე მითხარი — ვინ წაიკითხავს, რაც მე დამრჩა ნაუკითხავი?..

შენ ჩამომხედე, ჩამანათეს სულში თვალეებმა, ასე უბრალოდ, უსიტყვოდ და ულაპარაკოდ... მხოლოდ შენ იცი, როგორ მიჭირს გვამის ტარება, როცა ვხვდები, რომ საკუთარ თავს ურცხვად ვლაღატობ... ისე ვარ, თითქოს, მკერდში გული კოცონად მენთოს, — ვგრძნობ, რომ გმორდები, შენ კი ჩემთან მაინც ახლოს ხარ, დღეს ალბათ, წვიმად ჩამოხვედი ზეციდან, ღმერთო, ჩემი ცოდვების განსანმენდად და წარსახოცად...

რა გამძლე გამოდგა ჩემი სიყვარული, თითქოს, უკვდავების წყალი დაელიოს. გულიდან ამოვიგლიჯე, გარეთ გავიტანე და გზაზე დავაგდე, წყევლა გავაყოლე ფეხქვეშ გაგსრისონ, ყინვამ დაგაზროს, გვალვამ გამოგიხმოს ფესვი-მეთქი. ყინვაც იყო და გვალვაც იყო, გაივლიდნენ და ფეხს აბიჯებდნენ... ვხედავდი, როგორ კვდებოდა და მშვიდად ვიყავი. დღეს კი აქ დამხვდა, შხამიანი საცეცებით გულის სისხლს დანაფებული — უკვდავების წყალივით. ამომხედავს და დამცინის... რა გამძლე გამოდგა ჩემი სიყვარული და რა შემზარავია მის თვალეებში ამოკითხული სიტყვა: „მარადიული!“

XI



მეფისტოფელი

გზაც ამას ჰქვია! გიფრენია, ღრუბლებზე მალლა! მაგრამ თუ იცი, სად მოხვედი, სადა ვართ ახლა? ეს ამ პიტალო კლდეების ჯერი, ეს აჩონჩხილი რუხი ტინები, რომლითაც ლამის ცას ვებჯინებით, ოდესღაც იყო — რა გგონია? — ქვესკნელის ფსკერი.

ფაუსტი

გამოგელია ძველი ჩმახები? ეგლა შემოგრჩა გასასალები?

მეფისტოფელი

უფალმა ღმერთმა დიდი ხნის წინ, მას უამსა შინა, დაბლა ჩაგვრეკა, მინის გულში დაგვიდო ბინა. ცდები, თუ ფიქრობ, გაუფალი იდგა უკუნი, იყო გიზგიზი, საუკუნო ცეცხლის გუგუნი. დიდხანს ვემწყვდიეთ მეც და ჩემი ავი სულელებიც ძლივს ვსუნთქავდით ვინრო ქვაბში ჩახუთულები. გვქონდა ხველება და ბოყინი წინით და უკნით, ისმოდა ირგვლივ წერილფეხობის ჭყვირილი უქმი. გოგირდისა თუ გოგირდმჟავის ავი გაზები ქვესკნელის კედლებს აწვებოდნენ გაათასებით. და ამოინთხა ჯოჯოხეთი, დაიძრა ზევით, გაავებული მინისძვრებით და ცეცხლის ფრქვევით. ამოიტყორცნა მოვარვარე ფსკერი მინიდან კლდეებად გასხდა, მწვერვალებად ამოიზიდა. სწავლობს სწავლული, რომელი ქვა სადაურია, ცოდნა-არცოდნით ზემო-ქვემო მთლად აურია. ჩვენ კი გვეშველა, ცხელ წიაღში არ ვიხუფებით, სუფთა ჰაერზე დავსეირნობთ თავისუფლები. ეს საიდუმლო, ხალხისათვის ჯერ-არ-თხრობილი, გამოცხადების მეოხებით გახდა ცნობილი.

ფაუსტი

ხილვად კეთილი ეს ქედები მუნჯია ჩემთვის. ვკითხო, რა ვკითხო, სულერთია, არაფერს მეტყვის. როცა ბუნება რუდუნებით თავის თავს ქმნიდა, მოაპირკეთა დედამინა ყოველი მხრიდან, ერთგან მწვერვალი გამოქერნა, უფსკრული სხვაგან, კლდეები კლდეებს შეაყუდა, მთა მთაზე დადგა, დაბლა დამრეცად დააცურა ბორცვების კალთა, ძირს, დაბლობებზე, კალაპოტი გაშალა წყალთა. ხოლო მინისპირს იმისთვის, რომ თესლმა იხაროს, სულ არ სჭირდება, თავზე ფერფლი გადაიყაროს.

მეფისტოფელი

ისე ადვილად მეუბნები, გენახოს თითქოს! არადა, მართლა ვინც შეესწრო, სხვაგვარად ფიქრობს. თავად იქ გახლდით, საკუთარით ვიხილე თვალით, მინა რომ იძრა და ქვესკნელის ამოსკდა ალი. მოლოქის ურო კლდეებს ფშვნიდა გაბოროტებით და მიცვიოდა ნამსხვრევები შორიდან შორად. ასფუთიანი მიმოყრილა ირგვლივ ლოდები, მაგრამ რა ძალამ მიმოყარა, ვინ ახსნას სწორად! ფილოსოფოსი იგავს ჰყვება, ვალია, რა ქნას, კლდე კი აქ არის, არ იძვრის და მოითხოვს ახსნას. და ხალხმაც ახსნა, არ გამოდგა ეს საქმე ძნელი, თურმე ნუ იტყვი, ურევია სატანას ხელი. მიაკაკუნებს ცოდნის არგანს მგზავრი და მიდის, „ეშმაკის ლოდის“ გაიარა „ეშმაკის ხიდის“.

ფაუსტი

მშვენიერია! ბარემ ისიც თქვი დალაგებით, ბუნების საქმე როგორღა ეშმას გაგებით.

მეფისტოფელი

ბუნების, აბა, რა მცოდნია! თუმცა მის შექმნას ესწრებოდა და თავის წილიც შეჰქონდა ეშმას. თორემ საიდან ეს ამდენი აურზაური, უთაებლობა, ძალადობა, უქმი ხმაური? როცა ფარფატი გადმოეცე ქვეყნის ნახევარს, როგორ ვინმეუნო, მოსაწონი ვერა ნახე რა! ვთქვათ, „სუფევანი სოფლისანი, დიდება მათი?“ მთელ მინის პირზე არაფერი აღვიძრავს ნადილს?

ფაუსტი

კი, როგორ არა, მაქვს მალაღი ერთი მიზანი. თუ შეგიძლია, აქა ხარ და გამოიცანი.

მეფისტოფელი

ეგ ადვილია, არ სჭირდება მისწერი ძალა. მე შენს ადგილას ავაგებდი სატახტო ქალაქს, შუაში ვინრო ქუჩებით და ბაზრის მოედნით, გრძელი დახლებით, ათასგვარი სავაჭროებით. ბოსტნეული და ხორცეული ნაირ-ნაირი, ზინთი, ბუზები, ჭრელი ხალხი, მყარალი ჰაერი. ოღონდ გარემო ფართო ქუჩებს შემოვახვევდი, ლამაზ მოედნებს, დამტკბარიყო მათით მნახველი.



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ნაწყვეტი

„ფაუსტიდან“

ალაყაფს გარეთ, მოუზღვრელი, თავისუფალი, გაიშლებოდა უგალაგონო ვრცელი უბანი. უკვე გავცქერი მსრბოლავ კარეტებს, ზიმზიმ-ზრიალი წამით მარეტებს, ირევა ხალხი ვით ჭიანჭველა, დადის, თავისას დაემებს ყველა. მიდისხარ ცხენით, გინათუ ეტლით, გარს გეხვევიან მეტნი და მეტნი, ერი და ბერი გეთაყვანება...

ფაუსტი

ჯერ არ მქონია მსგავსი ზმანება. ნატრობს მავანი ნატვრას სანატრელს, გამრავლდეს ხალხი, გადეს, განათლდეს! არადა, აზრად არ მოსდის წამით, მემამბოხეებს იმრავლებს ამით.

მეფისტოფელი

მაშინ ადექ და საკუთრივ შენთვის დიდი სასახლე აიგე ერთი. შემოიშენე ირგვლივ ბაღნარი, დარგი, ახარე ხე ათასგვარი. თალარები და ხასხასა მოლი, გზათა სხივები, ლარივით სწორი. ხელოვნურ კლდეზე მოქუხს ჩანჩქერი, შადრევნებია გარს ათასფერი. სხვა კიდევ ბევრი მსხვილმან-წერილმანი, რისიც აქ არ ღირს მიმოხილვანი. უცხო სახლები წალკოტს ჩადგმული, მშვენიერ ქალთა მყუდრო სადგური. ჰო, ქალთა-მეთქი! ეხმარობ მრავლობითს, მანდ მრავლობითი რიცხვის წყალობით ტკობბაც მეტია.

ფაუსტი

სარდანაპალი! ურცხვი დროება! ჟინი მდაბალი!

მეფისტოფელი

ველარ მივმხვდარვარ, რა გიდევეს აზრად, განვბილდი, რაც არ შემოგთავაზე. ალბათ მთვარეზე გნადია ასვლა, ხომ იყავ უკვე ზეცის თავანზე!

ფაუსტი

ის დრო დამთავრდა, როცა ნატვრით ცას ავდიოდი! მინაზეც სრულად გაკეთდება საქმე დიადი.

მეფისტოფელი

დიდების ჟინით ატანილხარ, გასაგებია. იმ შენი გმირი ქალისაგან გადავადებია.

ფაუსტი

დღეს საკუთრება უფრო მჭირდება, ქმედება მინდა, არა დიდება.

მეფისტოფელი

გარნა დიდებას აღვივლენენ მაინც მგოსნები, შთამომავლობას გადაგცემენ გასხივოსნებით, ბრიყვთა სიბრიყვე რომ ამრავლოს შენმა შექება.

ფაუსტი

შე ბილწო, კაცის სიმაღლისა რა გაგეგება! იცი, რას ეძებს? რა სწადია? ისწრაფის რისკენ?

მეფისტოფელი

ბრძანე და, რასაც მოინებებ, აგიხდენ მყისვე!

ფაუსტი

ზღვას დავყურებდი, აწყდებოდა ნაპირს სტიქია, მოვარდა ტალღა, მაგრამ უკან არ დაიხია, დარჩა და დარჩა, გადაფარა ზღვისპირა ზოლი. არ მომეწონა, რა ვიხილე შედეგი ბრძოლის. ალბათ შემთხვევით მოხდა-მეთქი, დავძაბე მზერა, ცოტა დრომ განვლო და მიიქცნენ ტალღები ჯერად. კვლავ დატოვეს და კვლავ დატბორეს იგივე მინა. ბრძოლას არ ჰგავდა, ზღვის უცნაურ თამაშად ვიცან.

მეფისტოფელი, მაყურებლებს

ასე ჰგონია, სასწაული იხილა უცებ. ასჯერ ათასი წელი გახდა, მაგ სურათს ვუცქერ.

ფაუსტი, განავძობს მგ ზნებარედ

გადარეცხილი, უნაყოფო ხდება ნაპირი, იქ, მთელ იმ ზოლზე, აღარ ხარობს აღარაფერი. გადმოდის ტალღა, უსარგებლოდ მოლოკავს ხმელეთს, ერთხანს დარჩება, უსარგებლოდ იღვეა მერე. სასონარკვეთა მეუფლება, დავყურებ როცა ამხელა ზღვისპირს სტიქიისგან უაზროდ მომცდარს. მაგაზე ფიქრი არ მშორდება ერთი წამითაც. უნდა შევება, დავამარცხო, აი, რა მინდა! თვინიერდება მაინც წყალი, რაგინდაც შმაგი, უკუიქცევა, შემალღებულს რა ნახავს ადგილს. პატარა ბორცვი თუ გამოჩნდა, გარშემო უფლის. ჩაედიწება, თუ გამოჩნდა პატარა ღრმული. ხანი გამიხდა, ვაკვირდები გაფაციცებით და გადავწყვიტე, გამოვტაცო ზღვას ეგ მიწები, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ შევადგინე ყოველი გეგმა, ოღონდ თავიდან დახმარება მჭირდება შენგან.

(შორიდან მოისმის დაფდაფები და სამხედრო მუსიკა მაყურებელთა ზურგსუკან, მარჯვენა მხრიდან)

მეფისტოფელი

ეგ ადვილია. დაფდაფები თუ გესმის შორით?

ფაუსტი

ისევ ომია? არ მახარებს, თუ გინდა სწორი.

მეფისტოფელი

ჭკვიანი კაცი ომისგანაც სარგებელს ნახავს, ის დროც დამდგარა, აიხდინო ეგ შენი ზრახვა.

ფაუსტი

თუ ლაპარაკობ, გასაგებად ილაპარაკე, მომბეზრდა, ველარ ავუვდივარ მაგ შენს ქარაგმებს.

მეფისტოფელი

კარგი, მისმინე. მოგახსენებ მარტივი ენით. სვებედნიერი კაიზერი ხომ გახსოვს ჩვენი, ვითომ მინაში რომ ვუპოვეთ დიდი ქონება. ტახტი შეერყა, შენ არ იცი, რა შავ დღეშია, თუ მაშინ ჯერაც მლიქვნელების ჯარი ესია, მისი სახელის აღარ უნდათ დღეს გაგონება. ყმანვილი იყო, რომ გამეფდა, ჯერ უმნიფარი, თუმცა სხვაფრივაც არ სდებია სიბრძნის ტვიფარი, სამეფოს მართვაც მოინდომა და თან გართობაც, ვაგლახ, სამეფო დროსტარებით არ იმართება.

ფაუსტი

დაე, მბრძანებელს მბრძანებლობა ჰყოფნიდეს ტკობად, გარემდგომთაგან მის ჩანაფიქრს ვერ მიხვდეს ვერვინ. ორ-სამ ახლობელს ჩასჩურჩულოს, აქვს ვისიც ნდობა, და რა აღსრულდეს ნება მისი, განკვირდეს ერი. ხელმწიფეს ღვაწლი გამოაჩენს, მაღალი საქმე, მხოლოდ განცხრომა და გართობა ღირსებას ართმევს.

მეფისტოფელი

ამან კი რა ქნა? ისე განცხრა-გადაირია, სამეფო, ადრივ მორღვეული, მთლად აირია. ყველა ერთმანეთს წაუკიდა, დიდი და მცირე, ძმა ძმას არ ინდობს, ერთმანეთი უწყალოდ გმირეს. უბანი უბანს დაერია, ამქარი — ამქარი, ეპისკოპოსი მრევლისაგან არის გამდგარი. ეკლესიებში ხალხს ხოცავენ, ვისა აქვს ჯავრი, გზაზე ვაჭარი ველარ დადის, ვერ მგზავრობს მგზავრი.

ფაუსტი

მოკლედ, სამეფო მიფორხილობს, ეცემა, დგება, ისევ ეცემა, თავს ვერ იღებს, იფშვნება ძვლებად.

მეფისტოფელი

თავიდან კიდევ მოეწონათ ეს ვითარება, თავისუფლებად მოეჩვენათ ქვეყნის არევა. ყოველი კაცი, რაც არ იყო, იმას ჩემობდა, არარაობა რაობდა და ქვემო ზემობდა. ჭკვიანი ხალხი შეიყარა, თქვა თუ: „გვეყოფა! მას, ვინც მშვიდობას დაგვიმყარებს, მივცეთ მეფობა! ამას ეგ საქმე არც უნდა და არც შეუძლია, წელი წელს მისდევს, ზნე და ნირი ვერ შეუცვლია. გადაგვეწურა მოთმინება, მორჩა, დამთავრდა, უნდა მშვიდობამ იხეიმოს და სამართალმა!“

ფაუსტი

მღვდლების ხელი ჩანს.

მეფისტოფელი

რა თქმა უნდა, მღვდლების ხელი ჩანს, მათი სტომაქის ამბავია, სანატრელისა. სული შთაბერეს აჯანყებას, კურთხევაც მისცეს. დაიძრა საქმე თავის ჯერზე და თავის რიგზე. ახლა აქ არის კაიზერი, მტერს აქ დახვდება, ვშიშობ, მოვიდა ბოლო ბრძოლის გადასახდელად.

ფაუსტი

სამწუხაროა. კაცი იყო წრფელი, კეთილი.

მეფისტოფელი

არა, იმედი ჯერ არ არის გადანყვებილი. ვინ იცის, ბედის კამათელი როგორ დაჯდება, ჩვენც ხომ აქა ვართ, ხელს ნაუუკრავთ გასამარჯვებლად.

* (მათ, 4.)

სოსო მეშველიანი

ხე დაჰყურებდა
ხის მჭრელს, როგორც თვითმკვლელ გარენარს,
შექანდა მძიმედ, სხვა ხეებსაც ჩამოაღუნა
ტოტები მუხამ,
ძირს დაეცა, უკეთ გამოჩნდა
სიცარიელე, ვარსკვლავები და მდუმარე ცა.

მასთან რას მივა სიჯიუტე სანყალი დედის,
ბოლოს დანებდა —
ყვავის ახლა ნივრის ბოლქვებშუა
ველური მარწყვი.

მულაურულას სურნელი

აქამდე როგორ ვერ შევნიშნე,
ველური კამის ბურქები,
გზატყვევითა,
ავტომობილთა ნაკადებს შორის,
სადაც დგას კაფე „ფორტალეზა“
და საუბრობენ ტურისტები დამტვრეული ინგლისურით,
ჩემი სევდა კი უტყბია, როგორც რკინა.
წვიმამ მომანატრა ნორჩი,
სპოროფიტი გვიმრის სუნი
და შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა.

აყვავებული აკაციის ტევრი,
მძიმე, სურნელოვანი სითეთრე,
უსასრულობისკენ რომ გენევა და
უკანასკნელ სურვილს კლავს შენში
მხატვრის, პოეტის — თავსმოხვეული სრულყოფილება.
სად დაფრინდები ნეტავი ახლა?
ძლივს ამომძვრალო შიბიკუსის ვინრო ყელიდან,
გამხმარ ფუნაზე?
თუ, თალუსის ნებოვან ხავსზე?
გაუცხოვდება ღამეები მშობლიურ სოფლის,
ამ იღუმალი ხმებითა და განცდებით სავსე.

უცხო ძალი ყვეს, უცხო ხმაზე, ნაცნობ ეზოდან,
ბავშვობაში რომ სხვა ძალი ყვედა.
ჩემი მოწყენა სულ არ არის უმიზეზო და
სულში მიმხმარი შხამიანი ბაყაყის ლორწო,
უცხო ძალი ყვეს, უცხო ხმაზე,
ა, იმ ეზოდან,
შორს, ექოებად რომ ასკდება ქარაფის ორწოხს.

პატარა მწვანე ქალაქი

ჭრიჭინების ჭრიჭინშიც გაკრთება
წრიპინა შუქნიშნების წრიპინი,
პატარა ქალაქის გარეუბნის შესასვლელთან,
იქ, სადაც ბრმები გადადიან
და კვეთენ ქუჩას
(აქ უფრო სოფლის ხიბლი დაკრავს
პატარა ქალაქს).
თუ სულში ბნელა,
რა აზრი აქვს, ახელს თუ ხუჭავს
თვალეებს მავანი,
დამიჯერეთ, რომ აზრი არ აქვს.

ზოგან საკუთარ თავს ვერ აგნებ, დიახ, აგრე გჭირს!
თუ ხარ რამბლაზე, რუსთაველზე, გინდა არბატზე
აქ კი ისეთი სურნელი აქვს ახლად გაკრეჭილ
გაზონს, თივის, რომ
გაბრუებს და თან გაბარბაცებს.

სად გაგაქანა ახლა ფიქრმა, თითქოს ბავშვი ხარ,
ყანის გარშემო ბალახს იღებ, ხბოებს უზიდავ
სინამდვილეში ზიხარ ახლა და ჭვავის მინდორს
უმზერ ალავის პროვინციის ავტობუსიდან.



ეკა კვიციანი

ხანდახან ვიტყვი:
— დე, გაცხადდეს,
აღსრულდეს, ახდეს,
დამთავრდეს ყველა, ვისაც ერთხელ
წრდილი მიადგა!...
მაგრამ არ მინდა, რაც მიყვარდა,
დაჭკნეს და გახმეს
და გამუდმებით ვუფხვიერებ
გულში ნიადაგს,
ხსოვნის ნარჩენებს,
რაც ვაქციე ჯანსაღ ნარგავად,
და ვერ ვაცოცხლო —
ღმერთი ასე არ გამიწყრება...
თქვენი ბედია,
რომ არაფრით იმათ არ ვგავარ,
დღემდე ათასჯერ ვინც შეძლებდა
თქვენს დავინყებას!..

რა უნდა იყოს ამაზე მეტი,
კიდევ რას ახლავს ღელვა ამდენი,
გული რომ აღარ მეტევა მკერდში,
თვალეების ცეცხლით და ჟრუანტელით
როცა მეხები...
მიყვარხარ! — ვამბობ, — ამ ერთი სიტყვით
ვამარცხებ წარსულს — ურჩს და თავნებას
და ჩემი სულის გაცვეთილ სამოსს —
სიჯიუტეს და ამპარტავენებას
— ვყრი შენს ფეხებთან...

გამოფიტული, მოკლებული აზრსა და სიღრმეს,
სიტყვები იქცნენ მკვლელად, მკვლელზე ბევრად უარეს
დამნაშავედ და მხოლოდ მაშინ, სული რომ ვიღრძე,
აღმოვჩინე, რაც დავკარგე თუ ვიუარე...

საკუთარ თავში დაბრუნების ყველა მცდელობა
უშედეგო და აბსურდული მგონია, ლამის,
ვიცოდი კიდევ, ხრამის პირთან მისვლა მელოდა,
მანაც გავეყვი ლამის ხმებს და საცეცხებს ლამის.

აჩქარებული ნაბიჯებით, კრთომითაც, ერთობ,
სახლიდან გასულს ყოველთვის რომ უჩინრად ახლავს,
და ახლა შენ თუ მიშველი და ამასხამ, ღმერთო,
დაკარგულ თავთან მისასვლელად საჭირო ფარ-ხმალს...

წავიდე უნდა! გადამარჩენს წასვლა აქედან,
როგორმე იქნებ, სიმშვიდე და სიმტკიცე მეყოს,
არ შემშრობია ვიდრე სულზე წყეულ ლაქებად,
ჰაერში ცივად გასროლილი ბგერების ექო...

ყველა, ვინც მიდის, ვისაც ვუშვებ, ვისაც ვამგზავრებ,
სიზმრებით სავსე, არეული ლურჯი სახლიდან,
ვინც ვერდარჩენით აქ სიჩუმის ხმები გაბზარეს,
ვისაც არასდროს არ გაუვლებ კარებს ახლიდან,

ვუმზადებ საგზალს: —
მწარე ღიმილს, სიტყვის მარინადს,
საყვედურებში გამორეულ მუყავე არომატს,
სულის ფსკერზე კი დაგუბებულ ცრემლს ვამარილებ,
ქვამარილები ღამ-ღამობით წყლიდან ამომაქვს.

როცა მარტო ვარ დაბნეული თავის წინაშე,
როცა გვირაბი სიბნელიდან ვერაფრით გამყავს,
ვცდილობ, შევიგრძნო, გავისხენო მათი სიმლაშე —
მუხლისთავებზე დაკნეტილი თითებით ვნაყავ

კენჭებს და ვაცხოზ მარილკვერებს, ჩამქრალ ლადარში,
დილაშე ვღეჭავ ლუკმებს, ერთი ლამის მორწმუნე,
ვინც კი წავიდნენ, ვინც გაუშვი, ვინც ვერ გადარჩნენ
გათენებისას, სიზმრებდამშრალს,
კვლავ რომ მომწყურდნენ...

დაბადებისთანავე, რაჟამს თვალი აეხილება, ადამიანი ზრდასა და უკიდურესად სამყაროს შეცნობას იწყებს, წელიწადის დროთა თავდაუღწევლ ტყვეობაში ექცევა, გაფაციცებული აკვირდება მათ განუწყვეტელ მონაცვლეობას და ეს ერთადერთი სიამოვნების მომგვრელი ტყვეობაა, საიდან გაქცევასაც ჭკუაზე მყოფი, სილამაზის დამნაზავი არსება არ უნდა ესწრაფოდეს.

ან კი სად მიგვეჩქარება, მზისქვეშეთში სამუდამოდ ვინ გაგვანერებს — პოეტმა შემადრწუნებელი სიცხადით წარმოსახა ჩვენს თვალსაწიერზე დაყუნცული და გაციმცამებული „ოთხი აფთარი“, რიგრიგობით რომ გვაცლიან ხორცს, გვძიძგინან, ვიდრე ძვალტყავად არ გვაქცევენ, სულზე არ დაგვდებენ. გალაკტიონ ტაბიძის ამ შემაკრთობელ ლექსს სხვაგან, უფრო შესაფერის ადგილას მოვიხიბოთ და ჩაუღრმავდები.

საყურადღებოა, რომ ევროპის ქვეყნებში, ხშირად გამართულ ტურნირებსა თუ ბრძოლის ველზე შესარკინებლად ამხედრებულ შუასაუკუნეების რაინდთა ფარი ოთხ მინდვრად იყო გაყოფილი და შეფერადებული. ჩემი აჭრელებული ფარიც ოთხადაა დანაწილებული, ოთხი მხრიდან სტვენა-წივილით დაძრულ ქარებს რომ დავახვედრო და მოვიგერიო.

დიდი მარჩიელობა და ნაირნაირი, თავის მოსატყუარი ვარაუდები არაა საჭირო, კარგა ხანია, მიხედვრილი ვარ — კონუსებად ათილილი თოვლიანი მთების იქით განვლილი რამდენიმე დაოთხილი წელიწადი მალე წამომენევა, ქეჩოში მწვდებო, პირქვე დამცემს და, როგორც იტყვიან, ოთხში ამომიღებ. იმათ რომ დაუდგეს და გაუმკლავდეს, ჯერ კაცოშვილი არ დაბადებულა და ჩემისთანა მოუხეშავმა, რისი იმედი უნდა იქონიოს?!

მრავალი საუკუნის წინ დადგენილი ურყევი ქვეშარიტებაა — მზის მიერ ერთი წრის შემოვლაში დედამიწის ზურგსა და ფერდებზე თანმიმდევრობით იცვლება წელიწადის ოთხი დრო, მაგრამ მოძრაობაში ისე, როგორც თავად დედამიწის ტრიალში, ჭირს რაიმე წინასწარ დასახული ქმედების დანახვა და ამოცნობა. ალბათ ვაჟა-ფშაველასთანა გრძნეული შემოქმედი უნდა იყო, ადამიანთა „სამოთხესავით ლამაზ“ სამყოფელზე ასეთი რამ თქვა: „იმსჭვავლის აზრით ქვეყანა კაცთან-ქალიანო...“

დიდი ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე ჯონ რიოსკინი (1819-1900) თავის გენიალურ, მისგანვე ილუსტრირებულ წიგნში „ვენეციის ქეები“, როცა დანვრლებით აღწერს დოჟთა გრანდიოზულ სასახლეს და მის ალეგორიულ ქანდაკებებს, საგანგებოდ ასახელებს ოთხი მიმართულებით დაყენებული ოთხი ქარის ფიგურას და მოკლედ ახასიათებს თითოეულ მათგანს.

პირველია აღმოსავლეთის ქარი — „ლევანტი“, რომელსაც თავზე სხივთა გვირგვინი ადგას, იმის მიმანიშნებელი, რომ იგი მხოლოდ მაშინ უბერავს, როცა ცა მოწმენდილია და მზე ზღვაზეა შემადლებული. მეორეა ასევე გვირგვინიანი „გოტრო“, სამხრეთის ქარი, რომელსაც მარჯვენა ხელში მზე უჭირავს; „პონენტი“ დასავლეთის ქარია და დაქანებულ მზეს ზღვაში ძირავს; „ტრამონტანა“ ჩრდილოეთის ქარია და მალა იყურება, ჩრდილოეთის ვარსკვლავსკენ (იგულისხმება, რომ იმ მხრიდან გამოთქვამი სიცივე მოედინება). აქვე ნახსენებია პიაციტას მხარეს გამოკვეთილი ჩიტი, რომელიც პირდაღებულ სამ ბარტყს კვებავს. საფიქრებელია, იგი სამი თვისაგან შემდგარ წელიწადის დროს განასახიერებდეს.

ცნობილია სიბრძნით განთქმული ძველი ჩინელების ნათქვამი — სასახლე რომ აღიმართოს, ოთხი სვეტი ჭირდება. წელიწადიც ასევეა — ერთმანეთზე გადაბმულ ოთხ დროს მოითხოვს.

იმავე ძველ ჩინელებს მიაჩნდათ და, თუ დავუკვირდებთ, ასედაც არის — ცას წელიწადის ყოველი დროისათვის საგანგებო ხმა, ჟღერადობა, მუსიკა აქვს შერჩეული: გაზაფხულს ჩიტების გალობა შეესაბამება, ზაფხულს — ჭექა-ქუხილი, შემოდგომას მწერების ჭრინინა ახლავს, ზამთარი — ქარების სათარეშოა (ხან იუი).

ვერ დავიჩინებ, აშკარად გამიჭირდება თქმა — რამდენად შევძელი ამ სასწაულთა მოქცევა ბადესავით გაფენილ, ფომფოლ სტრიქონებში. შემოქმედებისგან მოგუნდავებულ და ხელნაწილებში, ღერძის გარშემო დატრიალებული დედამიწა კისრისტეხით მიექანება ბოლოუქონელ წრიულ გზაზე და, ძალაუნებურად, შენც უნდა აჩქარდე.

ამ დაურკილავ (ჭიისგან დაუხრავ), რკინაგარეულ რკალს თუ გაცვდი, ლურჯად აციმციმებულ, კიდებმემოხუნერულ მარადისობაში გადავიწინაცვლებ. იქ არ ამცდებია სრიალი და არც სურვილი მექნება გამოფხიზლებისა, თუმცა არა მგონია, ამის შემგრძობი და გამგები, ცოცხლად დარჩენილთაგან ვინმე გამოჩნდეს. ამაზე არც ღირს თავის ატკიება.

სად მოიძებნება სულიერი, გონიერი არსება, ვისაც არ შესძრავს, არ დაარეტიანებს „იოანეს გამოცხადების“ ეს ზეამტაცი ჩვენება: „და შემდგომად ამისა ვიხილე ოთხნი ანგელოზნი, მდგომარენი ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა და ეპყრნეს ოთხნი იგი ქარნი ქუეყანისანი, რათა არა ქროდინ ქუეყანასა ზედა, არცა ზღუასა, არცა ხეთა“.

ამის ფიქრმა დამძენდა და დამაღწიომა, გამომჭამა გული — იმ ოთხ ანგელოზს რაწაირად შევეტოქები?! მე როგორღა ავაცილო ავი, დამლენავი ქარები ჩემს საეალოლოდ განაგებულ, ვაგლახად დაქუცმაცებულ, თითქმის წელში განყვეტილ სამშობლოს?

აქვე მინდა, დავიმონმო იშვიათი ძალის ლიბანელი ქრისტიანი მწერლის ჯიბრან ხალილ ჯიბრანის (1883-1931) მთელ მსოფლიოში ცნობილი წიგნი „იესო, ძე კაცისა“, სამაგალითო ოსტატობით, ლაღად ნათარგმნი ჩვენი უნი-

ემზარ კვიციანი

ჩემი ოთხთავი

წინასიტყვაობა
ლექსების მომავალი კრებულისთვის



ჭიერესი მანანა გიგინეიშვილის მიერ. მოზრდილ წინასიტყვაობაში მთარგმნელი სამართლიანად ამბობს: „იესო, ძე კაცისა“ სახარების თემისადმი მიძღვნილი ყველა დროის ქმნილებათაგან გამორჩეული ნაწარმოებია...“ და „მასში გადმოცემულია მძაფრი ემოციით ნაამბობი იმათი, ვინც შეუდგა იესოს, ვისაც უყვარდა და ვისაც სძულდა იგი, ვინც უღალატა მას და ვინც გულგრილი დარჩა მისთა საქმეთა გამო, ვინც საკუთარი თავი იპოვა მისით და ვინც საქილიკოდ და საკიცხავად მიიჩნია იგი, ვინც ჯვარს აცვა და ვინც ეთაყვანა“. მეტი ძალა და რწმუნება ძილვეა პერსონაჟად გამოყვანილი პოეტის ნათქვამს, რომ „იესო უდიდესი ძალის პოეტია პოეტთა შორის“. სხვაგვარად ვერ ვიფიქრებთ მასზე, ვინც „წელიწადის დროთაგან ქსოვდა სათქმელს“.

ჯიბრან ხალილს ისე აქვს გათავისებული, გამინაგნებელი ქრისტეს მოძღვრება, იგი თვით ნაზარეტელის თვალთ მხილველად, თანამედროვედ აღიქმება. ამიტომაცაა ასე ცხადი, დამაჯერებელი მისი წიგნის ცალკეული, პატარა-პატარა თავები. ერთგან მაცხოვრის საყვარელი მონაფე ისეთ რამეს ამბობს, გეგონება, სახარების მთავარ მუხლთაგანს ვკითხულობდეთ; ქვეშარიტად კოსმიურია ამ ნათქვამის გაქანება და სიღრმე:

„დასაბამში ღმერთი შეიძრა სივრცეში და გონება-მინუნდომელი მისი მოძრაობით შეიქმნა ქვეყანა და წელიწადის დრონი“.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის განსაცვიფრებელი პიროვნება და შემოქმედება შეგვახსენებს, რომ საქართველოს წმინდანთა დასში ტყუილად როდი ბრწყინავს თვისტომთა მიერ ქრისტეს სჯულისთვის უღმობლად ნამებული უმტკიცესი ზნეობის არაბი ყმანვილი აბო, ვინაც იოანე საბანძის გენიამ საუკუნეების კუთვნილება გახადა, უკვდავყო.

მას შემდეგ, რაც ჩვენი მრავალჭირგამოვლილი პლანეტა კოსმოსის დაუსაზღვრავ სივრცეში საშინელი სისწრაფით, უკანმოუხედავად მიექანება, იმანუილ კანტის გონებაზე მძლავრი, ყოვლისმომცველი ცოტა რამ შექმნილა და როცა იგი პოეტურ ნიჭზე, პოეზიის ავ-კარგზე მსჯელობს, მკრებლობა, წინდაუხედაობა იქნება, ყური არ დავუგდოთ.

კანტი საგანგებოდ აღნიშნავს — ნატიფ ხელოვნებათა შორის პოეზიას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ამავე დროს მუსიკაა, მისი ბგერები თავისთავად საამოა, რაც ჩვეულებრივ მეტყველებას არ გააჩნია. კანტი ამას არ სჯერდება და განაგრძობს, რომ პოეზია ჯობის ყველა სხვა დახვეწილ ხელოვნებას — ხატვასა და ქანდაკებას და თვით მუსიკასაც, ვინაიდან მუსიკა პოეზიის საშუალებაა; პოეტები განსჯასაც მიმართავენ, მუსიკოსები კი მხოლოდ გრძობებს — დასძენს კენიგსბერგელი ბრძენი და იქვე ამბობს: „კარგი ლექსი ყველაზე ძლიერი საშუალებაა საიმისოდ, რომ სული გააცოცხლოს“.

პოეტმა თუ ეს შეძლო (მე ნამდვილად არ ვგლობ ასეთ მაგიურ უნარს), მისი არსებობა მთლიანად გამართლებულია. კანტს იმაშიაც უნდა დავეთანხმობი, რომ ესა თუ ის ადამიანი შემოქმედად იბადება და ამ ღვთაური მადლის გარეშე, მარტოოდენ „გულმოდგინებითა და მიბაძვით არასოდეს არაფერი მიიღწევა!“

ნამდვილი ლექსი ჰაიჰარად არ მოდის. კანტის მიერ ნახსენებ „პოეზიის უპირატესობას“ სხვანაირი ძალა და, როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა ხოლმე — დიდი საფანელი ჭირდება.

მე იმითაც კმაყოფილი უნდა ვიქნე, ჩემმა რომელიმე სტრიქონმა ვინმეს ოდნავ თუ შეუტოკა ნერვი, სიტყვის ძალა აგრძობინა. სხვა რამეს, უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს, მიზნად ვერ დავისახავდი.

კარგა ხანი იყო გასული, გონებაში უკვე წარმოდგენილი მქონდა, როგორი წიგნი შემედგინა — ნახევარი საუკუნის მანძილზე (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი — თითოეული მათგანი ორმოცდაათჯერ მაინც გამოვიარე), სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები უნდა შემეკრიბა და, ოთხ ნაწილად გაყოფილი, რამდენადაც შეიძლებოდა, ბუნებრივად, დამელაგებინა. ერთ გაზაფხულზე, უსასველო გაჭიანურებით ნერვებმოშლილს, რვეულში ასეთი რამ ჩამინერია:

იმ შხამის არ დამიკლია წვეთი,
სასახლეს ოთხი შევუდგი სვეტი;
ვერ გამოვიცა, ფეხს რატომ ვითრევ,
აღარა დამრჩა, შერჩევის მეტი.

ადრეულ საუკუნეებში ძველი ჩინელები და იაპონელები ადგენდნენ, წელიწადის დროთა მიხედვით, ოთხ ნაწილად გაყოფილ პოეტურ ანთოლოგიებს. მკითხველთაგან დიდად მონონებული ეს მშვენიერი ტრადიცია აღარ შეწყვეტილა, დღემდე გრძელდება.

ჩემ მიერ გახორციელებული ჩანაფიქრი, ცხადია, სიახლე არაა, მაგრამ არც სხვათა მიბაძვით დავდგომივარ ამ გზას, სურვილი გამიჩნდა, ერთი ამდაგვარი წიგნი მქონოდა. თუკი რამე საყურადღებო და გამორჩეული აღმომაჩნდა, ისედაც იჩენს თავს, წლების მანძილზე დაწერილში ძალდაუტანებლად გამოვლინდება.

ცხოვრებაში ბევრი ნაბიჯი შემშლია და შეუძლებელია, ამ გაჯახიებული კრებულის შედგენისასაც არ შევმცდარიყავი. მახსენდება თუნდ ის, რომ, თემატური შეზღუდულობის გამო, ზოგიერთი უკეთესი ლექსი, როგორც შეუფერებელი, გვერდზე გადავდე, ხოლო ნაკლები ღირსებისანი საქაღალდეში ჩავდე.

საქებური ზნითა და ხასიათით ვერ დავიკვებნი, მაგრამ ერთი რიგანი თვისება ნამდვილად მაქვს — ჩემი ნაწერების არდანახვა თუ არმეჩნევა აღზევებულ, პატივში მყოფ, ნაირნაირი ჯილდოებით განებივრებულ თანამოკალმეთა მხრიდან ოდნავადაც არ მალიზინებს. პირიქით, სულ იმას ვცდილობ, თვალში ვინმეს ზედმეტად არ შევეჩხირო. რამდენიმე ახლობელი ადამიანი მაშხნეებს, მეუბნებიან — დროდადრო რასაც აქვეყნებ, სასიამოვნო წასაკითხიო და ეს თანადგომა საესებით მყოფნი.

ბევრჯერ დამიჩივლია — არაერთმა წელიწადმა ექვსა და ყოყმანში გაიარა. რამდენჯერმე გადავდე ამ წიგნის შედგენა, რადგან უამრავი ცხოვრებისეული წვრილმანი მიშლიდა ხელს. თანაც იოლი ამოსარჩევი არ იყო, რაც დახვავებული მქონდა. რვეულებში ასახულია, რა გაუნებლებელ ჭაპანწყვეტაში ვიმყოფებოდი. ორჭოფობა, იდუმალების შეცნობის ფინი არასოდეს მომშორებია და ეს იგრძობა ნაუცხბათევ სტრიქონებშიც („როგორ გამოთვალა?“), ვარსკვლავებისგან დაჭოფილი ცას ადრიანი გაზაფხულის ღამით რომ ავძახებ:

მითხარ, გეცოდინება,
ულურჯესო თალო,
წელიწადი ოთხ დროდ და
თორმეტ თვედ ვინ დაყო?

დაძრულა ზღვა იების,
ერთად შესაკონი...
მზერა მას ვერ მისწვდება,
ვერც მოკვდავის გონი.

მრავალთაგან კიდევ ამოვიწერ ორიოდ მცირე მონასხლტს, სადაც იგივე თემა ტრიალებს და წინამდებარე წიგნის აღნაგობას რამდენადმე უკავშირდება. „ვერ დავაყენე საშველი“ — ასე დამისათაურებია პირველი, სექტემბრის თვეში დაწერილი:

განწილულა თვეებად
წელიწადის ოთხი დრო;
ყველას როგორ შევება,
რომელ ერთზე მოვითხრო.

გაბნეულა რა თვლები,
ველზე, ვარდის კოკრებად;
მიჭირს დალილს, ჩათვლემილს,
იმათი ნამოკრება.

მახსოვს, გულიც მწყდება — ზოგიერთი მშვენიერი პოეტი ნაკლებად ელოდებოდა ცის წყალობას, მაგრამ მე ამ იმედს ვერასოდეს გადავიწურავ; ჩემი სურვილი თუ ნუხილი ბევრჯერ გამინდვია ოთხთაგან ერთ-ერთი უძლიერესი სტიქიის, ჰაერის უძირო ოკეანისთვის და, საბოლოოდ, მაღლიერი დავრჩენილვარ. ეს განცდა თვალნათლივთა გამოკვეთილი ასევე ადრინდელ — მავედრებელ, მოკრძალებულ ოთხტაუკედში:

ცაო, დღეს ალბათ არ განვიმდები,
მიჭერებვიარ ლაჟვარდის ეკრანს;
შენვე მომეცი ძალა იმდენი,
დროები წლისა, ერთ თალქვეშ შევეკრა.

ფრიად დასანანი, ხანდაზმულს რომ მიხდება ჩემი გაჯახიებული წიგნის შედგენა და გამოსაცემად მომზადება. ყველაფერს იღბალი უნდა. არაფერი მშურს ფეხბედნიერი, გალაღებული და ნაპატივები ავტორებისა, რომელთა შემოქმედება (ლექსი თუ პროზა) ბომბორა ტომებად ისტამბება და ამშვენებს მალაზიათა თაროებს. ღმერთმა ყველა ყისმათიანს მოუშართოს ხელი!

დროის განუწყვეტელ სროლაზე, მის უღმობლობაზე ვის არ უფიქრია და მეც ერთი იმათგანი ვარ. ხშირად მეჩვენება — წელიწადის დროები ერთმანეთზე გადაბმულ, სხვადასხვა ფერის ფარდაგებივითაა დაგებული დედამიწის ზურგზე და თვალისთვის ძნელად შესამჩნევად მონაცვლეობენ; დღეები, აღმა მიმავალი ესკალატორის საფეხურებვით თანდათან იკეცება, სიბნელეში ინთქმება, სანამ უკან მოტრიალდებოდეს. მეც სხვა არაფერი დამ-

რჩენია და იძულებული ვარ (ეს სურვილიცაა ჩემი), ერთი დღიდან მეორეში გადავბიჯო, სანამ მუხლი მერჩის. დაახლოებით ამის გამოხატვა შენადა, როცა დროის ძლევამოსილებაზე, ყველა მეფის ნებასა და ძალაუფლებას რომ აღემატება, ერთგან ასე ვწერდი:

იმან დანდობის არა იცის-რა,
ზნეს და გუნებას ვის არ უცვლიდა;
დაუდგრომელი ბრუნვა მინისა —
ზამთარს და ზაფხულს მაცლის ქუსლიდან.

არ მაინცდება დახვეწილი ინგლისელი ესთეტიკის კალმით აღწერილი ძველ რომაელთა ყოფა, წარმართული გარემო. წამიერად გაილანდება უძველესი, ნაყოფიერების სიმბოლო ცნობილი საკულტო ხე — მუხა, „განუზომელი ნლოვანებისა“. საცხოვრისის კერა საკურთხეველთანაა გაიგივებული. მინა ზვარაკად შეწირული ხვასტაგის სისხლით არის მორწყული. ალუბლისა და ვაშლის ტოტები თეთრადაა გადაპენტილი. უთუოდ აპრილის დღეა. რომაულ ტაძარში ტრადიციულ რიტუალს ასრულებენ. გაისმის ქურუმთა ლიტანია. გარდაცვლილთა ფერფლის შემნახავ ურნებს, თავიდან ბოლომდე, ახალდაკრეფილი, დასაჭკნობად განწირული ყვავილების გორლიანდები ახვევია. სალოცავის კედლები კვამლისა და საკმეველის სურნელითაა გაჟღერებული. რასაც შეეყურებო, მოქნილად არის წარმოდგენილი, როგორც „ზენე-ჩვეულებათა და გრძნობათა“, შიშის დამცემი, „ყოველნაირი წრებრუნის ტვირთის რელიგია“.

ბევრს ვწერ „ყოველნაირი წრებრუნვაზე“ და ჩემი დღე და მოსწრება იმ წრეში ვტრიალებ დედამიწასთან ერთად. ადრინდელი მოზრდილი ლექსი, მთელი წელიწადის თვალბილულ სასწაულებს რომ ჩამოთვლის, არცერთი მონაკვეთისთვის არ გამოდგებოდა; გადავწყვიტე, მრავალ სხვათა მსგავსად, კრებულისთვის გამეზიდებინა და როგორც შემამზადებელი, ტონის მიმცემი რამ, წიგნზე დართულ წინასიტყვაობაში მომექცია:

წელიწადი

წელიწადი ჭირდება ტოტს, დახუნძლულ ღეროს —
ხილით, ნაირნაირით, თვალი გააშტეროს.

ცაა — იტყვი, სადაფი შეაყარეს თალსო;
მე ამ ტოტის სითეთრე, აყვავებაც მახსოვს.

ბუსუსდაყრილს, დაყურსულს — რომ უყურებ ატამს,
ისე გაიპარება, თვალსაც ვერ მოატან.

ლოყანიტელს, დაკენკილს, შეურჩიე შენ დრო,
თორემ, თავჩაქინდრული, წყლად იქცევა ხენდრო.

არ დაგისხლოს ეკალმა, იმ ძირგასახმობმა;
ჩაშავებულ მაყვალზე ობმა იცის მობმა.

ტბიდან ამოქანებულ შროშანას თუ ლოტოსს,
სილამაზის შემცნობი უნდა დაელოდოს.

წელიწადი მოუნდა სურათს — ძროხა ხბოთი...
წელიწადი გიცადეს, ვიდრე გაჩნდებოდი.

მიჯნად, ქორწილს ფრთოსანთა, წელიწადი უდევს, —
კვერცხებს, შაბიამნისფერს, უცდის შაშვის ბუდე.

წელი უნდა, ბროწეულმა თავი რომ ჩაკიდოს,
ამდენივე (ასამღვრევად) — რქანიტელს და თითას.

ჩემს წაწყმედილ, ცოდვილ სულს, ჩემს აწყვეტილ წადილს,
ძირზე მომრგვალებული, უნდა წელიწადი.

მზე უხდება გარგარის და გულაბის კრეფას;
ზაფხულს ითხოვს ჩიტლეღვაც, ზაგე რომ გაეპოს.

ჩელტზე გაიფინება ჩირი ასაკინძი;
მზე ბრიალებს, მარბუებს ომბალო და ქინძი:

ლაფში ჩემი ურემი მალე ჩაეფლობა;
ვითვლი, კიდევ რამდენი დამრჩენია ბლობა.

კაკალს ვხედავ ხონჩაზე, კვახს, სიმინდის ტაროს...
წლების ლხინი ერთმა დღემ როგორ ჩამამწაროს.

წესი არი — უკანა უნდა მიყვეს წინას...
მე ზამთარი მჭირდება — დამკლას, მომადინოს.

მატლი ხოხავს, ობობა მაცდურ ბადეს მართავს...
არავის შევხვედრევიარ მინასავით მართავს.

თავად დაეძარება ღრუბლის ქულას, მჩატეს,
ვინც სურვილებს, ცხოვრებას — წელიწადში ჩატეგს.

ამ უშნოდ განელილი ლექსიდანაც ჩანს, როგორ ვცდილობდი, 'ჩარხებურ მბრუნავი', ჩემს წილად რეგებული, წელიწადის დროების, ცაში და მიწაზე, სამსამთვიანი ნავარდი როგორმე ჩემს გამოჩოროკნილ ფაცურში შემეღალა.

გიორგობისთვეში დავიბადე და არ უნდა გამემტყუნებოდეს, რომ წელიწადის ამ დროისადმი გამორჩეულ სით-


ბოსა და მაღლიერებას ვიჩენ, მის მოსვლას ყოველთვის სხვანაირად ვეგებები.

1984 წელს გამოვაქვეყნე ლექსების კრებული „შემოდგომა დამდგარა“, ხოლო 2013 წელს ჩემდამი უალრესად კეთილგანწყობილმა „ბაკმა“, სრულიად უანგაროდ, გამომიცა მოზრდილი წიგნი „შემოდგომის ხიზანი“, რასაც ვერასოდეს დავივიწყებ.

ახლანდელ წიგნზე — „წელიწადის დროთა ტყვეობაში“ — როგორც ვთქვი, კარგა ხანია, ვწვლობ და საკმაო ჯაფა დამადგა, სანამ გარკვეული სახე მიეცემოდა. მაინც არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული, რომ ჩანაფიქრს ჯეროვნად გავართვი თავი.

გზადაგზა, შესაძლებლობისდა მიხედვით, საგანგებოდ ვკითხულობდი სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ავტორთა პოეტურ და პროზაულ ტექსტებს (ხშირად ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ვერ ვიცავდი), რათა ნაწილობრივ მაინც აღმეწეხსა, როგორ აღიბეჭდებოდა წელიწადის დროები ამა თუ იმ შემოქმედის თვალთახედვაში. შთამბეჭდავი, მრავალფეროვანი სურათი გამოვიდა, რაც ჩემს დამსახურებად ოდნავადაც ვერ მიიჩნევა. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დაინერა წინასიტყვაობად განზრახული ესეე — „მომწესხველი წრე“ — რომელიც, დიდი მოცულობის გამო, წინამდებარე წიგნზე დასართავად უთანაზომოდ, შეუფერებელი აღმოჩნდა. ამდენად, მისი ცალკე გამოქვეყნება მომიწევს და ირიბად მაინც შეეხმანება ამ წიგნს.

ყოველივე ზემოთ თქმულის მერე გასაგები უნდა იყოს, რომ ჩემთვის ძალზე მახლობელია პოეზიის ბუნების უზადო მცოდნის, მეოცე საუკუნის უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის (1889-1976) ნაშრომი — „შენება, ცხოვრება, აზროვნება“, რომელიც მიუხედავად სირთულისა, ცნობილ გერმანისტს, ქალბატონ ნანა გოგოლაშვილს სამაგალითო სისადავით, მკითხველთათვის მისაწვდომად, გასაგებად უთარგმნია.



ჩვენდა სასიხარულოდ, იგი დაბეჭდილია ახლად-აარსებული „ქართული ალმანახის“ პირველსავე ნომერში და წამდვრებული აქვს რედაქტორის, არქიანდრიტ მამა ადამის მცირე, მაგრამ მრავლისმთქმელი წინათქმა. განსაკუთრებული მნიშვნელობისად მესახება ჰაიდეგერის ნააზრების პირველი ნაწილი, დედამიწაზე ყოფნასა და საცხოვრისთან (შენობასთან) ადამიანის მიმართებას რომ განსაზღვრავს. აქ უმთავრესია ოთხეულის მიერ შექმნილი ოთხმაგი დამოკიდებულება და თითოეული ცალკეა დახასიათებული. ყოველ მათგანს რეფრენი აბოლოვებს; ეს უბრალო ტავტოლოგია არ გახლავთ — სათქმელის ნათლად გამოკვეთას ემსახურება. სხეულზელი ოთხეულის გამო ფილოსოფოსი ამბობს: „ეს დედამიწის, ზეცის ღვთიურთა და მოკვდავთა ერთობაა“. შემდეგ წარმოდგენილია თითოეული მათგანის არსი:

„დედამიწა ის საიმედო საყრდენია, სადაც ყვავილი ნაყოფს გამოიღებს. იგი განფენილია ქვებსა და წყლებზე, მერწყულია მცენარეებსა და ცხოველებში. დედამიწას ვახსენებთ, და, იმ ნუთში, ფიქრით უმალ იმ დანარჩენ სამსაც მივწვდებით, თუმცა არ ვივინყებთ ოთხმაგობის ბუნებრიობას.

ზეცა — ესაა მზის თაღოვანი გზა, სახეცვლილი მთვარის რბოლა, ვარსკვლავთა ციციმი, წლის დროთა წრებრუნვა, დღის სინათლე, აისი და დაისი, ბინდი და ნათელი, მასპინძელი ავდრისა თუ დარისა, ღრუბელთა ქოლღვა და ეთერის მოლურჯო სიღრმე. ზეცას როგორც კი ვახსენებთ, ფიქრით უმალ იმ დანარჩენ სამსაც მივწვდებით, თუმცა არ ვივინყებთ ამ ოთხმაგობის ბუნებრიობას.

ღვთიური მაცნეები შიკრიკები არიან ღვთაებისა. ღმერთი მათი წმიდათაწმიდა მეუფებიდან თვის ამჟამინდელობაში მოგვევლინება ან, იდუმალეობით მოცული, გაუჩინარდება. ღვთიურთ ვახსენებთ თუ არა, ფიქრით უმალ იმ დანარჩენ სამსაც მივწვდებით, თუმცა არ ვივინყებთ ოთხმაგობის ბუნებრიობას.

მოკვდავები ადამიანები არიან. მათ მოკვდავები ჰქვიათ, რადგან სიკვდილის უნარი გააჩნიათ. სიკვდილი, როგორც ასეთი, სიკვდილის შესაძლებლობას გულისხმობს. მხოლოდ ადამიანი კვდება და კვდება უსასრულოდ მანამ, სანამ იგი დედამიწაზე, ზეცის ქვეშ, ღვთიურთა წინაშე ჰგებებს. მოკვდავთ როგორც კი ვახსენებთ, ფიქრით უმალ იმ დანარჩენ სამსაც მივწვდებით, თუმცა არ ვივინყებთ ოთხმაგობის ბუნებრიობას.

სწავლული ამ ჩამოთვლას იქვე მიაღვენებს, რომ „ოთხმაგობაში“ მყოფთა „ცხოვრების უმთავრესი ნიშანთვისება კი დანდობაა. მოკვდავთა ცხოვრების წესს დან-

დობა შეადგენს“.

დანდობა ალბათ შებრალებას, სიყვარულსაც გულისხმობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანთა მოდგმის დიდ ნაწილს დანდობის უნარი აკლია, რის გამოც ამქვეყნად ყოფნა გაუსაძლისი ხდება.

ჰაიდეგერის თვალში ყოფიერებას, ხილულ სამყაროს, მუდმივი ცვალებადობის ფონზე, მაინც პოეტური იერი დაჰკრავს. ამას თუნდ ეს მცირე, ძალზე დინამიური აზრაციც ცხადყოფს:

„მოკვდავნი ცხოვრობენ, რამდენადაც ისინი ზეცას ზეცად აღიქვამენ, მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს თავიანთ სავალზე მიუშვებენ, დარსა და ავდართან დაკავშირებულ მოვლენებს წელიწადის დროებს მიანდობენ. ღამეს დღედ ვერ გადააქცევენ, ხოლო დაუდგრომელ დღეს ერთ ადგილზე ვერ გააჩერებენ“.

როცა მოვიხმობდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, ჰაიდეგერის ნაშრომის ეს ამონარიდები ჩემი წიგნის არცთუ მწყობრ წინასიტყვაობას დამაჯერებლობას შემატებდა. ოთხზე „ოთხმაგობაზე“, ოღონდ სხვა შემთხვევათა გამო, მეც არაერთხელ მომიხდა მითითება და ესეც რამდენადმე ამართლებს ამ ჩართვას.

დასასრულ, ერთ გარემოებასაც მინდა შევეხო, რათა ჩემს ამორფულ, სხვადასხვა დროის გამოთქმულ გამონათქვამებს ოთხივე მხრიდან მოველოს მოზღუდული ჩარჩო, გარკვეულ კალაპოტში მოექცეს.

წიგნის სადად, ძუნწად გაფორმება წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი. ვინაიდან კრებული ოთხი განყოფილები-სგან შედგებოდა, ოთხი ილუსტრაცია სავსებით საკმარისი იქნებოდა. თითოეული სურათი, წელიწადის ყოველი დრო განსხვავებული, ცხადად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო.

ფიქრში წასულს, ნეაპოლის მუზეუმის ჰაეროვანი ფრესკა მომელანდა — თვით უმშვენიერესი „გაზაფხული“. ვის არ მოხიბლავს მინდვრად მიმავალი არამქვეყნიური გარეგნობისა და მიმობერის ქალი, ზურგიდან დახატული. მხოლოდ მარჯვენა ლოყა უჩანს; ოდნავ მიბრუნებული. მარჯვენა ხელის მორკალული თითები მასავით ტანმალაღი შროშანის თეთრ ყვავილს ნატანება მოსაწყვეტად. მარცხენა ხელს იმავე ყვავილის კონუსურად შეგრავილი თაიგული უჭირავს, ჩემგან დაუნახველ მკერდზე მიხუტებული. ღია ყვითელი ქსოვილის სამოსელი ცალ მხარეს ჩამოცოცვებულა და თითქოს განზე გაშვრილი მარჯვენა ხელის მოძრაობას აცილებს. წელს ქვემოთ თხელივე თეთრი მოსასხამი დასთრევს და მისი ერთი, ქარისგან ატალღებული კალთა მინას აწყვეტილ, შემართულ კოჭამდე სწვდება. ფრესკა, ნესტისა თუ სიძველის გამო, ორ-სამ ალაგას ატკეჩილია, მაგრამ ეს დაზიანება ბევრს ვერაფერს აკლებს უცნობი მხატვრის სრულქმნილებას. თავიც, სამოსელის მსგავსად, ოქროსფერია და არანაირი მორთვა არ ჭირდება, სამუდამო გვირგვინად ადგას გვერდზე მოხრილი კისერს. მიდის, მიეშურება, არავის დაუცდის იგი... სტაბილური დაბადებული „გაზაფხული“ ბიძგი აღმოჩნდა სხვა, ამავე სახელოდების შედეგზე გადამეტანა ყურადღება, თავად რომ მინახავს უფიცის გაღერებაში.

ამას არაფრად ჭირდება ვინმესგან დასტური და შეხსენება — ყველა მხატვრის ქმნილებათა შორის ბოტიჩელის ღვთაებრივი „გაზაფხული“ განცალკევებულად ანათებს. სამუდამოდ გატყვევებს ამ საოცრებაზე გამოსახული — მოწყალედ მომღიმიარი და შუბლზე ყვავილების გვირგვინმოვლებული, ბაგეგაპობილი, ოდნავ ნესტობდაბერილი, ალუჩისფერი თვალებით ნაღვლიანად მაცქერალი, კაბადაქარგული ქალღმერთი ფლორა, ვისი შიშველი ტერფების ყოველ შეხებაზეც განედლებული დედამიწა ჩვილი, რძეჩამდგარი ბალახით იმოსება.

როცა კი გაზაფხულზე ვფიქრობ, თვალწინ სწორედ სანდრო ბოტიჩელის სწორეპოეზიის უფნჯით სულ-ჩადგმული ფლორას სახე და ტან-ფეხი მიდგას, მაგრამ, მისი განუშეორებლობისა და ერთადერთობის გამო, ილუსტრაციად ვერ გამოვიყენებდი.

ამდენად, გადავწყვიტე (ალბათ არც შეემცდარვარ), წიგნის ოთხი მონაკვეთისთვის ისეთი რამ წამემძღვარებინა, წელიწადის ოთხივე დროს რომ თვალნათლივ მოიცავს. არჩევანი იმთავითვე მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი მხატვრის ჯუზეპე არჩიმბოლიდოს (1527-1593) ალეგორიულ ფიგურებზე („გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“) შევარჩეე. იგი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური, იდუმალი და ყველასგან განსხვავებული მხატვარია, რაც კი ხელოვნების ისტორიამ იცის. მისეული ხედვა და მანერა არა მარტო თანამედროვეებს ანცვიფრებდა, დღესაც საყოველთაო გაკვირვებას იწვევს. მანამდე არავის მოსვლია აზრად და არც განუხორციელებია, ადამიანთა სახეები ხილის, ბოსტნეულის, ყვავილების, სხვადასხვა ნადირ-ფრინველის, თევზისა და წყლის ნაირ-ნაირი ბინადრებისგან შეექმნა და კომპოზიციურად სრულყოფილ ნამუშევრებად ექცია.

მისი სახელი ძალიან დიდხანს იყო მიჩქმალული. თხუთმეტამდე შემორჩენილი ნახატი კერძო კოლექციონერთა საკუთრებას წარმოადგენდა და მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან გახდა შესაძლებელი, მილანელი გენიოსი მსოფლიოს გაეცნო.

მთარგმნელი

ანი კოპალიანი

ანი კოპალიანი „საბას“ ფინალისტებს შორისაა. მის მიერ თარგმნილი მარგარეტ ეტვუდის „მხველის წიგნი“, რომელიც გამოცემლობამ — „ნიგნები ბათუმში“ — გამოსცა, წლის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად დასახელდა. ქალბატონი ანის შესანიშნავად გადმოქართულებულ კიდევ ერთ რომანს, ედით უორტონის „უმანკოების ხანას“, მკითხველი ცნობილ სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკიდან“ გაცნობ. პროზის თარგმანში წარმატების მიუხედავად, ის მაინც პოეზიის „მუშაკად“ რჩება — ამერიკელი პოეტების მთელი გალერეა წარმოგვიდგინა და ქართულად აამეტყველა ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ როდის წერდნენ იმ თემებზე, საიდუმლოებზე, პრობლემებზე, რაც ასეთი აქტუალურია დღეს ჩვენს საზოგადოებაში.

პოეზიის სიყვარულზე, მთარგმნელობით გამოცდილებაზე და, ზოგადად, ლიტერატურაზე ანი კოპალიანი გვესაუბრება.

— ხშირად მთარგმნელები პოეზიაზე მუშაობას პროზის თარგმანს ამჯობინებენ. ამის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. თქვენ, პროზასთან ერთად, წარმატებით თარგმნით პოეზიას, რაც ვფიქრობ, მნიშვნელოვანი და რთული შემოქმედებითი პროცესია. მაინტერესებს, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი.

— მოდი, ასე ვთქვათ, არსებობენ პროზის მთარგმნელები და პოეზიის მთარგმნელები — ეს ორი სრულიად განსხვავებული საქმეა. პროზის მთარგმნელები თარგმნიან მხოლოდ პროზას, პოეზიის მთარგმნელები კი — ორივეს ორი მიზეზის გამო: პროზას მეტი მკითხველი ჰყავს და პროზის თარგმანში გამოცემლობები ფულს იხდიან, ეს ორივე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და მთარგმნელს თვითშეფასებას უმაღლებს. მე პოეზიის მთარგმნელი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ლექსი არასოდეს დამინერია. პოეზია, ასე ვთქვათ, ჩემი აზროვნების ყაიდაა. მაგალითად, როდესაც ახალ ამბავს გავიგებ, ამასთან დაკავშირებით რომელიმე სტრიქონი ამომიტეხავს ხოლმე თავში, ნაცნობების უმეტესობასაც ჩემთვის რომელიმე ლექსი მიესადაგება, თუმცა, ბედნიერი ვარ ხოლმე, როდესაც საინტერესო პროზაული ნაწარმოების თარგმანს შემეძრება ხოლმე — ეს უსაზღვროდ საინტერესო და მრავლისმომცემი სამუშაოა.

— იქნებ მესაუბროთ განსხვავებებზე პროზისა და პოეზიის გადმოთარგმნისას. ალბათ სხვადასხვა მიდგომაა, სხვადასხვა კრიტერიუმი, სირთულე. რა არის საჭირო იმისთვის, რომ პოეზია მთელი თავისი მუსიკით და არსით ერთი ენიდან მეორეზე გადმოიტარდეს?

— წინა კითხვაზე პასუხიც იმით დავიწყე, რომ, ჩემი აზრით, პროზისა და პოეზიის თარგმანს ორი სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა სპეციფიკის მქონე საქმიანობაა. სრულიად განსხვავებული იმპულსიც უძღვის. არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ლექსი წამეკითხოს და გადამეწყვიტოს, უნდა ვთარგმნო-მეთქი, ლექსი თვითონ გირჩევს, რომელიმე ორი სტრიქონი აგეკვიტება და „შემოგეთარგმნება“. მერე იძულებული ხარ, საქმე ბოლომდე მიიყვანო და მთელი ლექსი ქართულად გამართო, აბა, ორი ტაქტის ამარა ხომ არ დატოვებ? ლექსის თარგმანს ჩემთვის მართლა არის საკრალური რიტუალების მთელი წყება: ჯერ ერთი, ყველა თარგმანი რაღაც მოვლენასა და მასთან დაკავშირებულ განცდებს მახსენებს, როგორც სხვებს, ვთქვათ, რომელიმე სუნამოს სუნი; მეორეც, გარკვეული წესები მაქვს, რომლებსაც არასოდეს ვარღვევ. ვთქვათ, ის, რომ ვიდრე არ დავასრულებ და საბოლოო სახეს არ მივცემ, არავინ უნდა ნაკითხოს; კიდევ, არ შემიძლია სანერ მაგიდასთან დავჯდებ და ლექსის თარგმანზე ვიმუშაო, პროცესი ხელმოვწერად დავაჩქარო. ყველა სტრიქონს ვაძვინდებ, თვითონ მომნიჭდეს გონებაში და მერე, როცა მისი დრო მოვა, მზა სახით „გამომეცხადოს“ მოულოდნელად. ამიტომ, ზოგჯერ, წლობით მიგრძელებდა ხოლმე რომელიმე ლექსის თარგმანს. მაგალითად, ბაირონი „გემშიდობები“ სკოლის პერიოდში ვთარგმნე და უკვე არაფრად მიღირს ის თარგმანი, მაგრამ კოლრიჯის პოემის სტრიქონებზე, რომლებიც მას ეპიგრაფად უძღვის, ახლაც ვმუშაობ. ლექსის თარგმანს ერთადერთი საქმეა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც პენსიაზე ვარ, ყველაფერი ბოლომდე უნდა მივიყვანო. საშინლად ვგრძობ თავს, რომ მეუბნებიან, კარგი თარგმანია, ოღონდ ესა თუ ის სტრიქონი შეცვალეო, იმიტომ რომ ვხვდები, თარგმნის პროცესის დამთავრებისას ჩემი შესაძლებლობები ამონურული მაქვს და არაფრის შეცვლა შემიძლია —

ამას მირჩევნია, ის კონკრეტული თარგმანი აღარსად გამოვანინო. ყველაზე მეტად კი ის მოცუბს, როცა უკვირთ, შენ მიერ ნათარგმნი ყველა ლექსი ზეპირად როგორ იციო. რაც მე მათზე მიფიქრია, ამნებია რომ დამეხაროს, მაინც არცერთი დამავინწყდება.

ზოგადად, ლექსის თარგმნის დროს თავს უფრო მეტს უფლებას ვაძლევ, ვიდრე პროზის თარგმნისას. მარინა ცვეტაევის სიტყვები მახსენდება: ყველა ლექსს აქვს მთავარი სტრიქონები, რომელთა გამოც ის დაინერა, ამ სტრიქონებს ვთარგ-




მნი ზუსტად, დანარჩენს კი — როგორც მომიხდებაო. მეც ამ პრინციპით ვებმძღვანელობ — ბევრ შემთხვევაში ვმორდები, რომ მივუახლოვდე და ეს პარადოქსი ძალიან მომწონს. დაბოლოს, ლექსის თარგმანზე საუბრის ისევ მარინა ცვეტაევის სიტყვებით დავასრულებ: „გემინდეთ ლექსების, მათ ახდენა შეუძლიათ“. ხანდახან მთარგმნელებსაც, უხდებათ ხოლმე „თავიანთი“ ლექსები.

— პროზის თარგმანზე რას იტყვიან? — პროზის თარგმანს ჩემთვის ისეთი საქმიანობაა, რომელიც პიროვნულად მზრდის. თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსი ლანა კასტელანო წერს, პროზის მთარგმნელი ოცდაათი წლის ასაკიდან ხდება გამოცდილი, ხოლო თავისი პროფესიონალიზმის პიკს ორმოცდაათი წლის შემდეგ აღწევსო. პროზის თარგმანს მხოლოდ ნიჭიერების გამოხატულება არ არის, პოეზიისაგან განსხვავებით, ეს რთული და დამლელი შრომაა და უზარმაზარი, გამსრესი პასუხისმგებლობა. არიან მთარგმნელები, რომლებსაც შეუძლიათ, სამ თვეში სქელტანინი რომინი თარგმნონ, მე კი მგონია, რომ სამი თვე მხოლოდ ტექსტის ფილოლოგიური დამუშავებისთვის, კონტექსტის შესწავლისა და ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების დაზუსტებისთვისაა საჭირო, სამი თვეც — ორიგინალთან შედარებისთვის, რედაქტირებისა და საბოლოო დახვეწისთვის. თვითონ თარგმნის პროცესისთვის საჭირო ვადებზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ ეს ყველაფერი დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია. მთარგმნელის პროფესიონალიზმის ნაწილია, რომ გამოცემლობა არ დააღალატოს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ჩაეტოვოს, ამიტომ კომპრომისზე წასვლა ყოველთვის გვიწევს. ვფიქრობ, რომ როდესაც ეს კომპრომისი მკითხველისთვის სრულიად შეუმჩნეველი გახდება, მაშინ ვიქნები პროზის პროფესიონალი მთარგმნელი. პროზის თარგმნამ მასწავლა დისციპლინა, თუ რომელიმე დღეს გამოვტოვებ, ვიცი, რომ განრიგს ძნელად დავეწვევი. სულ მეცინებოდა იმ ფაქტზე, რომ ცნობილი მწერლები ყოველ დღით წერდნენ და წერენ რამდენიმე გვერდს ან სიტყვას. ახლა ვიცი, რომ პროზაზე მუშაობისთვის მკაცრი დის-

ციპლინა აუცილებელია და კიდევ — ნერვიოზობაზე ყურადღების გამახვილება. ეს მეორე თვისებაა, რომელიც პროზის თარგმნამ გამომიმუშავა ან ჯერ კიდევ გამომუშავების პროცესშია. ყველა დეტალი უნდა დააზუსტო მთარგმნელმა, რომ სამარცხვინო შეცდომები არ გაგეპაროს. თუმცა, მარვეუბები მაინც ყოველთვის გარდაუვალია. ჩემ მიერ ნათარგმნი ნიგნების ნაკითხვა ძალიან მიჭირს, მაგრამ ორიოდ გვერდს თითქმის ყოველდღე ვკითხულობ, რომ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლო.

მოკლედ, შემიძლია შევაჯამო, რომ ბოლო ორ-სამ წელიწადში ჩემს პიროვნულ განვითარებაზე ყველაზე მეტად ორმა მოვლენამ იმოქმედა: დედობამ და პროზის თარგმნამ. იდეალური სიბერე ასე წარმომიდგენია: მეყოლება შვილები, შვილიშვილები, თარგმანები და მექნება ახალ თარგმანების გვეგები.

— თქვენი ერთ-ერთი საკვლევი თემაა ამერიკელი ქალი პოეტები, რომელთა შემოქმედებამაც მკაფიოდ და მძაფრად წარმოჩინა ქალთა პრობლემატკა, ქალის თვალთ ალქმული თუ დანახული სამყარო, რამაც მათ თანამედროვეებს



ერთგვარი „უხერხულობაც“ კი შეუქმნა. საიდან მოდის თქვენი, როგორც მკითხველისა და მთარგმნელის, ინტერესი ეს სექსტონის, ემილი დიკინსონისა და სხვა პოეტი ქალების მიმართ?

— პროფესიით თარგმანმცოდნე ვარ. ახლა დოქტორანტურაში ვსწავლობ და როგორც ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი ხუმრობს, სტუდენტის სტატუსი გამიტყუა, რადგან ვერაფრით მივიყვანე კვლევა ბოლომდე. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პროცესი, რომელსაც ვიკვლევ — ნაშრომის სათაურია „ამერიკელი პოეტი ქალების ქართული თარგმანები ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში“ — ჯერ კიდევ ძალიან აქტიურად მიმდინარეობს და ჩემ თვალწინ იცვლება მოვლენები. იმ ამერიკელი პოეტებისგან, რომელთა შესახებაც ვწერ, განსაკუთრებით მხოლოდ ეს სექსტონისა და მაია ენჯელოუს პოეზია მიყვარს, ყველა დანარჩენი: ემილი დიკინსონი, სილვია პლათი, დენიზ დიუჰამელი, ელისაბეთ ბიშოპი და სხვები იმ ნიშნით ავირჩიე, რომ, ჯერ ერთი, ობიექტურად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი პოეტები არიან და მეორეც, მათ მიმართ ინტერესი ქართულ ლიტერატურულ წრეებში ძალიან მაღალია. ეს თუნდაც იმით დასტურდება, თუ რამდენი მთარგმნელი ჰკიდებს ხელს მათ პოეზიას, რამდენი ქართველი პოეტის შემოქმედებაში იგრძნობა მათი ზეგავლენა: თემატკის, ნარატივის მანერის, ტროპული სახეების... ეს ყველაფერი შემთხვევითი, რა თქმა უნდა, არაა და თავისი მიზეზები აქვს. ამ მიზეზების გამოკვლევა ძალიან საინტერესო და ცოტა საფრთხილოცაა ჩემთვის. ამ ქალებმა არა მხოლოდ თავიანთ სამშობლოში შეცვალეს საზოგადოების აზროვნება, არამედ — საქართველოშიც და ალბათ სხვაგანაც.

— მგონია, რომ განსაკუთრებით პოეზიის თარგმნისას აუცილებელია კულტურული სივრცის კარგი ცოდნა. არაერთი ლიტერატურული ნერილი თარგმნით, თავადაც ხართ ავტორი პუბლიკაციებისა, სადაც სწორედ კულტურული კონტექსტების განხილული. მინდა, გთხოვოთ, ისაუბროთ XIX-XX საუკუნეების ამერიკაზე, იმაზე, რაც ამოძრავებდა იმდროინდელ ლიტერატურულ

პროცესებს, რაც აისახა პოეზიაში, შემოქმედებაში, ცხოვრებაში და რამდენად ხედავთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მსგავს აქცენტებს, ან მათი დასმის აუცილებლობას.

— თითქმის ყველა იმ ქალმა, რომელთა შემოქმედებაც მე ვიკვლევ, თავისი ეპოქა შეცვალა. მაგალითად, ემილი დიკინსონი პირველი დიდი პოეტი ქალი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფაქტობრივად, რევოლუციონერი, რომელმაც ქვეყნის აზროვნებასა და გემოვნებას ლამის ერთი საუკუნით გაუსწრო და ბოლოს ამერიკა იძულებული გახდა, თავად მორგებოდა მის ესთეტიკას. სილვია პლათი, შეიძლება ითქვას, დასავლური ფემინიზმის საკულტო ფიგურაა, სრულიად ახლებური პოეტური ხედვისა და ტრაგიკული ბიოგრაფიის პოეტი. ენ სექსტონმა თავისი გულახდილობით ჩააგდო შოკი მთელი ამერიკა და არამხოლოდ ამერიკა. იგი საუბრობდა ყველაფერზე, ყველაზე ინტიმურზეც კი, რასაც შეიძლება გრძნობდეს ქალი და რაც შეიძლება ანუხებდეს მას, თანაც მწვავე ფსიქიკური აშლილობით დაავადებულს. აღარაფერს ვიტყვი მაია ენჯელოუსზე, რომელიც ნამდვილი კაბიანი მარტინ ლუთერ კინგი და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ფიგურა იყო.

როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგი, პოეზიაც და მისი თარგმანიც სოციოპოლიტიკური მოვლენებია განპირობებული. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ეპოქის სათქმელს ამბობენ. ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც შეიძლება ამერიკაში მეოცე საუკუნის შუა ხანებში იყო გადასაჭრელი, ქართულ რეალობაში დღეს დგას და, შესაბამისად, პოეზიაშიც აირეკლება. თუკი სილვია პლათი წინა საუკუნის 60-იან წლებში წერდა, რომ მისი, როგორც თავისუფალი ქალის ხედვით, ქორწინება ჭურჭლის რეცხვით სულის შეხუთვა შეიძლებოდა ყოფილიყო, ეკა ქევანიშვილის პოეზიაში ახლა ვხვდებით პროტესტს თანამედროვე ქართულ ოჯახურ ცხოვრებაში ქალის სტერეოტიპული როლის გამო. ვიცი, რომ ეგრეთ წოდებულ „ქალურ პოეზიაზე“ ლაპარაკი ბევრს ალიზინებს, მაგრამ ფაქტია, ქალებს აქვთ სპეციფიკური, სამყაროს განსხვავებული ხედვით განპირობებული სათქმელი და რადგან მისი გამოთქმის საშუალება მიეცათ, ბევრ რამეს შეცვლიან გარშემო.

— ახლა ისევ პროზა — მარგარეტ ეტვუდის „მხველის წიგნი“. თქვენი არჩევანია თუ გამოცემლობამ — „ნიგნები ბათუმში“ — შემოგთავაზათ მისი თარგმანა?

— მარგარეტ ეტვუდის ეს რომანი მე არ ამირჩევია, თუმცა ნაკითხული რომ მქონოდა, აუცილებლად მომიხდებოდა თარგმანს. მისი გაქართულება მარი კორინთელის, გამოცემლობის — „ნიგნები ბათუმში“ — ერთ-ერთი დამაარსებლის, დიდი და გადამდები სურვილი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მარი ლამის ჩემთან ერთად თარგმნიდა, ყოველ თავს დასრულებისთანავე „ცხელ-ცხელს“ კითხულობდა და ძალიან კომპეტენტურ შენიშვნებს მაძლევდა. რედაქტორთან, ქალბატონ ლალი ჭინჭარაულთან, მუშაობაც ძალიან კომფორტული გამოდგა. ბოლოს კი ყდის დიზაინი რომ ვნახე, საბოლოოდ დავრწმუნდი, ძალიან გამიმართლა.

— ინტერნეტში წავიკითხე ლიტერატურული წერილი, რომელიც იწყებოდა მარგარეტ ეტვუდის სიტყვებით: „მხველის წიგნი“ მკითხველსა და მწერალს მოსვენებას არ აძლევს“. მთარგმნელს თუ დაუკარგა მოსვენება?

— „მხველის წიგნი“ ნამდვილად არ იყო იოლად სათარგმნი ტექსტი. იმდენი ალუზია და ოკაზიონალიზმი შემხვდა, ესეც კმაროდა წვალისთვის, რომ არაფერი ვთქვა შენაარსით განპირობებულ ფსიქოლოგიურ წნეხზე. ჯერ მარტო სათაური იქცა თავსატეხად. ინგლისური სათაური „The Handmaid’s Tale“ ალუზიაა ცნობილი ინგლისელი პოეტის, ჯეფრი ჩოსერის, პოემისა „Canterbury Tales“. ქართულ ენაში „კენტერბერული მოთხრობები“ ძალიან დამკვიდრებული სათაურია, ინტერპრეტაცია გამორიცხული იყო. „მხველის მოთხრობა“ კი ჩვენს ენაზე არაფერს გვეუბნებოდა, არ უღერდა, თან არც ალუზია იქნებოდა მაინცდამაინც თვალმისაცემი, რომ ამის გულისთვის დათმობაზე წავსულიყავით.

დასასრული

იმის თქმაც არ იქნება მართალი, თითქოს სიცოცხლეში არჩიმბოლდოს პატივი და დაფასება აკლდა. რომის წმინდა იმპერიის თავკაცმა რუდოლფო მეორემ უმაღლესი ტიტული უბოძა და მუშაობის ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. სხვა ხელისუფალთა დროსაც (ფერდინანდ პირველი, მაქსიმილიან მეორე) სასახლეებში ცხოვრობდა, ნიადაგ აღზევებული იყო — სამეფო წარმოდგენათა გასაფორმებლად, დეკორაციების ასაგებად ინვესტირებდა; გამომგონებლის მძლავრი ნიჭიც ჰქონდა — სცენის ურთულესი მექანიზმებისა და მუსიკალური ავტომატების დამზადება შეეძლო. „დღესასწაულთა ოსტატს“ ეძახდნენ, დღევანდელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, უბადლო თეატრალური სამხატვარი, სცენოგრაფი გახლდათ.

წელიწადის ოთხი დროის გარდა, ასევე ფანტასტიურად, მისსავე მანერაში აქვს დახატული ბუნების ოთხი მთავარი სტიქია: მინა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, რაც ხელოვანის უსაზღვრო ფანტაზიაზე მეტყველებს.

ცნობილია არჩიმბოლდოს ორი ავტოპორტრეტი: ერთი ზეთის საღებავებითაა შესრულებული — ვერმონტეზულ, შუახნის მამაკაცს, ზამთრის შავ სამოსში გამოწყობილს, შავი, ნონოლა ქუდი ხურავს, დაშვებული, მორუხი ფარდის ფონზე. კისერს გარშემო, მოკლე კლავიშებივით ევლება თეთრი საყელო. მონყენილი, ყველაფრის განმჭვრეტი თვალები გეგონება,

ემზარ კვიციანიშვილი

ჩემი ოსტატი



რალაცას ეჭვიანად აკვირდება.

მეორე, გრაფიკული, ლურჯ ფერში ტონირებული ავტოპორტრეტი, ასეთსავე კლასიკურ სტილს მიჰყვება — თავის მიერ მიგნებულ საშუალებებს და ტექნიკას არ იყენებს, ოღონდ აქ, შედარებით მოხუცე-

ბულია (გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დახატულს ჰგავს), მეტყველ თვალებში უფრო ღრმად ჩაგუბებია სამხეოსთან განშორების ნაღველი.

ჯუშუზე არჩიმბოლდოს შემოქმედების გვირგვინად, მის უპირველეს შედეგად

მაინც ხილ-ბოსტნეულისა და გვიანი ყვავილებისგან დაქარაგმებული იმპერატორ რუდოლფო მეორის პორტრეტი მიიჩნევა, რომელსაც ეტრუსკული წარმომავლობის რომაული ღვთაების, ბალ-ვენახებისა და მინათმოქმედების გამგებლის „ვერტუმნის“ სახელითაც მოიხსენიებენ. მასში მთელი ძალმოსილებით ჩანს შემოდგომის დაუტევარი სიუხვე, ზღაპრული ფერადოვნება, რის სიტყვიერად გადმოცემასაც კალამი ამაოდ შეეცდებოდა.

დარწმუნებული ვარ, ბევრიც რომ მეძებნა, არჩიმბოლდოს ნამუშევრების უმჯობესს წინამდებარე კრებულში ჩასართავად ვერაფერს შევარჩევდი და თუ ტექსტი ვერ მოახდენს სასურველ შთაბეჭდილებას, ეს ოთხი სურათი მაინც მოეწონება ამ წიგნის ხელში ამღებს.

P. S. უღვთოდ ნანამები და განადგურებული ოსიპ მანდელშტამის ქვიცივი ნადეჟდა მანდელშტამი თავისი მოგონებების მეტად ჭკვიანურ, მრავალმხრივ დამაფიქრებელ წიგნში არაერთხელ აღნიშნავს, რარიგ ძნელია წლების მანძილზე დაწერილი ლექსების ერთ სხეულად შეკვრა, რამდენი დაბრკოლება ელოდება ავტორს ასეთ დროს.

არ ჩამოვთვლი, მე თვითონ, არჩევსას, რამდენწილი გასაჭირი დამადგა, თუმცა ბოლოს ყველაფერი ერთ დიდ საქალაქში მოვაქციე. ჩემს მომზადებულ წიგნს ნაკლი ბლომად რომ ექნება, ამას არ უნდა მტკიცება, მაგრამ ამგვარ უმაღურ საქმეში სხვას ვერავის ჩავრევდი.



ჰოდა, უცებ ვიფიქრე, რა იქნება, რომ ბარემ, როგორც მთელი ნაწარმოები, სათაურიც არა ჩოსერის, არამედ „ბიბლიისგან“ გამომდინარეობდეს და მარის ვუთხარი, მოდი, „ბიბლიის“ „წიგნების“ ყაიდაზე „მხეველის წიგნი“ დავარქვათ-მეთქი. მარიმაც ჩემთან ერთად დაიხურა მუზარადი და მოემზადა საბრძოლველად. ყველაზე რთულია მთარგმნელისთვის, როდესაც რალაც პირდაპირ არ გადმოდის შენს ენაზე და მსგავსი მხატვრული ეფექტის მისაღწევად თავად უნდა მოიგონო პრაგმატული ეკვივალენტი.

ნაცნობ-მეგობრები კითხულობენ ამ წიგნს და მეუბნებიან, რომ მორალურად განადგურდნენ. როცა მკითხველი ასე განიცდის, წარმოიდგინეთ, მთარგმნელს, რომელიც ზუსტად მსახიობივით შედის როლში, რა შეიძლება მოსვლოდა მუშაობის პროცესში. „მხეველის წიგნის“ თხრობის მანერა გამოირჩევა იმით, რომ, როცა გგონია, ტრაგედია კულმინაციას მიაღწია, კიდევ უფრო მძაფრი ტრაგედიის წინაშე გაყენებს ავტორი — ყველაფერი, რისიც გეშინოდა, ცხადდება და ბოლოს უკვე, დიდ ზაფრას რომ გადაიტან და ყველაფრისთვის მზად ხარ, ძალიან საინტერესო და ორიგინალურად გადაწყვეტილი დასასრული დგება.

თარგმნის პერიოდში ჩემი ცხოვრება რომ ნაწარმოებში აღწერილი სიტუაციისაგან სრულიად განსხვავებული, სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსე არ ყოფილიყო, შეიძლება, სერიოზულ დეპრესიად დამჯდომოდა ეს წიგნი. მა-

გრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მაქვს თარგმანი, რომელსაც ხალხი კითხულობს, მოსწონს ან არ მოსწონს, მაქვს ან მაძაგებს, მაგრამ, რაც მთავარია, კითხულობს და რეაქცია აქვს.

— „მხეველის წიგნი“ „საბას“ ფინალისტებს შორისაა. რას ელოდებით ლიტერატურული კონკურსისგან და მაინტერესებს, იცნობთ თუ არა თქვენი კონკურენტების, კოლეგების ნამუშევრებს?

— პრემია „საბას“ და ზოგადად, ლიტერატურულ პრემიებს ერთმნიშვნელოვნად სასიკეთო მოვლენად აღვიქვამ. მე თვითონაც გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ ორგანიზებულ „ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკურსში“ გამარჯვებამ გამიკვალა გზა. მთავარია, ადამიანების მიდგომა იყოს ჯანსაღი ამ პროცესების მიმართ და თუნდაც ძალიან კომპეტენტური ფიურის მოსაზრებამ შენს თვითშეფასებაზე რადიკალურად არ იმოქმედოს. თუ „საბას“ ნომინანტობა მომიტანს იმას, რომ გამომცემლობები ჩემთვის სასურველ წიგნებს მთარგმნიებენ და უფრო სტაბილურად მომცემენ შეკვეთებს (მაგალითად, „მხეველის წიგნი“ რომ დავასრულე, ზუსტად ერის წლის შემდეგ შევიღე სხვა სამუშაო) და თუ ხალხი უფრო დიდი ინტერესით და მეტი ნდობით წაიკითხავს ჩემს თარგმანებს, მივიჩნევ, რომ ეს დიდი წარმატება იყო.

რაც შეეხება ჩემს, ასე ვთქვათ, კონკურენტებს: ერთი ასეთი მეთოდი მაქვს, ვიდრე თარგმნას დავიწყებ, ათი-თხუთმე-

ტი წუთი ვკითხულობ ხოლმე ძალიან კარგი ქართულით დაწერილ ან თარგმნილ რომელიმე წიგნს, რომ ჩემს თავს თამბა ავუწიო. ამ წიგნებს შორისაა თამარ ჯაფარიძისა და ზაზა ჭილაძის ნამუშევრები. მათ ყველა თარგმანს გამოცემისთანავე ვკითხულობ. თუმცა სიაში მყოფ თითქმის ყველა სხვა მთარგმნელსაც უდიდეს პატივს ვცემ. ზოგადად, ყოველ წელს, როდესაც თარგმანების გრძელი სია დაიდება ხოლმე, ჩემი კოლეგის, ქეთი ქანთარიას, ხუმრობა მახსენდება — საქართველოში ყველაზე მაქსიმალისტები მთარგმნელები და რაგბისტები არიანო.

— „დიოგენეს ბიბლიოთეკაში“ „დექს“ თქვენი თარგმნილი წიგნი, ედიტ უორტონის „უმანკობის ხანა“.

— ედიტ უორტონის „უმანკობის ხანა“ სტუდენტობისას ვთარგმნი. ოთხი წელი ვთარგმნიდი ზაფხულის არდადეგებზე. რომ დავიწყე, მახსოვს, ძალიან მომწონდა, მერე და მერე ცოტა ზევიდან ვუყურებდი. საერთოდ, ეს ძალიან კარგი და ამავდროულად, ილბიანი რომანია. ჯერ ერთი, პულიცერის პრემია მიიღო (სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქალმა ავტორმა მიიღო პულიცერი), მეორეც, დღემდე ყველაზე ხშირად ითხოვენ ამ წიგნს ამერიკის ბიბლიოთეკებში. ეს წიგნი იმავს ნიშნავს ნიუ-იორკისთვის, რასაც ჩვენთვის, ვთქვათ, აკა მორჩილაძის რომანები XIX-XX საუკუნეების თბილისის თემაზე — ქალაქის სულს ასახავს, ამიტომაც ძალიან უყვართ ნიუიორკელებს. შესანიშნავია მარტინ სკორსეზეს ეკრანიზაციაც, ძალიან კარგი მსახიობებით. „უმანკობის ხანის“ ქართული თარგმანიც ძალიან ილბიანი გამოდგა, რადგან „დიოგენეს ბიბლიოთეკაში“, ჩემს უსაყვარლეს სერიაში, მოხვდა.

— როგორც მკითხველს, საყვარელი საკითხავი რომელი გაქვთ?

— როგორც ყველა, ვინც ჩემს თაობაში კითხულობს, მეც დოჩანაშვილის გაზრდილი ვარ, ასე ვთქვათ. მახსოვს, მამაჩემი ხმამაღლა მიკითხავდა „ვატიერ-პოლოს“, უფრო სწორად, დაიწყო და მერე, რომ დავინტერესდი, შემატოვა და თვითონ დავასრულე. მაშინ მივხვდი, რომ ლიტერატურა ხანდახან შეიძლება რელიგიასავით იყოს.

ზოგადად, ისეთი წიგნები მიყვარს, რომლებშიც ნაკლებმნიშვნელოვანია მოვლენების დინამიკა და უფრო მეტი ყურადღება იმას ექცევა, რა ხდება ადამიანის შიგნით და რამ შეიძლება განაპირობოს ესა თუ ის მოვლენა. ვთქვათ, ტოლსტოი მიყვარს, პიერ ბუზუხოვისა და ლევიანის საკუთარი თავის პოვნის მცდელობები. კიდევ

ფოლკენერი, რომელიც ყველაზე სრულყოფილი მწერალია. ბორის ვიანზე ვგიჟდები. მაგრამ ყველას თომას მანი მირჩევნია, ჩემთვის მისი ნაწარმოებები შვიდგანზომილებიანია — როცა ვკითხულობ, ვხედავ, მესმის, შევიგრძნობ სუნს, ფერს, სილამაზით ვტკბები: ვფიქრობ — ყველაფერი ერთად ხდება.

ჩემი თაობის კიდევ ერთი თვისება მაქვს, ლათინოამერიკული ლიტერატურის სიყვარული, ოღონდ მე მარკესსა და კორტასარს ცოტათი მარო ვარგას ლიოსა მირჩევნია. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, საბოლოო ჯამში, პროზაზე უფრო მაინც პოეზიის მკითხველი ვარ.

— საერთოდ, როდის დაიწყეთ ან რით დაიწყეთ მთარგმნელობითი საქმიანობა? პირველ ნამუშევარს თუ გაიხსენებთ?

— მერვე კლასში ვიყავი, როდესაც დედაჩემის მეგობარმა, ნანა შათირიშვილმა, რომელიც შემდეგ ჩემი პირველი თარგმანის, უოლკოტის „პატარა ქალბატონების“ გამომცემელი გახდა, მაჩუქა თავისი თანაავტორობით შედგენილი ინგლისურენოვანი პოეზიის კრებული. იმ პერიოდში შუქი და გასართობი, მოგესხნებათ, არ იყო. დავსხვიდი ლამპის შუქზე მე და დედა და კრებულის პირველივე ლექსის, მარლოუს „მეყვარებული მწყემსის წერილის“ — თარგმნა დავიწყეთ. დედამ, შენ პნკარედი გააკეთე და მე გავრითმავო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თვითონაც შემეძლო გართიმვა და ლექსის სტრუქტურის აწყობა. ასე რომ, ჩვენ-ჩვენი ვარიანტი გავაკეთეთ. მერე დედას მოსწყინდა, მე კიდევ მივყვი ლექსებს თანმიმდევრულად, მერე ქალბატონ ნანას ვაჩვენეთ და მითხრა, რომ მშვენიერად ვთარგმნიდი და გამეგრძელებინა, მერე შოთა იათაშვილმა „ალტერნატივაში“ დამიბეჭდა თარგმანი, მერე რალაც კონკურსში გავიმარჯვე და მეტი კი არ უნდა ადამიანს, რომ პროფესია აირჩიოს.

— ხომ არ არის ავტორი ან წიგნი, რომლის თარგმნაც ძალიან გინდათ, ან რომლის სათარგმნელადც ემზადებით?

— რასაკვირველია, ამ მხრივ ბევრი ოცნება მაქვს. ერთი ჩემთვის ძალიან საინტერესო წიგნის თარგმნა უკვე შემომთავაზეს და იმედია, ყველაფერი გამიოვა. ერთადერთი, რაც აუხდენელ ნატვრად მრჩება, ენ სექსტონის ლექსების კრებულის გამოცემაა. ამ ავტორის ოცდაათამდე ლექსი მაქვს თარგმნილი და მგონი, უკვე დროა, თავიანთი გზა იპოვონ და მე გამათავისუფლონ, რომ ახალი გატაცება ვიპოვო.

მას ბევრი რამ შეეძლო. შეეძლო საკუთარი მონეტა მოეჭრა ქართულ პოეზიაში, შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა მხატვრულ პროზაში, შეეძლო სკოლა შეექმნა თარგმანის ხელოვნებაში.

შეეძლო-მეთქი, მაგრამ რა ვიცით, იქნებ ეს ყველაფერი სინამდვილეში მართლაც შეეძლო: მოჭრა მონეტა (ლექსები, სონეტები), სიტყვა თქვა ბელეტრისტიკაში (ავტობიოგრაფიული ნიგონი „ჩემი ნუთისოფელი“) და შექმნა სკოლა თარგმანში (ხაიამი, რილკე, ბროდსკი).

ნიჭს აქვს ერთი ბოროტი თვისება, შეუძლია გამოგიყენოს, დაგძლიოს, დაგიტანოს, გაგაფუჭოს. ბევრი მწერალი ვიცით, ნიჭს რომ დაჰქვამდებარებია და ნახდენილა. ის, პირიქით, ნიჭს ევატრონებოდა, ებატონებოდა, იყენებდა. თავისუფალი იყო ილუზიებისგან, ცრურწმენებისგან, კომპლექსებისგან; მაგრამ, ამავე დროს, სწორედ თავისუფლება იყო ფაქტორი და მიზეზი იმისა, რომ „ლიტერატურული ოფიცინა“ არ აღიარებდა, თავისიანად არ მიიჩნევდა, არც თვითონ აღიქვამდა თავს „იმათიანად“.

ასე კი არ უნდოდა, ასე იყო, უბრალოდ, სტიქიურად, ბუნებრივად, საგანთარიგვიდან გამომდინარე. არჩევანი მისთვის არ ნიშნავდა იძულებას, ძალდატანებას, ვალდებულებას. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სულაც არ ფიქრობდა შინაგან თვითგამორკვევასა და თვითიგივეობის დამტკიცებაზე. არჩევანშიც თავისუფლებას ხედავდა, როგორც არსებობის მოტივს. ცხოვრების აზრს კი არ ეძებდა, ცხოვრობდა. არაფერი მოსდიოდა „გარედან“, „ზემოდან“, „ქვემოდან“, ყველაფერი მის შიგნით ხდებოდა. თავისუფლების საკუთარ პოტენციალს უანგარიშოდ ფლანგავდა, სხვის თავისუფლებას კი უფრთხილდებოდა.

ურთიერთობის თავისებური ზნე ჰქონდა. ურთიერთობა არა საზოგადოებასთან, ჯგუფთან, წრესთან, არამედ ცალკეულ ადამიანთან, პიროვნებასთან, ინდივიდთან. ცალკეულ პიროვნებას მიემართებოდა მისი სიტყვა, საქმე, საქციელი. ეს იყო შინაგანი კულტურა — მიმზიდველი, მომხიზველი, ადამიანური.

90-იანების შუა ხანები იყო. ბორჯომში წავედი ლიტერატურულ საღამოზე. გზა, ცოტა არ იყოს, გაინგულა. შიმშილი შემოგვეპარა, მაგრამ ამ თემაზე კრინტი არავის დაუძრავს. ბორჯომის ხალხმრავალი ბაზრის ერთ პატარა, მომცრო მაღაზიაში შევედი. არა საყიდლად, საკითხავად, მასპინძლებს ვეძებდით. საღამო დამთავრებული არ გვექონდა, ვახუშტიმ ხელი აიწვდინა, ბანარზე აგებული მაია ჩამოსხნა და გარჩევა დაუწყო. არც გამყიდველისკენ გაუხედავს, არც ჩვენკენ, არც არავისკენ, უბრალოდ, ჩამოიღო ის, რაც იმ ნუთში უნდოდა.

მერე ვუთხარი, მომეწონა, თევაზი ეგრე პირდაპირ რომ ჩამოიღე-მეთქი. გაელიმა. არაფერი უთქვამს, ოღონდ შევატყე, ესაი-მოუნა, რომ არ გამოგეპარა ის, რაც ამ „ინციდენტში“ მთავარ როლს ასრულებდა — ესთეტიკა, უშუალობის მომენტი.

სიტყვასაც ასეთი უშუალობით არჩევდა — საჭირო დროს, საჭირო ადგილზე, საჭირო დანიშნულებით.

პოეტური საწყისი მასში გენეტიკურად იყო მოცემული. აზრის ჰარმონია მამისგან გამოჰყვა, მშვენიერების განცდა — დედისგან, რიტმის გრძნობა — პაპისგან, როგორც მღვდლისაგან, რომლის ლიტურგიული პრაქტიკა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა მკაცრად დასაზღვრული რიტმი.

მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იყო ვახუშტის ლექსების კრებულის გამოჩენა. ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად პოეტური იყო თავისი ბუნებით, ცხოვრებით, საქმიანობით. ორმაგად მოულოდნელი გახლდათ მის მიერ სონეტების გამოქვეყნება...

რუსთაველის გამზირის დასაწყისში,

პირველ ნომერთან, მეტრო „თავისუფლების“ გადაღმა, ტანსაცმლის მაღაზია „ჯორდანის“ კუთხეში, ორი ჭადარი დგას. ტოტემისა და სულთა გადასახლებისა არ მნამს, მაგრამ რატომღაც ეს წყვილი ჭადარი ვახუშტის მახსენებს სახიერად, უშუალოდ, მკვეთრად. შესაძლოა იმიტომ, რომ ხეები ჩემს მხერაში ხვდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც ავდიოდი მათთან, არსენას ქუჩაზე და ისინი ყოველთვის მხვდებოდნენ, ორნი — ვახუშტი და მზეო. ჭადრები გაზაფხულის პირამდე ინარჩუნებენ ხოლმე ტანზე ფოთოლს, მეჩხრად, მაგრამ მაინც. ნუგზარ შატაიძემ დაწერა 90-იანებში ნოველა ჭადრის ფოთლებზე, მთელი ზამთარი რომ ტოტებზე რჩებიან, რალაც მანქანებით თავს რომ იმაგრებენ, როგორც ჩვენ, სამშობლოში დარჩენილები. ვახუშტიც ჭადრის ფოთლივით უძლებდა ცხოვრებას. შვილის ტრაგედია, ავადმყოფობა, ერთი პერიოდი — უსახლკარობაც. მაინც მსუბუქად ატარებდა ყველა სიმძიმეს. ეს არ იყო პოეზია. ეს იყო ხასიათი.

2008 წლის ივნისის ცხელი დღე იყო. მოსაკითხად ავუარე. კომპიუტერთან იჯდა, აპარატზე შეერთებული. გვერდით მწიფე გარგარი ეწყო. ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მაინც იხუმრა, როგორც სჩვეოდა:

ივანე ამირხანაშვილი

არსი მისი არსობისა

„სადა ხართ, თქვე ჩათლახებო, რატომ დაიკარგებით ხოლმე წეროს სკინტლივითა?!“ გარგარს მაძალბებდა, ნუ გერიდება, აიღე, ამ სიცხეში ამაზე კარგი არაფერი-აო. ფურცელზე დაბეჭდილი ლექსი მომანოდა, აბა, ერთი ნახეო და თან გამომცდელად შემომხედა. ნაკვითხე. ბოლო ორი სტრიქონი მაშინვე დამამახსოვრდა:

„ჩემი სამზეო, საიქო,
შავ-ხევ-სულეთი,
აკლდამა ჩემთა ოცნებათა —
ფშავ-ხევსურეთი!“

ეს ლექსი შეტანილია ვახუშტის სონეტების კრებულში, რომელიც 2015 წელს გამოსცა საქართველოს მწერალთა სახლმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.


„ფშავ-ხევსურეთის სონეტი“ — ასე ჰქვია ამ ლექსს. ერთი შეხედვით, არაფრით გამოირჩევა სხვა სონეტებისაგან, მაგრამ, ამავე დროს, მასში არის ის, რასაც ეტყობა, გულდაგულ ეძებდა ბოლო ხანებში — საგნის, სიტყვის, ბგერისა და აზრის ახალ ერთიანობას, ახალ ყალიბს, ახალ სინთეზს. მართალია ზაზა აბზიანიძე, ნინასიტყვაობის ავტორი, ვახუშტიმ „ხელახლა აღმოაჩინა თავისი თავი და გარესამყაროც“.

პოეტური შემოქმედების დიალექტიკამ მიიყვანა სონეტის ფორმამდე ისე, რომ ეს უნდა ყოფილიყო მისი აღმოსავლურ-დასავლური აქცენტების ფოკუსირება და მისი დუნედეს გამოვლინებაც.

ერთ მხარეს დალაგდა ომარ ხაიამი, რუდაქი, ფირდოუსი, ნიზამი, საადი, ჰაფეზი, ანსარი, აბუ საიდი, მასუდ სად სალმანი, ჯელალ ედ-დინ რუმი და აბდორ-რაჰმან ჯამი. მეორე მხარეს — რაინერ მარია რილკე, ნიკოლაი გუმილიოვი, მარინა ცვეტაევა, ველიმირ ხლენიკოვი, ინოკენტი ანენსკი, მაქსიმლიან ვოლოშინი, ოსონ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი და ოსიფ ბროდსკი.

ამ ორი ნაკადის სინთეზს დამატებული ხალხური მოტივაციები, ცხოვრებისეული მრწამსი და პიროვნული ხასიათი. აი, სონეტის ის სახე, რომელიც კრებულშია წარმოდგენილი.

ვახუშტისთვის პოეზია არ იყო რალაც განყენებული, ავტონომიური მოვლენა — მისთვის ეს იყო ცხოვრება, არსებობა, ყოფილი პრაქტიკა. შეიძლება ამიტომაც არ აქვეყნებდა ლექსებს. სამოცდაათი წლის ასაკამდე კრებული არ გამოუცია,



თუმცა, როგორც გამოჩნდა, ყმანვილობიდანვე წერდა.

პირველი პოეტური კრებულის შესავალში თვითონვე აღნიშნავდა: „პოეზია

უბრალოდ, პოულობდა. თარგმანებში ბევრი ფორმა ჰქონდა გადმოღებულ-გადმოტანილი რობოთა და ლაზალით დაწყებული, ალექსანდრიულითა თუ მაკარონულით დამთავრებული. ორიგინალურ ლექსალობაში ფორმებს ყურადღებას არ აქცევდა. მით უმეტეს, სონეტის მიმართ არ იჩენდა ინტერესს.

ამიტომ მკითხველის მხრიდან სავესებით ბუნებრივია გაოცებაც და კითხვაც: „რატომ სონეტი?“

თემებსა და მოტივებს თუ დავაკვირდებით, უნდა ითქვას, რომ ეს არის ცნობიერი გადაწყვეტილება, გაქცევა ან სხვადაქცევა. კლასიკური თექვსმეტმარცვლიანი საზომი და მასზე მიბმული ხალხური ტრადიცია ალბათ ტვირთად აწვა და შემსუბუქება გადაწყვიტა.


ვახუშტის ხელში სონეტმა დაკარგა ის კამერული ტონალობა, რაც მას საზოგადოდ ახასიათებს, სამაგიეროდ, შეიძინა ლექსიკური დემოკრატიზმი, შინაგანი თავისუფლება, ყოფილი ფილოსოფია და ფონეტიკური ხაო, რომელსაც ვახუშტის ხმას დავარქმევდი. სტროფული წყობაც თავისებური აქვს, თუ კლასიკურ სონეტში ორი კატრენი და ორი ტერცეტია, ვახუშტისთან არის სამი კატრენი და ერთი მრჩობლენი (ორტაქედი).

დონ პატერსონი, შექსპირის კომენტატორი, სონეტის ნაკითხვის ორ ტიპს გამოყოფს. ეს არის „პირველადი“ და „მეორადი“. „მეორადი“ გამოიყენება ლიტერატურისმცოდნეობითი, სამეცნიერო ანალიზის დროს, როდესაც გამოყოფენ ლექსის აზრს, სტრუქტურას, ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ დონებს. „პირველადი“ მარტივია, გულისხმობს მკითხველის უშუალო კავშირს ტექსტთან შუამავების, დამხმარის, კომენტატორის გარეშე.

ვახუშტის სონეტები პირველადი წესით იკითხება, პირდაპირ, უშუალოდ, უბრალოდ, სიამოვნების გულისთვის.

ერთხელ თამაზ ჩხენკელს კერძო საუბარში უთქვამს — მეოცე საუკუნის ქართული პოეზია ვახუშტი კოტეტიშვილმა დაასრულაო. მკვეთრი ნათქვამია, საინტერესო, საგულისხმომო, დასაფიქრებელი. აქაც ჩნდება კითხვა „რატომ?“

პასუხი ერთმნიშვნელოვანი ვერ იქნება, მაგრამ ის შეიძლება ამ სონეტებშიც ვეძებოთ, ანუ იქ, სადაც გაიბრწყინა ვახუშტის პოეტურმა ნიჭმა, სადაც ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს პიროვნული და საზოგადოებრივი, პოეტური და ყოფითი, წარმავალი და მარადიული, სადაც მაქსიმუმს მიაღწია პოეტური აზრის სიმკვეთრემ და მხატვრული სახის ხილვადობამ, რამაც თვალდათვალ გამოჩნდა არსი მისი არსობისა.



ჩემთვის ყოველთვის იყო, არის და იქნება არა სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, თუნდაც უმთავრესი და განსაკუთრებით გამორჩეული, არამედ თვით ჩემი არსებობის ლამის ერთადერთი ფორმა, უფრო ზუსტად — არსი ჩემი არსობისა. პოეზია — არა მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭი, არამედ სიცოცხლის ნიჭიც („ქვიშის საათი“, 2005, გვ. 5).

ხომ გინახავთ, როგორ მუშაობს ფუტკარი ყვავილზე. სწრაფად, თითქოს ზერეულედ, ალაღებდებ, სასხვათაშორისოდ, ზარმაცი გუმანით ეძებს ბუტკოზე ნერტილს, მაგრამ უცებ შეჩერდება, ჩაასობს ნესტარს და ისე სწრაფად ამთავრებს საქმეს, გეგონება, არაფერი მომხდარიყოს. არადა, მიაგნო ყველაზე მთავარს, ძირეულს, არსობრივს, უმთავრესს, აუცილებელს.

ასე მუშაობს ვახუშტი კოტეტიშვილის პოეტური გუმანი. გეგონება, არ მოქმედებს, არ მოძრაობს, არაფერს ცდილობს, არაფერს ეძებს, მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს არც იცის, რა უნდა გააკეთოს. უცაბედად რალაცას მიაგნებს და ეს გგონია შემთხვევითი, არასწორი, უმისამართო, უსაგნო, მაგრამ ისე ექსოვება ტექსტს, კონტექსტსა თუ კომპოზიციას, რომ გაოცებული რჩები, როგორ მიაგნო — ის ხომ არ ეძებდა...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
ISSN 2346-7940
9 772346 794004